# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 მაისი 1999 №91 (864) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

**სამგურალს საფინალოდ რევაზ ბურკაძე მოამზადებს**

შესაძლო კანდიდატი დავით ყიფიანიცაა

6

**სამი მაგიური 18**



ჯანფრანკო ძოლა ფინალამდე 18 დღით ადრე დაშავდა, ფინალში მაინც ითამაშა, მოედანზე დამთავრებამდე 18 წუთით ადრე გავიდა და 18 წამში ის ბურთი გაიტანა, ჩელსის თასების თასი რომ მოაგებინა

12

დღეს შვეიცარიაში ევრობასკეტ 2001-ის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები მასპინძელთა გუნდს შეხვდება

13

**ადგილობრივი სენსაცია**

ორი წლის წაუგებელ ყოჩებს ლოკომოტივი დაეჯახა



# ვის მოარგებს იოჰან ბოსკამპი ეროვნული ნაკრების მაისურას?



გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურმა გვაცნობა, ჩვენი ეროვნული გუნდის ჰოლანდიელი მწვრთნელის, იოჰან ბოსკამპის მიერ დასახელებული იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც 30 მაისს, ოსლოში ნორვეგიელთა, 5 ივნისს კი თბილისში ბერძნებთან სათამაშოდ მოამზადებს.

ბოსკამპისეული გუნდი სავარაუდოდ 24 მაისს შეიკრიბება. მეორე დილითვე კი, როგორც დაგეგმილია, სრული შემადგენლობით „დინამოს“ დილმის საწვრთნელ ბაზაზე შეუდგება ვარჯიშს.

ქართველები ოსლოში 28 მაისს, 10 საათზე გაფრინდებიან, მეორე დღეს სათამაშო მოედანს მოსინჯავენ და 30-ში იქაური დროით პირველ საათზე ახალგაზრდები, რვის თხუთმეტ წუთზე კი ეროვნული ნაკრებები ითამაშებენ. ჩვენები შინ 30-ში ღამითვე გამოფრინდებიან, ერთ დღეს დაისვენებენ და პირველ ივნისს უკვე ბერძნებთან სათამაშოდ დაიწყებენ მზადებას.

იოჰან ბოსკამპმა დასახელებული 22-კაციან სიიდან, რომელშიც ორი, ხიზანიშვილი და ახვლედიანი, ნაკრების დებიუტანტია, 18 უნდა აარჩიოს.

მეკარეები: დავით გვარამაძე (დინამო, თბილისი), აკაკი დევაძე (აშდოდი, ისრაელი);

მცველები: კახა კალაძე (დინამო, უკრაინა), გივი დიდავა (დინამო, თბილისი), ბადრი ახვლედიანი (ტორპედო, ქუთაისი), მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (დინამო, თბილისი), ვალტერ გუჩუა (დინამო, თბილისი), ზურაბ ფოფხაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი);

ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე (რეჯანა, იტალია), დავით ჭიჭვეიშვილი (ბათუმი), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე ფრაიბურგი, გერმანია), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), რატი ალექსიძე (დინამო, თბილისი), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი, ინგლისი);

თავდამსხმელები: შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), მიხეილ ყაველაშვილი (გრასხოპერი, შვეიცარია), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, რუსეთი), მიხეილ აშვეთია (დინამო, თბილისი)

# აღსასრულის მოლოდინში

## წინასწარ დაწერილი ნეკროლოგი

UEFA Cup Winners' Cup

თასების თასის ფინალი

**ლაციო — მალიორკა**

ბირმინგემი. „ვილა პარკი“. 19 მაისი. 23.45 საათი

ზურაბ მეძველია

ბირმინგემიდან



*ევროპის საფეხბურთო სამყარო, მისი ბატონ-პატრონი უეფა და „სარბიელის“ კორესპონდენტი ზურაბ მეძველია ბირმინგემიდან მეტ-ნაკლები მწუხარებით იუწყებიან, რომ 1999 წლის 19 მაისს, 39 წლისა, თუმცა არცთუ მოულოდნელად, აღესრულება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. გამოსვენება „ვილა პარკის“ სტადიონზე დღეს საღამოს.*

*...მოუსვენარი ბუნებისა გახლდათ — არასდროს ჩერდებოდა ერთ გუნდთან წელიწადზე მეტი, თუმცა მილანელ ოსტატ ბერტონის ოჯახში დაბადებული ბოლომდე ისეთი დარჩა, როგორიც იყო — 14 კილოგრამი, 60 სანტიმეტრი. კი დაუდგინეს თავიდანვე: საბოლოოდ ბინას იმ ქალაქში დაიდებ, რომლის გუნდიც სამჯერ ზედიზედ ან ჯამში ხუთჯერ მოგიპოვებსო, მაგრამ სამჯერ ვინ ჩივის, ორჯერ ზედიზედ არავის გაუჩერდა. 21 წლისა იყო, ჩვენს მშობლიურ მხარეში გამოზაფხულ-გამოზამთრებას რომ დაყაბულდა, მაგრამ მერე ბელგიური თამაშგარეს ოსტატები დაიხმარა და თავის საყვარელ ადგილს, ბარსელონას მიაშურა.*

*ბარსელონა მართლაც ერთობ მოსწონდა და ცოტაც რომ დასცლოდა, ალბათ იქ დაბინავდებოდა, მაგრამ აღარ დასცალდა და დღეს მისი მფლობელი 32-ე გუნდი საზეიმოდ გაასვენებს ამქვეყნიდან. ამიერიდან მისი ადგილი ზეციური საფეხბურთო სამყაროში იქნება, სადაც, თუ მავანთ ვენდობით, კარგა ხნის გახურებულია მიტროპის თასი, ბრიტანეთის ჩემპიონატი ეროვნულ გუნდებს შორის და თვით სსრკ ჩემპიონატიც კი.*

*ნავა ჩვენგან დაუდეგარი თასი, მაგრამ ჩვენს გულებში მუდამ დარჩება მისი დაუფლებით გამოწვეული სიხარული.*

თასების თასის ფინალისწინა რეპორტაჟი ბირმინგემიდან იხილეთ მეშვიდე გვერდზე




რომაელ კრისტიან ვიერის თასების თასის ამ გათამაშებაში ჯერ არ გაუტანია

საქართველოს ჩემპიონატი 29 ტური

# არ ვარ მე ის!

სამტრედია
18 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

**იბერია 4:2 თსუ**

1:0 ჯაფარიძე (22ს.კ.), 2:0 ლურსმანაშვილი (29), 3:0 ვ. გიგიაძე (55), 4:0 ს. გიგიაძე (79), 4:1 ადამია (82), 4:2 გოგოლაძე (85)
იბერია: ვარდანიძე (ა. ჩომახიძე 69), ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე (ვარდიაშვილი 52), გეგეშიძე, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 62), ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგო:* ზ. ფხაკაძე
თსუ: მერლანი, ქანთარია, თ. ჯაფარიძე (კვახაძე 79), ინწკირველი, გვალია (ცინარიძე 78), ბუკია, ნინუა, პერტენავა (ქადაგიძე 57), ადამია, სვანაძე, დ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ბალიანი; დ. ჭელიძე
გაფრთხილება: ვ. გიგიაძე (12), ხუჭუა (72)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: მ. იაშვილი

იუზა კაციტაძე სამტრედიიდან

„სამტრედია" — თსუ-ს შარშანწინდელი ჯახი თუ გახსოვთ? მერვე ჩემპიონატის ბოლო ტური იყო. „ეროსი მანჯგალაძეზე" მასპინძლებს რჩეულთა შორის ადგილს მხოლოდ გამარჯვება უნარჩუნებდა. უნივერსიტეტელებსაც უჭირდათ, ოღონდ ამათ ფრეც აძლევდათ ხელს. ეს მატჩი დიდი სკანდალით მორჩა. არბიტრი თამაზ ლაცაბაძე ცოცხალ-მკვდარი გააპარეს სტადიონიდან, „ეროსიმ" გვარიანი ზარალი ნახა, „სამტრედიაზე" ხომ აღარ ითქმის, გუნდი პირველ ჯგუფს გამოემშვიდობა.

მაშინაც მაისი იყო და ახლაც მაისი გვიდგას. მეათე გათამაშება საფინიშო ციებცხელებას მოუცავს, თუმცა... რა შედარებაა, სამტრედიელებს მაშინდელზე უკეთ აქვთ საქმე, ჯგუფში დარჩენა პრაქტიკულად გარანტირებულია. თსუ-ს კი, მართალია, პირდაპირ გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ გადათამაშებისგან სულაც არ არის დაზღვეული...

ასე და ამრიგად. გუშინდელ მატჩში „იბერიაზე" მეტად 3 ქულა თსუ-ს სჭირდებოდა. სავარაუდოც იყო, რომ სტუდენტები მასპინძლებს დიდ ბრძოლას გაუმართავდნენ, მაგრამ ყველას გასაკვირად, ასე არ მოხდა. თსუ „იბერიას" მთავარი მწვრთნელის გარეშე და, ფაქტობრივად, თავისი ფარმკლუბელებით ესტუმრა. მიზეზი რომ ვიკითხეთ, გუნდში შექმნილი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამოო. ისე, სტუდენტებისა და ოთარ გაბელიასი არ იყოს, სამტრედიელებმაც მოისაკლისეს მთავარი მწვრთნელი, ოღონდ სოსო ფრუიძის არყოფნას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ იგი თავის კოლეგებთან ერთად იტალიაში კოვერჩანოს სკოლაში გაემგზავრა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მგონი, შესავალი გაგვიგრძელდა და ახლა თამაშზე ვთქვათ.

დასუსტებული თსუ რომ ხეირს ვერ ნახავდა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა. მასპინძლები უმალ დაეუფლნენ უპირატესობას და თითქმის მთელი სათამაშო დრო სტუდენტთა ნახევარზე გაატარეს. „იბერია" თავიდანვე გატანას ლამობდა, მაგრამ სიჩქარეში არაფერი გამოსდიოდა. საწყის 15 წუთში თსუ-ს კარს საფრთხე არ შექმნია. ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო.

მე-16 წუთზე ვასო გიგიაძემ კარგად გაუჭრა ხუჭუას, მან მარცხნიდან სტუმართა კარის გასწვრივ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ივეჩიანის მისამართით გაგზავნა, მაგრამ ეს უკანასკნელი ბურთს დასარტყმელად ვერ მიწვდა. მერე მუმლაძემ მარჯვნიდან ჩამოაწოდა კუთხური და ხუჭუამ ვერ გამოიყენა შანსი, ახლოდან აუცდა თავური.

სამტრედიელებმა ამ ეპიზოდიდან სამ წუთში იხეირეს. და, აი როგორ. შეტევაში ჩართულმა მარჯვენა მცველმა ნიკოლეიშვილმა თსუ-ს საჯარიმოს წინ ვასო გიგიაძეს ჩაუწოდა, ვასომაც იმარჯვა, ორ მცველს იოლად დაუსხლტდა და კარს მიახლოებული დასარტყმელად გაემზადა, მაგრამ აქ მას პარტნიორმა ხუჭუამ აართვა და თავად დაარტყა, მერლანმა ბურთი უკუაგდო, გადმოვარდნილს სტუმართა ცენტრალურმა მცველმა ჯაფარიძემ მიუსწრო და... მოგერიებისას მისამართი შეეშალა, საკუთარ კარში გაგზავნა.

სტუდენტებმა დაცვაში შეცდომებს უხშირეს და მალე მეორე გოლიც მიიღეს. ვასო გიგიაძემ „შენიღბული" პასი მარჯვნივ ნიკოლეიშვილს გაუჭრა, მანაც მყისვე სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ რამდენიმე იბერიელი იმყოფებოდა და, ვიდრე მცველები სიტუაციაში გაერკვევოდნენ, გელა ლურსმანაშვილმა ახლოდან უპრობლემოდ გაიტანა. შესვენებამდე დარჩენილ დროში „იბერიას" ორბურთიანი უპირატესობა, სულ მცირე, ოთხიანში უნდა გადაეზარდა, მაგრამ 37-ე წუთზე ვასო გიგიაძის სახიფათო დარტყმულს მეკარე დაუხვდა ვაჟკაცურად. ხუთ წუთში კი ვასოს ტყუპისცალმა სოსომ უძლიერესი შორეული დარტყმით ხარიხა შეაზანზარა. ისე, პირველ ტაიმში სტუმრებსაც ჰქონდათ თავის გამოჩენის ორი შესაძლებლობა. მასპინძელთა დაცვა დროდადრო უყურადღებოდ ტოვებდა წინ წაწეულ სტუდენტ გოგოლაძეს. ისიც ორჯერ სულ ახლო იყო მიზანთან, მაგრამ ჯერ ათიოდე მეტრიდან ააცილა, შემდეგ კი ნინუას ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ვარდანიძეს ვერ აჯობა.

სხვათა შორის, ვარდანიძემ მეორე ტაიმშიც იყოჩაღა, არა და არ გაახარა სტუდენტები. ორჯერ გოგოლაძეს და ერთხელაც ადამიას ურთულესი დარტყმები მოიგერია. მერე ოთარმა ახალბედა ალეკო ჩომახიძეს ჩააბარა პოსტი. უკვე 3:0 იყო. ტყუპებმა თსუ-ს საჯარიმოს წინ დანიშნული თავისუფალი გაითამაშეს და ვასომ სტუდენტა მეკარეს შანსი არ დაუტოვა, ზუსტი ძლიერი დარტყმით ბურთი მისგან შორეულ კუთხეში მოათავსა. მერე ტყუპებმა როლები გაცვალეს. ვასომ მერლანთან პირისპირ გაიყვანა ტყუპისცალი და სოსომაც იმარჯვა, მეოთხედ შეარხია სტუმართა კარის ბადე.

თამაშის ბოლოსკენ მასპინძლები ოდნავ მოეშვნენ და ორი გოლითაც დაისაჯნენ. გეგეშიძე საკუთარ მეკარეს აწვდიდა, ჩომახიძეს ბურთზე ფეხი აუცდა და ადამიამ ცარიელ კარში გაგზავნა. ეს ერთი. მეორეც სამტრედიელ მცველთა შეცდომას მოჰყვა. მათ უყურადღებოდ დატოვეს გოგოლაძე და სტუდენტმაც ფლანგიდან ჩაწოდებულს შეუჩერებელი ზუსტი დარტყმა მიაყოლა. მატჩის ანგარიშსაც აქ დაესვა წერტილი.

სათქმელად აღარაფერი დაგვრჩენია, რომ არა ერთი გაუგებრობა. თემურ ჯაფარიძეს, საკუთარ კარში უნებლიედ ბურთი რომ გაიტანა, ალბათ, თავისი გადაწყდა და... ესღა აკლდა — თამაშის ოქმში სამტრედიელი გელა ლურსმანაშვილის მიერ გატანილიც, რატომღაც, თსუ-ელს მიაწერეს. ორი ავტოგოლი?! ეს ხომ მარტო სამხრეთაფრიკელ პიერ ისას ხელ(თუ ფეხ)ეწიფება... ყოველი შემთხვევისათვის, მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს დავეკითხეთ:

*გელა ლურსმანაშვილი, „იბერიის" მცველი:* რას ამბობთ, მე გავიტანე! ხუჭუამ გაატარა და კარში დავარტყი.

*თემურ ჯაფარიძე, თსუ-ს მცველი:* პირველ გოლზე არაფერს ვამბობ, შევცდი. მეორე? არ ვიცი, რას მერჩიან. ჩემი კაცი მყავდა აყვანილი. გამტანის უკან კარგა მოშორებით ვიდექი. თუ გაუხარდებათ, ოთხივე გაშვებული მომაწერონ...



გუშინდელი „იბერია" — თსუ: მასპინძელმა ვასილ გიგიაძემ ერთი თავად გაიტანა და ორიც სხვებს გაატანინა

# ხომერიკი პოკერს ელის

ბათუმი
18 მაისი
18 საათი
დინამო
300 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 9:0 ოდიში**

1:0 მაჭუტაძე (6), 2:0, 3:0 ხომერიკი (31, 36), 4:0 ჭიჭვეიშვილი (44), 5:0 ხომერიკი (51), 6:0 გადელია (55), 7:0 ხომერიკი (60), 8:0 აფხაზავა (83), 9:0 რომანაძე (89)
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე (მჟავანაძე 46), გუჯაბიძე, სიჭინავა, რომანაძე, გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე (აფხაზავა 46), რუსია, ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ყულეჯიშვილი, მინდაძე, ღლონტი
ოდიში: გოგია, კაკულია, შონია, აკობია, შედანია (მებონია 46), შელია, იოსავა, კუტალია, გოგოხია, ალანია, ცაცუა
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი; კ. თბილელი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

მეათე ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. აგერ, ორი ტურიც და ყველაფერი ცხადი გახდება. თუმცა გასარკვევი აქამდეც თითქმის გარკვეულია.

გუშინ „დინამოზე" დაპირისპირებულმა კლუბებმა აწი ძალიანაც რომ მოინდომონ, მაინც ვერაფერს შეცვლიან. დიახ, ეს სეზონი როგორც „ბათუმს", ისე „ოდიშს" აშკარად ჩაუვარდათ. ოღონდ გააჩნია, ჩავარდნად ვის რას ჩავუთვლით.

შარშანდელი ვიცე-ჩემპიონები წლეულს მართლაც ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე. აბა, სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ მათ ბოლოხანს ჩვეულ საპრიზო სამეულში შესვლა ვერ მოახერხეს. ამას ვიღა ჩივის, ევროპაში გასასვლელი ბოლო შანსიც დაკარგეს, წინა ტურში „კოლხეთთან" რომ წააგეს სტუმრად 0:1. ჰოდა, ინტერტოტოს თასის საგზურიც ალბათ კოლხებს დარჩებათ. თუ რა თქმა უნდა დარჩენილი ორი მატჩიდან ორივე არ წააგეს ეს კი, დამეთანხმებით, ნაკლებრეალურია.

გაცილებით უარეს დღეში ჩავარდა „ოდიში". როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება მათი შარშანდელი და წლევანდელი სეზონი. ალბათ გახსოვთ, მეცხრე ჩემპიონატი რა კარგად დაიწყეს ზუგდიდელებმა და პირველ წრეში ლიდერთა მარაქაშიც ერივნენ. ამის მერე ფინანსურმა პრობლემებმა უწიათ და მეორე წრეში ცოტა კი უკლეს, მაგრამ მეხუთე საფეხურს მაინც შერჩნენ. წლეულს კი რა? არც არაფერი. კატასტროფა.

ზღვისპირელებისა არ იყოს, ოდიშართათვისაც წინა ტური საბედისწერო აღმოჩნდა. სწორედ „არსენალთან" მარცხის შემდეგ გაიფორმეს ოფიციალურად ქვედა ჯგუფის საგზური.

ბოლოს წინა ტური, წესით 19 მაისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ „ბათუმს" გამოტოვებული მატჩი დარჩა თსუ-სთან და სწორედ ამის გამო ფეხბურთის ფედერაციამ ორივე გუნდს 29-ე ტურის შეხვედრები ერთი დღით გადმოუწია, ხოლო გამოტოვებული მატჩი პარასკევისთვის დაინიშნა.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე სტადიონზე მისულს ხმები მომესმა, სტუმრები ბათუმში ჩამომსვლელები არ არიანო. თუმცა, მალე ისინიც მობრძანდნენ, თუ ამას მობრძანება ჰქვია. „ოდიში" ბათუმში მიკროავტობუსით ჩამოვიდა, რომელშიც ნემსის ჩასაგდები ადგილი არ იყო. აბა, წარმოიდგინეთ, რა კომფორტით იმგზავრებდნენ ზუგდიდელები და როგორ უნდა ეთამაშათ ამის მერე. თანაც კლუბის ხელმძღვანელობამ მხოლოდ 12 ფეხბურთელი იახლა. ისე, მეტი არც მიკროავტობუსში ჩაეტეოდა. არა, მართლაც დიდი სირცხვილია ზუგდიდელთა ასეთი სამარცხვინო ყოფა.

თვით თამაშის შესახებ რა უნდა გითხრათ. ცხად იყო „ბათუმი" იოლად მოიგებდა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა. ერთი სიტყვით, მასპინძელთაგან ვისაც არ დაეზარა ყველამ გაუტანა გასაცოდავებულ „ოდიშს". ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნი პაატა მაჭუტაძის პირველი ეფექტური გოლი და ლევან ხომერიკის პოკერია. რაც ზღვისპირელებმა გორის „დილა" 6:0 გაანადგურეს, ხომერიკს აღარ გაუტანია. არადა, მაშინაც ოთხჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე და ახლა ერთადერთი ფეხბურთელია, ოთხი გოლის გატანა ერთ სეზონში ორჯერ რომ შეძლო.

ბოლოს ერთიც უნდა ვთქვა. ნიგერიელი ლეგიონერი უჩე უვაკვე, ტრადიციულად, სათადარიგოთა სკამზე მჯდომიც კი ვერ ვიხილეთ. ვერ გეტყვით, ის შავი კაცი რომ ეთამაშებინათ, რას დააშავებდა.



ლევან ხომერიკს ოთხ გოლზე ნაკლები არ გააქვს

# ვინ არის მარჩელო მანჩინი?

## იტალიის სერია C-ში ასეთი მთავარი მწვრთნელი არ მუშაობს

ბათუმის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტის და ბატონ ასლან აბაშიძის სიძის, მარკო კალისტრალეს განცხადებამ, რომ სულ მალე ზღვისპირელებს შოთა ჭეიშვილის ნაცვლად იტალიელი სპეციალისტი გაწვრთნის, ქართულ საფეხბურთო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად ბატონმა კალისტრალემ ამ რამდენიმე დღის წინ ამ ინკოგნიტო იტალიელის ვინაობაც გვაცნობა. მისი თქმით, ბათუმელთა მომავალი მწვრთნელი ამჟამად იტალიის სერია C1-ის ერთ-ერთი კლუბის — „ვანდო ტალინას“ მთავარი მწვრთნელი მარჩელო მანჩინია, რომელიც რომის „ლაციოს“ ვარსკვლავის, რობერტო მანჩინის ალალი ბიძაშვილი ყოფილა (იგივე ბატონ კალისტრალეს სიტყვებით) და კოვერჩანოს ცნობილ სკოლაში თვით ტრაპატონისა და ანჩელოტისთან ერთად უმუშავია.

მარჩელო მანჩინის ბიოგრაფიის კიდევ უფრო დასაზუსტებლად „სარბიელმა“ საქართველოში კარგად ნაცნობ იტალიელ სპეციალისტს, რობერტო ლანდის მიმართა. ლანდიმ მანჩინის შესახებ ვერაფერი გვითხრა, ასეთი მწვრთნელი არ გამიგიაო.

საკითხში უკეთ გასარკვევად ამჯერად ინტერნეტს მივმართეთ. აღმოჩნდა, რომ იტალიაში სულ შვიდი პროფესიული ლიგაა. სერია A, B, C1a, C1b, C2a, C2b, C2c და შემდეგ მოყვარულთა ჩემპიონატი, რომელიც ცხრა ჯგუფს ითვლის.

ბუნებრივია, სერია A-სა და B-ში მარჩელო მანჩინის ძებნით თავი არ შეგვიწუხებია. აი, სერია C1-ში და C2-ში ძებნამ კი გასაოცარი შედეგი მოგვცა. ამ ხუთ სერიაში მოასპარეზე 90 კლუბში საერთოდ არ არის „ვანდო ტალინა“. მეტიც, არცერთში ამ 90 კლუბიდან მთავარ მწვრთნელად არ მუშაობს მარჩელო მანჩინი. ასე რომ, კითხვა, ვინ არის მარჩელო მანჩინი? კვლავ უპასუხოდ დარჩა.

**სიმონ მენაბდე**

# ერთის მაგივრად ორი

ერთი კვირაც და ქვეყნის თასის გათამაშებას ეროვნულ სტადიონზე იმერული დერბი დააგვირგვინებს. დიახ, 26 მაისს დედაქალაქში „ტორპედო“ — „სამგურალია“. ფინალის საცქერად მისული, უპრეცედენტო მოვლენის მომსწრე გახდება...

თქვენ წარმოიდგინეთ, ფინალში გამარჯვებული გუნდი ერთდროულად ორ თასს დაეპატრონება — ერთს სფფ-სას, ტრადიციულად რომ გადაეცემა საუკეთესოს და, მეორესაც, ცნობილი იტალიური ამწე მანქანების მწარმოებელი ფირმის „პრამაკ ინდუსტრიალეს“ მიერ დაწესებულს.

ეს ინიციატივა ფლორენციული ფირმის პრეზიდენტისგან მარიო კამპინოტისგან წამოვიდა. კამპინოტი ამასწინათ ქუთაისს სტუმრობდა (იტალიური ფირმა 3 წელია თანამშრომლობს საავტომობილო ქარხანასთან) და საქართველოს თასის ფინალში ორი იმერული კლუბის გასვლის ამბავი რომ შეიტყო, მასპინძლებს დაჰპირდა, თუ ეგრეა, ჩემგან საჩუქარს ელოდეთო. იტალიელმაც სიტყვა არ გატეხა და... აგერ — მაღალ დონეზე დამზადებული, მართლაც რომ მშვენიერი თასი. ფლორენციიდან გამოგზავნილი თასი დღესდღეობით იმერეთის გუბერნატორის კაბინეტს ამშვენებს, 26 მაისს საღამოს კი მას სამუდამო მფლობელი გამოუჩნდება. საინტერესოა, ვინ იქნება ის ბედნიერი, „სამგურალი“ თუ „ტორპედო“.

ერთი სიახლეც, შესაძლოა, „სამგურალი“ საფინალოდ წარსულში ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცმა რევაზ ბურკაძემ გაწვრთნას და თუ ასე არ მოხდა, მაშინ საამმატჩოდ არც დავით ყიფიანის კონსულტანტობაა გამორიცხული.

**იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან**



საქართველოს თასის ფინალში მოგებულს ეს პრიზიც გადაეცემა

# სეზონის ბოლოს ვილაპარაკოთ

„ვიტ ჯორჯიასთვის“ ჩამოკლებული სამი ქულის აღდგენა ჩემი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, ეს მთლიანად აღმასკომის პრეროგატივაა. აღმასკომის წევრები ისე მოიქცნენ, როგორც საჭიროდ ჩათვალეს. მე კი მათ გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ერთს კი დავამატებ — ფედერაციის წარმომადგენლები ყოველთვის მივესალმებით ისეთ ადამიანებს, როგორებიც ბატონი გურამ რუხაძე და ზოგიერთი სხვა კლუბის პრეზიდენტები არიან. სწორედ ისინი ეხმარებიან დღეს გაჭირვებულ ქართულ ფეხბურთს და უანგაროდ დებენ მასში ფულს. ფედერაციას ჩვენი ფეხბურთის წინსვლისთვის ძალიან სჭირდება ასეთი პიროვნებები, ამიტომ მათ ყველანაირად შევუწყობთ ხელს“ — გვითხრა ორი დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა ვალერი ჩოლარიამ.

პარასკევს გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან, რომელმაც ფედერაცია უპრინციპობაში და კლუბისთვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა. ბრალდების მთავარი მიზეზი აღმასკომის ბოლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ, რომლის თანახმადაც კლუბებისთვის ქულების დაკლების წესი გაუქმდა, „ვიტ ჯორჯიას“ კი ჩამორთმეული სამი ქულა არ აღუდგინეს. იმ ინტერვიუს ბოლოს ბატონი ვალერი ჩოლარიას აზრის გაცნობასაც დაგპირდით. სწორედ ამასთან დაკავშირებით ვეწვიეთ გენერალურ მდივანს, მაგრამ ბატონმა ვალერიმ მეტის თქმა არ ინება, თუმცა დაგვპირდა სეზონის ბოლოს ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბროთო.

**განო ოქროპირიძე**

# ბოსკამპმა ახალი ხუთეული შეარჩია

ჩემპიონთა ლიგისთვის თბილისის „დინამომ“ შიდასასელექციო მუშაობა გააცხოველა. როგორც შევიტყვეთ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ათგზის ჩემპიონი ხუთი ახალი ფეხბურთელით გაძლიერდება. „დინამო“ „ლოკომოტივიდან“, ალბათ, ნიუიორკმოვლილ დავით მუჯირს დაიბრუნებს. ბულგარეთში წასვლის ვარიანტი გამოერიცხა „არსენალელ“ ზაზა ზირაქიშვილს და მასაც „დინამოში“ ვიხილავთ.

ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკის“ დაწუნებულ „ბათუმელ“ დავით ჭიჭვეიშვილს და რუსთავის გორდელ კახა სიდამონიძესაც ეკურკურება. ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „დინამოს“ დაუბრუნდება „სამგურალში“ ხელახლა დაბადებული მამუკა აფციაური, რომლის დებიუტი პირველ ქართულ კლუბში 16 წლის ასაკში შედგა.

**სიმონ მენაბდე**

# უკრაინელები იცინიან

უკრაინის პრემიერდივიზიონში (იქაური ჟურნალისტები სწორედ ასე მოიხსენიებენ რჩეულთა ჩემპიონატს) მოასპარეზე ტერნოპოლის „ნივას“ თამამად შეიძლება ქართული გუნდი ვუწოდოთ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ავთანდილ მდინარაძის გარდა მასში შვიდი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება. შარშან კლუბის ღირსებას 8 ქართველი ფეხბურთელი იცავდა, მაგრამ სეზონის წინ შალვა ხუჯაძეს „ნივის“ დატოვება მოუხდა (ამჟამად იგი თბილისურ „ლოკომოტივში“ თამაშობს).

ჩემპიონატის 25-ე ტურში „ნივა“ საშინაო შეხვედრაში ვიტალი დარასელიას ცსკა-სთან 1:2 დამარცხდა და კრიტიკის ქარცეცხლიც დაიტეხა თავს. იქაური ჟურნალისტები კლუბის ხელმძღვანელობას უკვე შეუფარავად უწუნებენ „ქართულ ორიენტაციას“ და „ნივაში“ შექმნილ მდგომარეობას ორი სიტყვით აფასებენ — კომიკური სიტუაცია.

მოვლენები მართლაც სწრაფად ვითარდება. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყების წინ ტერნოპოლურ კლუბს ფავორიტთა შორის მოიხსენიებდნენ, დღეს კი...

დარჩენილ ხუთ ტურში ნიველ ქართველებს მართლაც დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა უკრაინელ ჟურნალისტებს ირონიული ტონი ოდნავ მაინც შეაცვლევინონ, თორემ ტერნოპოლელთა დღევანდელი მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. 16-გუნდიან ჩემპიონატში კლუბი დღეისთვის მე-12 ადგილზეა და მეთოთხმეტეადგილოსან „დნეპრს“ 3 ქულით უსწრებს. თან დნეპრისპირელებს „ნივაზე“ ორი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

**პაატა ქვანტალიანი**

# მეორე ჯგუფი

## დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

XXIV ტური

14 მაისი

**მეშახტე 4:3 იბერია 2**

1:0 გ. ხელაძე (18), 1:1 ბანძელაძე (24), 2:1, 3:1 კანკია (41, 44), 3:2 ა. ჩხაიძე (47), 3:3 რ. ცომაია (82), 4:3 გ. ხელაძე (89)
გაფრთხილება: თ. გაბრიჭიძე (მეშახტე), ნ. გიორგაძე, ა. ჩხაიძე (ორივე იბერია 2)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ჩიხურა 0:1 რიონი**

0:1 ნაროუშვილი (27)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**საირმე 0:1 ტორპედო 2**

0:1 ბ. მუშკუდიანი (80)
გაფრთხილება: უგულავა (საირმე), ბ. მუშკუდიანი (ტორპედო 2)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**გაგრა 1:1 სულორი**

0:1 კაპატაძე (14), 1:1 ვ. ქუთათელაძე (39)
გაფრთხილება: თირქია (გაგრა)
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**მარგვეთი 1:1 ოკეანე**

1:0 ქურციკიძე (40), 1:1 კაცაძე (54)
გაფრთხილება: ს. გოგია, ზ. ხელაძე (ორივე ოკეანე)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**მაღაროელი — სამგურალი 2**

*არ შედგა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 22 | 19 | 3 | 0 | 69:17 | 60 |
| მარგვეთი | 22 | 17 | 3 | 2 | 74:24 | 54 |
| მეშახტე | 22 | 14 | 1 | 7 | 55:36 | 43 |
| ოკეანე | 23 | 13 | 3 | 7 | 34:32 | 42 |
| გაგრა (-3) | 22 | 13 | 2 | 7 | 45:26 | 38 |
| სამგურალი 2 | 21 | 11 | 4 | 6 | 40:34 | 37 |
| რაჭა | 22 | 9 | 2 | 11 | 46:44 | 29 |
| რიონი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:31 | 28 |
| ტორპედო 2 | 22 | 7 | 4 | 11 | 26:30 | 25 |
| იბერია 2 | 23 | 6 | 4 | 13 | 41:49 | 22 |
| საირმე (-3) | 22 | 4 | 2 | 16 | 16:44 | 11 |
| ჩიხურა (-3) | 22 | 2 | 3 | 17 | 27:82 | 6 |
| მაღაროელი (-3) | 21 | 1 | 3 | 17 | 23:73 | 3 |

## „ბ“ ქვეჯგუფი

XXIV ტური

13 მაისი

**ენგური 3:0 ეგრისი**

*„ეგრისი“ არ გამოცხადდა*

14 მაისი

**სქური 1:0 შუქურა**

1:0 კვირკვია (63)
გაფრთხილება: დ. ჯოლოხავა, პ. კვარაცხელია (ორივე სქური), ლომთათიძე, ჩელებაძე (ორივე შუქურა)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ფაზისი 2:2 კოლხეთი 2**

0:1 კრასოვსკი (38), 1:1, 2:1 ჯღარკავა (51, 60), 2:2 დოლბაია (84)
გაფრთხილება: ჯღარკავა, აბდუშელიშვილი (ორივე ფაზისი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**მერცხალი 4:1 სალხინო**

1:0, 2:0 მანჯავიძე (39,51), 2:1 ლაგვილავა (57), 3:1, 4:1 ს. ტულუში (75,88)
გაფრთხილება: ჯიბლაძე, აბაშიძე (ორივე მერცხალი)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ოდიში 2 3:2 კოლხეთი**

0:1, 0:2 ლ. ბუკია (38, 52), 1:2 ლიპარტია (56), 2:2 ვაზგანავა (57), 3:2 შელია (82)
გაფრთხილება: ზ. აიანადი, ონიანი (ორივე კოლხეთი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ბახმარო 1:0 კოლეჯი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 22 | 17 | 2 | 3 | 66:16 | 53 |
| კოლეჯი | 22 | 12 | 5 | 5 | 40:21 | 41 |
| შუქურა | 22 | 12 | 3 | 7 | 44:29 | 39 |
| ფაზისი | 22 | 12 | 2 | 8 | 44:31 | 38 |
| სქური | 22 | 12 | 2 | 8 | 45:45 | 38 |
| ენგური | 22 | 11 | 5 | 6 | 46:32 | 38 |
| ოდიში 2 | 22 | 9 | 6 | 7 | 33:27 | 33 |
| მერცხალი | 22 | 9 | 2 | 11 | 35:36 | 29 |
| ბახმარო | 23 | 8 | 4 | 11 | 23:33 | 28 |
| ეგრისი | 23 | 6 | 5 | 12 | 25:47 | 23 |
| კოლხეთი 2 | 22 | 6 | 4 | 12 | 20:43 | 22 |
| სამეგრელო | 22 | 5 | 4 | 13 | 28:43 | 19 |
| სალხინო | 22 | 3 | 0 | 19 | 34:80 | 9 |

## აღმოსავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

XXVIII ტური

13 მაისი

**უნივერსიტეტი იბერია 1:0 ხალიბი**

1:0 ადეიშვილი (63)
გაფრთხილება: სულაშვილი (ხალიბი)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**არსენალი 2 3:0 ზოოვეტი**

1:0, 2:0, 3:0 რობაქიძე (30, 35, 70)
გაფრთხილება: ზაკუტაშვილი (ზოოვეტი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**დინამო 3 3:0 ალგეთი**

14 მაისი

**აკადემია 5:0 ქანაგკო**

1:0 კოჩაძე (23), 2:0 კვიციანი (28), 3:0 დ. ბახტაძე (30), 4:0 ჯულელი (38), 5:0 დ. ბახტაძე (69).
გაფრთხილება: მირიანი (ქანაგკო)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სამგორი 0:3 ჭაბუკიანი**

0:1 მარგიევი (29), 0:2, 0:3 მერებაშვილი (61, 85)
გაფრთხილება: გაფრინდაშვილი, კიღილაძე, ისკანდეროვი (ყველა სამგორი), მარგიევი, შეყილაძე (ორივე ჭაბუკიანი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ყვარელი 0:1 ლარწყალი**

0:1 ტოკლიკიშვილი (83)
გაფრთხილება: მიქაბერიძე (ყვარელი), ვ. გელაშვილი, სირაძე (ორივე ლარწყალი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

15 მაისი

**მრეტები 0:3 კახეთი**

0:1, 0:2 ბაბულაიძე (9, 18), 0:3 თ. მაისურაძე (57)
გაფრთხილება: თ. მაისურაძე (კახეთი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 26 | 22 | 2 | 2 | 61:9 | 68 |
| ლარწყალი | 26 | 21 | 5 | 0 | 79:16 | 68 |
| ყვარელი | 26 | 16 | 5 | 5 | 44:19 | 53 |
| ჭაბუკიანი (-3) | 26 | 16 | 4 | 6 | 49:23 | 49 |
| არსენალი 2 | 26 | 15 | 3 | 8 | 43:24 | 48 |
| კახეთი | 26 | 13 | 6 | 7 | 48:32 | 45 |
| ხალიბი | 26 | 13 | 2 | 11 | 41:31 | 41 |
| დინამო 3 | 26 | 12 | 3 | 11 | 41:37 | 39 |
| ზოოვეტი | 26 | 10 | 7 | 9 | 46:43 | 37 |
| უნივერსიტეტი იბერია | 26 | 8 | 4 | 14 | 24:31 | 28 |
| ალგეთი | 27 | 7 | 1 | 19 | 28:61 | 22 |
| მრეტები | 27 | 5 | 2 | 20 | 26:56 | 17 |
| ალაზანი | 26 | 5 | 2 | 19 | 27:65 | 17 |
| სამგორი | 26 | 4 | 3 | 19 | 28:65 | 15 |
| ქანაგკო (-3) | 26 | 3 | 3 | 20 | 19:95 | 9 |

## „ბ“ ქვეჯგუფი

XXIV ტური

13 მაისი

**ცხინვალი 4:0 ვარძია**

1:0 ტილკავაშვილი (9), 2:0 მოსიაშვილი (15), 3:0 ბოჭორაძე (19), 4:0 წიქარიძე (24)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ლოკომოტივი 2 3:1 განთიადი**

1:0 გ. ჯანელიძე (43), 1:1 ფეიქრიშვილი (76), 2:1 მორჩილაძე (80), 3:1 სადალაშვილი (81)
გაფრთხილება: თოდაძე (ლოკომოტივი 2), ხაჩირაშვილი (განთიადი)

**მესხეთი 3:0 დილა 2**

*„დილა 2“ არ გამოცხადდა.*

14 მაისი

**ქარელი 1:4 დინამო 2**

0:1 ი. შენგელია (4), 0:2 გ. კვარაცხელია (17), 0:3 გ. მიქაძე (40), 0:4 ვალერი გაგუა (50), 1:4 მწყერაშვილი (67)
გაფრთხილება: ზ. ნადირაძე, ბეგალიშვილი (ორივე ქარელი)
გაძევება: ბეგალიშვილი (50, ქარელი), ლ. მელქაძე (50, დინამო 2)

**იბერია 6:4 თორი**

1:0 გ. სამხარაძე (1), 2:0 ღვინცაძე (11), 3:0 კოშკაძე (29), 3:1 ლომიძე (33), 4:1 გ. სამხარაძე (51), 5:1 ღვინცაძე (53), 6:1 ტატიშვილი (69), 6:2 წიქარიშვილი (70), 6:3 ლომიძე (74), 6:4 ქობესაშვილი (77)
გაძევება: თ. კუპატაძე (36, იბერია)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ივერია 3:0 ჟინერი**

16 მაისი

**ცხუმი 2:1 საუ**

0:1 თალაკვაძე (21), 1:1 კაკაბაძე (57), 2:1 დევდარიანი (75)
გაფრთხილება: ცაავა, ჭანტურიძე, ოქრომელაძე (ყველა ცხუმი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

XXIII ტურის მატჩი

17 მაისი

**იბერია 0:7 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 23 | 21 | 0 | 2 | 72:15 | 63 |
| ცხინვალი (-3) | 24 | 20 | 2 | 2 | 68:14 | 59 |
| ქარელი | 24 | 15 | 3 | 6 | 52:19 | 48 |
| ლოკომოტივი | 223 | 15 | 3 | 5 | 60:34 | 48 |
| ივერია | 24 | 13 | 6 | 5 | 56:31 | 45 |
| ცხუმი | 24 | 11 | 4 | 9 | 44:33 | 37 |
| განთიადი | 24 | 10 | 4 | 10 | 40:42 | 34 |
| საუ | 24 | 8 | 5 | 11 | 41:42 | 29 |
| თორი | 24 | 8 | 2 | 14 | 33:41 | 26 |
| მესხეთი | 24 | 7 | 5 | 12 | 38:48 | 26 |
| იბერია | 24 | 7 | 1 | 16 | 46:60 | 22 |
| დილა 2 | 24 | 5 | 3 | 16 | 28:59 | 18 |
| ვარძია | 24 | 4 | 4 | 16 | 21:64 | 16 |
| ჟინერი | 24 | 1 | 2 | 21 | 18:106 | 5 |

*შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვთ სამი ქულა*

საქართველოს ჩემპიონატი **28 ტური**

# ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო! მობილური ტური



„დინამოს“ ლიდერ რატი ალექსიძეს ჩემპიონობას ძმისშვილი ულოცავს

აჰა, მეათედ იჩემპიონა „დინამომ“. მეათეჯერაც დაიმშვენა მკერდი ოქროთი, მეათედ გაიხარეს ბიჭებმა. ევროპის რეკორდსაც გამოჰკრეს ხელი და ახლა ჩემპიონთა ლიგას უმიზნებენ. სურვილების ასრულება დაგელოცოთ, მარადმწვანე ჩემპიონებო, ის ნაბისყოფა დაგელოცოთ, რისი წყალობითაც არ გბეზრდებათ ეროვნულ გათამაშებაში მარჯვედ ბურთაობა, ის საბრძოლო ჟინი დაგელოცოთ, 3:0-ზე, 4:0-ზე და 5:0-ზეც გოლების გატანის მოთხოვნილებას რომ არ გინელებთ...

28-ე ტურში ბევრი რამ გაირკვა. იმაზე მეტი, ვიდრე ველოდით. ეგაა ერთი, ვერცხლს არ გამოუჩნდა პატრონი. ნათელი გახდა, რომ „ლოკომოტივი“ მხოლოდ ბრინჯაოთი დაკმაყოფილებას არ აპირებს, უმცირეს შანსსაც არ უშვებს ხელიდან, როგორმე „ტორპედოს“ თითქმის განაღდებული უეფას საგზური ჯიბიდან ამოაცალოს. ასე რომ, სავერცხლო ინტრიგა არ ჩამცხრალა, და... ამ თემას ქვემოთაც დავუბრუნდებით.

ბედკრულ „გურიას“ შაბათს „ოდიში“ შეუამხანაგდა. ზუგდიდელებს არმიელებმა გამოუწერეს მეორე ჯგუფის საგზური.

მეოთხეადგილოსნის ვინაობაც თითქმის გაცხადდა ტურის ცენტრალურ შეხვედრაში. „კოლხეთისა“ და „ბათუმის“ ორთაბრძოლები ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩეოდა. მოსასვენებლად არც ამჯერად ჰქონდათ დრო „ფაზისზე“ მობურთალეებს. ამ მატჩზე ინტერტოტოზე გასასვლელი ფაქტობრივი დოკუმენტი გათამაშდა. ფაქტობრივი, რადგან იურიდიულად 26 მაისის თასის ფინალის შედეგი გადაწყვეტს მეოთხეადგილოსნის ევროსარბიელზე გასვლის უფლებას. ფოთში გულშემატკივარმა თანაბარი თამაში იხილა. თითქმის ყველა ფრეს იყო შეგუებული, მაგრამ კოლხმა ქობულაძემ მხოლოდ ქულით დაკმაყოფილება არ ინება, სამ ბათუმელ მცველთან ჭიდილში იმარჯვა და ისე გაისროლა, აჭარლებს წლევანდელი საევროპო მზე ეტყობა საბოლოოდ დაუბნელა.

გადათამაშებისთვის თავის დასაღწევად მებრძოლი სამი გუნდიდან მხოლოდ თსუ-მ ვერ მოიგო. უხელფასობის გამო გაფიცულმა სტუდენტთა ძირითადის ბირთვმა არ ინება „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ თამაში. არც ვიტელებმა დაინდეს სახიფათო ზონაში მყოფი უნივერსიტეტელები და ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს.

„ვიტ ჯორჯიასგან“ განსხვავებით, შედარებით ლოიალურად განწყობილი მეტოქეები სტუმრობდნენ ბოლნისსა და წყალტუბოში. ჰოდა, „სიონსა“ და „სამგურალს“ არ გასჭირვებიათ სასურველი შედეგის მიღწევა.

ოო, ახლა კი ვერცხლის მოყვარულთა დავიდარაბის ამბებიც ვიკითხოთ. როგორ ფიქრობთ, შორია ავჭალიდან რუსთავამდე? ჰა-ჰა, 15 წამის სავალია. როგორ? როგორ და დაახლოებით 15 წამია საჭირო მობილური ტელეფონის ღილაკებზე სასურველი ნომრის ასაკრეფად და... ალო, გისმენ, რა ანგარიშია? ეს წუთია, გოლი გავიდა! არ დაგავიწყდეთ, რომ სატელიტური კავშირი არც ნავთლუღის ტერიტორიასთანაა მწყრალად. „შევარდენის“ სტადიონზეც წკრიალებს ეგ ძვირადღირებული დალოცვილი ზარი... ახლა გულზე დაიდეთ ხელი და 27-ე ტურის სატურნირო ცხრილი მოიძიეთ და დააკვირდით ყურადღებით. მიგითითებთ შემდეგ წყვილებს: „მერანი“ — „ტორპედო“, „გორდა“ — „ლოკომოტივი“, თსუ — „ვიტ ჯორჯია“. ხედავთ რაიმე კავშირს? დაგეხმარებით. „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ მეორე ადგილს ეცილებიან ერთმანეთს. თსუ და „გორდა“ იმისთვის იბრძვიან, როგორმე გადათამაშებას აცდნენ.

თუ „ტორპედო“ წააგებს, „ლოკომოტივს“ შანსი უნარჩუნდება და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. თუ თსუ-ც წააგებს, „გორდა“ მშვიდდება, ბოლო ტურში ხომ „გურიას“ მასპინძლობს. მავანი იკითხავს, წააგებს, მოიგებს, კარგია, ეგ რა მსჯელობაა, თამაშები ხომ ერთდროულად იწყებაო. მეც მანდა ვარ. ახლა რუსთავური მატჩის ოქმს გადაავლეთ თვალი და შეხვედრის დასაწყისი ნახეთ — 18.15 საათი. ჰო, ჰო, არაფერი გეშლებათ. აბა, ვის ეშლება? ვის და რუსთავის სასწრაფო დახმარების მძღოლს. ისე აფორიაქებულმა შემოაჭენა თავისი ავტო „ფოლადზე“ მატჩამდე ნახევარი საათით ადრე, რომ ექიმი საავადმყოფოში დარჩენია... ჰოდა, 15 წუთით „დაიგვიანა“ თეთრხალათიანმა სტადიონზე მისვლა. ამ 15 წუთმაც უამრავი პრობლემა გადაჭრა. როგორ ადვილად გვარდება ყოველივე.

ჰოო, რა უცინიათ „ფოლადზე“ ფეხბურთის სანახავად მისულთ. თავიდან კი გაკვირვებიათ, რატომ გვიანდებაო მატჩის დაწყება, მაგრამ მერე ხშირ-ხშირად ელიმებოდათ ულვაშებში.

სასწრაფო დახმარების მძღოლს კი არაფერი შეშლია. სტადიონზე პატიოსნად მოგრიალდა...

**ხვიჩა სანიკიძე**

**XXIX ტური**

18 მაისი

იბერია— თსუ (1:1)

ბათუმი — ოდიში (1:2)

19 მაისი

დილა — დინამო (0:4)

ტორპედო — გორდა (7:1)

ლოკომოტივი — სიონი (0:0)

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი (1:2)

გურია — მერანი (0:3)

სამგურალი — არსენალი (1:1)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

თბილისი
15 მაისი
18 საათი
ეროვნული
1 200 (ტევადობა 75 000)

## დინამო 7:1 გურია

1:0 ჯინჭარაძე (31), 2:0 აშვეთია (35), 3:0 კიკნაძე (45), 4:0 ალექსიძე (53), 4:1 დ. მახარაძე (54), 5:1, 6:1 აშვეთია (59, 80), 7:1 ჩომახიძე (88)
**დინამო:** გვარამაძე, ხიზანიშვილი, დიდავა, მაჭავარიანი (ხიზანეიშვილი 46), ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, კ. გოგიჩაიშვილი, აშვეთია, პ. ჯინჭარაძე (ქებაძე 54), გუჩუა (ჩომახიძე 60)
*სათადარიგონი:* მამალაძე; ა. მუჯირი, ტულუში
**გურია:** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი (ჭიაბრიშვილი 46), შ. მახარაძე, კ. სვანიძე, გულორდავა (ძოძუაშვილი 59), შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (მაჩიტიძე 46), ბოლქვაძე
*სათადარიგო:* ფირცხალაიშვილი
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. დოლიძე მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

ბოლნისი
15 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:0 იბერია

1:0 მოსეშვილი (47)
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (გ. ჩალაძე 35), ტყავაძე (ლ. გაგუა 84), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე, ხიდაშელი
**იბერია:** ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე (ზ. ფხაკაძე 82), ლურსმანაშვილი, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 82), ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, ცომაია (ვარდიაშვილი 67), ივეჩიანი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგო:* გ. დოლიძე
**გაფრთხილება:** შაკიაშვილი (24)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ა. ორდინიძე, ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი
15 მაისი
18 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 10 000)

## თსუ 2:5 ვიტ ჯორჯია

0:1 მაზიაშვილი (8), 1:1 ბუკია (23), 1:2 მაზიაშვილი (39), 1:3 მაისურაძე (43), 1:4 მაზიაშვილი (68), 2:4 ინწკირველი (72), 2:5 ბოკერია (80)
**თსუ:** მერლანი, ქანთარია, თ. ჯაფარიძე, ინწკირველი, გვალია (კვაჭაძე 74), ბუკია (ემრაშვილი 81), სვანაძე, ადამია, ქადაგიძე, დ. გოგოლაძე, პერტენავა (დ. ჭელიძე 55)
*სათადარიგო:* ცინარიძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე (ნოზაძე 46), ბარქაია, კ. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ზ. გვაზავა 60), თ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია 46)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ერაძე
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

თბილისი
15 მაისი
18 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:1 ტორპედო

1:0 ამბიძე (21), 1:1 მაზანიშვილი (67), 2:1 ამბიძე (79)
**მერანი:** ლომაია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, გელა ქორიძე, ჭინჭარაული, ბაჯელიძე (ჯიშკარიანი 69), ბ. ამბიძე (კარიაული 85), ჩუხუა, დავითაშვილი (დევიძე 56)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; თოლორდავა, დ. ჭელიძე, ბერაია
**ტორპედო:** ჭანტურია, თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, ახვლედიანი (მაზანიშვილი 46), კვეტენაძე, მალაკელიძე, დ. ჯანაშია, იონანიძე (კ. მეტრეველი 56), ვაჩიბერაძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* სტურუა; ჩხაბერიძე, კ. ჯანაშია
**გაფრთხილება:** ჭინჭარაული (53), მაზანიშვილი (56), ჩუხუა (73), თურმანიძე (78)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე, ზ. მჭედლიშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

წყალტუბო
15 მაისი
18 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 3:1 დილა

1:0 პეტრიაშვილი (10), 2:0 კილასონია (18), 2:1 ახალკაცი (43), 3:1 შენგელია (69)
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (ფრანგიშვილი 46), ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 64), გ. კილასონია, პეტრიაშვილი, სუხიაშვილი, შენგელია (გლუნჩაძე 73)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; ლონღაძე, ზ. ქუთათელაძე
**დილა:** თ. ილურიძე, გაგნიძე, ხაჭაპურიძე, ლომიძე, აკოფიანი (კარელიძე 75), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 73), სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი (გუდურაშვილი 75)
*სათადარიგო:* ხიხალაშვილი
**გაფრთხილება:** კილასონია (22), ჯინჭარაძე (62), გოჩაშვილი (68)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე, დ. სანაია (ორივე სოხუმი); ა. ხეცაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

რუსთავი
15 მაისი
18.15 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:2 ლოკომოტივი

0:1, 0:2 გოგობერიშვილი (36, 49)
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე 68), მ. მელაძე, ზირაქაძე, ჩიგოშვილი (კიტეიშვილი 55), პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ლაბაძე 76)
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; რ. მახარაძე, მჭედლიძე, მენთეშაშვილი
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (შ. ხუჯაძე 79), გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ნ. მინდიაშვილი (დ. გოდერძიშვილი 46), კ. მელქაძე, გ. ღუდუშაური, კოტორაშვილი (დ. ბაქრაძე 60)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ნ. მელაძე
**გაფრთხილება:** ბექაური (75)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ასკაროლლი (ქარელი), ვ. ელოევი (ცხინვალი); თ. ზანდარაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ფოთი
15 მაისი
18 საათი
ფაზისი
3 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 ბათუმი

1:0 ქობულაძე (73)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ამაშუკელი 63), ანჯაფარიძე, ტრაპაიძე (ღლონტი 86), შალამბერიძე, კალანდაძე, ბულუხია, ე. გვასალია (შავგულიძე 64), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, პაპავა, ჩადუნელი
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, ი. მახარაძე (ღლონტი 85), თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, გადელია, ხომერიკი (აფხაზავა 77)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, მინდაძე, რომანაძე
**გაფრთხილება:** ტოგონიძე (20), ანჯაფარიძე (59), გიორგაძე (59), მ. მახარაძე (59), კალანდაძე (77)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ი. შენგელია (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

თბილისი
15 მისი
18 საათი
ისანი
500 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 3:0 ოდიში

1:0, 2:0, 3:0 ტარიელაშვილი (25, 37, 80)
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე 55), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (გ. სულაძე 83), აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვ. გაგუა, ხოსროშვილი, კოხრეიძე
**ოდიში:** გოგია, კაკულია, შონია, აკობია, შედანია, შელია, იოსავა, კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგო:* ვახანია
**გაფრთხილება:** ყოლბაია (49)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); მ. მაისურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ბომბარდირები**

24 - აშვეთია — *დინამო*

18 - დ. მახარაძე — *გურია*

15 - იონანიძე — *ტორპედო*

14 - ხომერიკი — *ბათუმი*
დ. ჯანაშია — *ტორპედო*

13 - ე. გვასალია — *კოლხეთი*
მეგრელაძე — *ტორპედო*
წივწივაძე — *ლოკომოტივი*

12 - ალექსიძე — *დინამო*
ზირაქიშვილი — *არსენალი*

**სიმბოლური ნაკრები**

მიხეილ მაზიაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
დავით ტარიელაშვილი — *არსენალი*
არჩილ სახვაძე — *დინამო*
გიორგი კიკნაძე — *დინამო*
რატი ალექსიძე — *დინამო*
გელა ქორიძე — *მერანი*
კახა გოროზია — *კოლხეთი*
მიხეილ ქობულაძე — *კოლხეთი*
ედიშერ ალადაშვილი — *მერანი*
ჯონი შალამბერიძე — *კოლხეთი*
მამუკა გვასალია — *კოლხეთი*

გუნდი: კოლხეთი

მწვრთნელი: გია ტყებუჩავა *კოლხეთი*

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 28 | 22 | 5 | 1 | 83:16 | +67 | 71 | 14 | 12 | 2 | 0 | 55:10 | +45 | 38 | 14 | 10 | 3 | 1 | 28:6 | +22 | 33 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 28 | 19 | 4 | 5 | 67:26 | +41 | 61 | 14 | 11 | 2 | 1 | 37:9 | +28 | 35 | 14 | 8 | 2 | 4 | 30:17 | +13 | 26 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 28 | 16 | 10 | 2 | 36:13 | +23 | 58 | 14 | 9 | 5 | 0 | 18:4 | +14 | 32 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:9 | +9 | 26 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 28 | 14 | 6 | 8 | 54:35 | +19 | 48 | 14 | 10 | 1 | 3 | 35:12 | +23 | 31 | 14 | 4 | 5 | 5 | 19:23 | -4 | 17 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 27 | 10 | 11 | 6 | 35:20 | +15 | 41 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:7 | +18 | 26 | 14 | 3 | 6 | 5 | 10:13 | -3 | 15 |
| 6 ვიტ ჯორჯია (10) | 6 | 28 | 13 | 4 | 11 | 39:28 | +11 | 40 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:11 | +8 | 23 | 14 | 6 | 2 | 6 | 20:17 | +3 | 20 |
| 7 მერანი (7) | 7 | 28 | 10 | 9 | 9 | 26:26 | 0 | 39 | 14 | 6 | 5 | 3 | 11:7 | +4 | 23 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 |
| 8 იბერია (დ) | 8 | 28 | 10 | 5 | 13 | 40:43 | -3 | 35 | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | +6 | 19 | 14 | 5 | 1 | 8 | 19:28 | -9 | 16 |
| 9 დილა (9) | 9 | 28 | 10 | 5 | 13 | 36:48 | -12 | 35 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:17 | +6 | 23 | 14 | 3 | 3 | 8 | 13:31 | -18 | 12 |
| 10 არსენალი (დ) | 10 | 28 | 9 | 11 | 8 | 34:41 | -7 | 38 | 14 | 4 | 7 | 3 | 18:20 | -2 | 19 | 14 | 5 | 4 | 5 | 16:21 | -5 | 19 |
| 11 გორდა (11) | 11 | 28 | 7 | 10 | 11 | 26:40 | -14 | 31 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:19 | -2 | 20 | 14 | 2 | 5 | 7 | 9:21 | -12 | 11 |
| 12 სამგურალი (12) | 12 | 28 | 9 | 3 | 16 | 30:51 | -21 | 30 | 14 | 5 | 1 | 8 | 15:20 | -5 | 16 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:31 | -16 | 14 |
| 13 თსუ (8) | 13 | 27 | 6 | 9 | 12 | 23:34 | -11 | 27 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:23 | -5 | 15 | 13 | 2 | 6 | 5 | 5:11 | -6 | 12 |
| 14 სიონი (13) | 14 | 28 | 7 | 7 | 14 | 26:47 | -21 | 28 | 14 | 5 | 6 | 3 | 16:14 | +2 | 21 | 14 | 2 | 1 | 11 | 10:33 | -23 | 7 |
| 15 ოდიში (5) | 15 | 28 | 6 | 2 | 20 | 20:58 | -38 | 20 | 14 | 4 | 1 | 9 | 13:25 | -12 | 13 | 14 | 2 | 1 | 11 | 7:33 | -26 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 28 | 3 | 3 | 22 | 29:78 | -49 | 12 | 14 | 3 | 1 | 10 | 18:33 | -15 | 10 | 14 | 0 | 2 | 12 | 11:46 | -35 | 2 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

— არადა, ერთ დროს ხის ძირში ეყარა უპატრონოდ და არავის სურდა მისი დაუფლება.
— რაზე ლაპარაკობ?
— იყო მიმობნეული ქვიშიან ნიადაგზე, სულიერთაგან ვერავინ ბედავდა მასთან მიახლოებას. ყვავ-ყორნებსაც თვალს ჭრიდა მისი ბრწყინვალება. ხის ტოტზე კი ჩამოხრჩობილი მსხვერპლი ეკიდა, მისგან შეცდენილი ღალატის სიმბოლო...
— აღარ მეტყვი ბოლოს და ბოლოს, რაზე საუბრობ?
— ვერცხლზე! ოცდაათ ვერცხლზე...
— ვერცხლზე?
— ჰო, ოღონდ ეგ ამბავი 20 საუკუნის წინათ მოხდა. მაშინ 30 ვერცხლად გაყიდა იუდამ ქრისტე, 30 ვერცხლად უღალატა ძე-ღმერთს.
— მეც წამიკითხავს ეგ ისტორია. მერე?
— მერე ასეულმა წლებმა ვერაფერი დააკლეს ვერცხლის ძალას და ვერც ღმერთს...
— იცი? ყოველთვის მიკვირდა, რატომ შეაფასა უფალმა თავისი სიცოცხლე მაინცდამაინც 30 ვერცხლად.
— სიცოცხლე კი არა, ღალატი.
— ღალატი, რომელსაც მაცხოვრის ჯვარცმა მოჰყვა...
— გინდა თქვა, რატომ ოქროთი არ აცდუნაო იუდა ისკარიოტელი?
— დაახლოებით.
— ალბათ, იმიტომ, რომ ოქრო ყველაზე უძვირფასესი (ნივთიერი) განძია ამქვეყნად. ოქროს შეთავაზება ეჭვს აღუძრავდა იუდას და უთუოდ ჩაფიქრებდა, მართლა მესიას ხომ არ ვღალატობო.
— და იუდამ მაინც თავი ჩამოიხრჩო.
— ეგ ღალატის მერე გააკეთა. ის 30 ვერცხლიც ხის ძირას მიმოაბნია.
— რაღაცას აზვიადებ. ვერცხლი ჩვეულებრივი ძვირფასი ლითონია, კარგი თვისებების მქონე.
— მაგ თვისებების გამო მერეც ებრძოდნენ ღმერთს.
— როგორ?

საქართველოს 10 ჩემპიონატი

29 ტური

# ვერცხლის ფილოსოფია

— როცა ღვთის მსახური ვერცხლის ჯვრით წყალს აკურთხებდა, სითხე არასოდეს ფუჭდებოდა.
— მერე?
— ათეისტები ამბობდნენ — ლოცვა-კურთხევა არაფერ შუაშია, ვერცხლს აქვს ისეთი ფიზიკური თვისება, წყალში მოთავსებისას ყოველგვარ ბაცილას სპობსო.
— მართლა მასეა?
— ბევრჯერ ჩავდე ვერცხლის კოვზი წყლიან ჭიქაში და... ორი კვირის წყალი შეჭამა ჭირმა...
— რაში დაგჭირდა ამხელა შესავალი?
— ვერცხლის მაცდური ძალა რომ დაგიმტკიცო.
— რატომ?
— გახსოვს, ამასწინათ გითხარი, ვერცხლის გამო სასწაულები დატრიალდება-მეთქი.
— მაინც?
— „ტორპედომ" წყალტუბოში იოლად მოიგო, არადა, „სამგურალს" ქულები ძალიან სჭირდებოდა. „გორდამ" უცნაურად იმარჯვა სამტრედიაში, მერე კი შინ, ვერცხლის მაძებარ „ლოკომოტივს" ემსხვერპლა, მასაც არ აძლევდა ხელს მარცხი. ქუდში თავშეყოფილმა „მერანმა" ქუთაისელებს სძლია. ამ მატჩისგან განსხვავებით რატომღაც 15 წუთით გვიან დაიწყო თამაში რუსთავში...
— ეგ ყოველივე მეც შევამჩნიე.
— 27-ე ტურში ბრინჯაოს ასე თუ ისე გამოუჩნდა პატრონი — ან „ლოკომოტივი", ან „ტორპედო". 28-ე ტურში ოქროც ჩაბარდა მის მარადიულ მფლობელს, აი, ვერცხლს კი არ დაადგა საშველი. გეგონება, არავის ეკარებაო.
— მე მაინც მგონია, დღეს ქუთაისში დაიდებს ბინას.
— წესით, „ტორპედოს" არ უნდა გაუჭირდეს რუსთაველთა დამარცხება, მაგრამ „გორდა" უომრად არას დათმობს.
— „ლოკომოტივთან" თუ დათმო?
— სწორედ ამიტომ ვამბობ. თანაც გაიხსენე 7:1, რუსთაველებს მწარედ ახსოვთ ქუთაისელებისგან ნაწვნევი მარცხი.
— რას ლაპარაკობ! მეორე ადგილზე თუ აქვთ პრეტენზია, „გორდას" ვერ უნდა მოუგონ?
— ძნელია, ფსიქოლოგიურად განეწყო, როცა იცი, რომ მხოლოდ გამარჯვება გჭირდება.
— ეჰ, მაგათ რომ ფსიქოლოგი ჰყავთ, ნეტა ისეთი სხვა გუნდებსაც ჰყავდეთ.
— მიხეილ ქორქია?
— ქუთაისელი გულშემატკივრები. ვერ ნახე, რა ქნეს „დინამოსთან". თავი სიზმარში მეგონა. დღესაც მრავლად მიაწყდებიან „გივი კილაძეზე".
— სადღაც მართალი ხარ. მაგ ტურში ქუთაისის სტადიონზე სამჯერ მეტი კაცი მივიდა, ვიდრე დანარჩენ ექვს შეხვედრაზე ერთად.
— იცოდე, „ტორპედომ" თუ „გორდას" ვერ მოუგო, ეგ მართლა ვერცხლის მაგიური ძალის ბრალი იქნება და სხვა არაფრის.

## ხვალინდელი დღისთვის

— ვერცხლის ციებ-ცხელებამ მალაპარაკა ამდენი, თორემ „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" შეხვედრას რომ უფრო მეტი ეშხი აქვს, ამას კამათი არ სჭირდება.
— მე კი მგონია, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. „კოლხეთმა" გაინაღდა მეოთხე ადგილი, ვიტელები კი ექვსეულს დასჯერდებიან. რა აქვთ საბრძოლო?
— ეგ მაშინ გაირკვა, „ვიტ ჯორჯიას" 3 ქულა რომ აღარ აღუდგინეს და გუნდმაც უგულოდ ითამაშა რუსთავში. არადა, ფოთელებიც იმსახურებდნენ მინუს სამქულიან სასჯელს, მაგრამ ფედერაციამ შეიბრალა.
— მაგაში გეთანხმები.
— ფედერაციაზე განაწყენებული „ვიტ ჯორჯია" არავის ინდობს. წლეულს თუ არა, გაისად მაინც მივაღწევ საწადელსო — იქადნება.
— ურიგო გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ.
— თავის მხრივ, „კოლხეთიც" უკმაყოფილოა წლევანდელი შედეგით. ფოთელებმა ფეხბურთელების გაახალგაზრდავებას მიჰყვეს ხელი და იმუქრებიან, მომავალ სეზონში გვიფრთხილდითო.
— შენ რას ფიქრობ?
— ძალიან პრინციპული მატჩი იქნება. ეს შეხვედრა აჩვენებს, ვის აქვს პრეტენზია ხვალინდელ დღეზე.
— ზოგად ლაპარაკს შეეშვი, პროგნოზი მითხარი.
— თბილისელები იმარჯვებენ. ყოველ შემთხვევაში, მათ წაგებას გამოვრიცხავ.
— რატომ?
— ჯერ ერთი, შინ თამაშობენ, მეორე კიდევ, „კოლხეთმა" ოთხი დღის წინ მთელი ძალები შეალია „ბათუმის" დამარცხებას და ენერგიის აღდგენა გაუჭირდება. მათგან განსხვავებით კი „ვიტ ჯორჯიამ" წინა ტურში ნახევარი ძალით მოუგო თსუ-ს.

## სხვა ქალაქებში

— „დილა" — „დინამოზე" რას იტყვი?
— „დილას" კიდევ ერთხელ დაუღამებს მარადი ჩემპიონი. ხომ ხედავ, რა ქნა ბოსკამპმა.
— რა ქნა ასეთი?
— ფეხბურთელებში კონკურენცია წარმოიშვა — „დინამო-2"-დან მიიწვია ბიჭები. ვისაც მოედანზე დამდგარს დაგინახავთ, ძირითად შემადგენლობას დაემშვიდობეთო. ჰოდა, დინამოელებიც დარბიან თავქუდმოგლეჯილები. საცოდავ „გურიას" შვიდი გოლი რომ გაუტანეს, ეგ მაგის შედეგია.
— გორელები?
— ეჰ, ნეტა ყველა მაგათნაირად არხეინად იყოს საქართველოში, მაშინ ნერვოპათოლოგები უსაქმურობით თავად გახდებოდნენ სამკურნალონი.
— ლანჩხუთშიც სტუმრები მოიგებენ, არა?
— რა თქმა უნდა. „მერანი" ბრწყინვალე ფორმაშია, თანაც პატრონი, როგორც ყოველთვის, შეძლებული ჰყავს და სტუმრად გამარჯვებისთვის განკუთვნილ პრემიებს ტყუილად არ დაკარგავენ მერანელები.
— რაღაც მასპინძლებს არ წყალობ.
— როგორ არა. ვაკეში „ლოკომოტივი" „სიონს" რომ დაამარცხებს, ეს დღესავით ნათელია. რკინიგზელები ქუთაისის შეხვედრაზე კი არიან დამოკიდებულები, მაგრამ არ მგონია, ეს შეხვედრები თანადროულად არ დაიწყოს და „ლოკომოტივიც" ყველა ვარიანტში შეეცდება გოლების დროულად გატანას.
— „სიონს" სულ არა აქვს მცირე შანსი?
— აბა, რა შანსებზე მელაპარაკები. ბოლნისელები სტუმრად სუსტად თამაშობენ, თანაც თითქმის შეგუებულნი არიან, წლეულსაც რომ გადათამაშებაში მოუწევთ მონაწილეობა.
— „სამგურალი" — „არსენალი" რას გაფიქრებინებს?
— არმიელებს არაფერში სჭირდებათ ქულები. წყალტუბოელებს კი კიდევ აქვთ შანსი, თავი დააღწიონ გადათამაშებას. „სამგურალი" თავს დადებს გამარჯვებისთვის და...
— იქნებ ცდები.
— არავითარ შემთხვევაში. იცი, ვინ ცდება?
— ვინ?
— ისინი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რაღაცას გამოგვაპარებენ და თავიანთი ეგრეთ წოდებული ხრიკებით გაგვაცურებენ.
— ვითომ?
— ეჰ, ჩვენ ისეთ ცხოვრებას მოვესწარით, რომ ჩვენი მოტყუება შეუძლებელია. მაგათ ჰგონიათ, როცა ჩუმად ვართ, ვერაფერს ვხვდებით.
— რატომ ხართ ჩუმად?
— ეგ ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე. ისე, სულ ჩემმა მტერმა იყვირა და აყარა კედელს ცერცვი...

**ხვიჩა სანიკიძე**



საეჭვოა, დღეს „გორდამ" „ტორპედო", როგორც ამ ფოტოზეა, კედელთან დააყენოს

გორი. „ცენტრალური". 19 მაისი. 18 საათი

### დილა — დინამო

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

მცხეთა. „არმაზი". 19 მაისი. 18 საათი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. სილაგავა; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ქუთაისი. „გივი კილაძე". 19 მაისი. 18 საათი

### ტორპედო — გორდა

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 19 მაისი. 18 საათი

### გურია — მერანი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ს. კახიანი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. „მიხეილ მესხი". 19 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — სიონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

წყალტუბო. „26 მაისი". 19 მაისი. 18 საათი

### სამგურალი — არსენალი

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. მეტივიშვილი (ხაშური)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

XXX ტური

23 მაისი

ოდიში— ვიტ ჯორჯია (0:1)

არსენალი — ბათუმი (1:1)

კოლხეთი — იბერია (2:2)

თსუ — ლოკომოტივი (1:3)

სიონი — ტორპედო (0:4)

გორდა — გურია (4:3)

მერანი — დილა (3:3)

დინამო — სამგურალი (3:0)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები



## თასების მფლობელთა თასი

XXXVIII გათამაშება 1997-98 წლები

### ჩელსი

ლონდონი, ინგლისი

Cup Winners' Cup

სოლომონ ქულიაშვილი

## სრული ისტორია



ვიალი (მარცხნივ) და ძოლა თასების თასით

# სამი მაგიური 18

1997 წლის 30 აგვისტოს „სარბიელი“ ასეთი ქვესათაურით გამოვიდა: „საცოდავია მწვრთნელი, რომლის გუნდიც პრინციპულ მეტოქესთან ორ თამაშს აგებს. მაგრამ ათჯერ უფრო ცოდოა კაცი, რომლის გუნდიც პრინციპულ მეტოქეს ორივე თამაშს უგებს, მაგრამ მავანთა გამოისობით მაინც წაგებული რჩება“...

დაიხ, სწორედ ასე იყო, შოთა ჭეიშვილის „ბათუმმა“ წინასწარი წრის ორივე მატჩი მოუგო ერევნის „არარატს“, მაგრამ მაინც დამარცხებული აღმოჩნდა. მიზეზი კი იმ წელს ფოთის „კოლხეთიდან“ გადმოყვანილი დავით სოლოღაშვილის მინდორზე გასვლა გახლდათ.

წინა სეზონში სოლოღაშვილს ინტერტოტოზე ორი გაფრთხილება მიელო, რომელიც მას ბათუმშიც „ჩაჰყვა“ და ამდენად თამაშის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მავანთა უყურადღებობისა თუ უცოდინარობის გამო ის მაინც გაიყვანეს მინდორზე და დაისაჯნენ კიდეც. შინ ქართველებმა 4:2 მოიგეს და ერევანში იმედიანად წასვლას აპირებდნენ, როცა... 20 აგვისტოს უეცრად ცნობა მოვიდა, ბათუმელებმა სომხებთან დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ათამაშეს და ამიტომ ჩვენმა საკონტროლო და სადისციპლინო კომიტეტმა 0:3 წაგება ჩაუთვალაო. თანაც შემდგომ წრეში გასასვლელად, წესის თანახმად, „ბათუმს“ ოთხბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა. 3:0-ზე არც დამატებითი დრო დაინიშნებოდა და არც მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანები.

მტყუან-მართლის გარკვევას შედეგი არ მოჰყოლია, არც იყო მოსალოდნელი და „ბათუმი“ ერევნის „რაზდანის“ სტადიონს ფაქტობრივად განწირული ეწვია. ზღვისპირელებმა გასვლითი მატჩიც კარგად ჩაატარეს. პირველივე წუთზე თორლაშვილმა გახსნა ანგარიში, 36-ზე ივანე მახარაძემ მეორეც შეაგდო, მაგრამ მეტი ბურთი აღარ გასულა, რაშიც თავისი წვლილი პოლონელმა არბიტრმა მარეკ კოვალჩიკმაც დაიდო. „ბათუმმა“ კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე შინ. ჩვენს თამაშზე ლაპარაკიც არ მინდა. ანგარიში სამჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იღბალმა არ გვიმტყუნა. არარატელი ვარ და გამიხარდა, შემდგომ ეტაპზე რომ გავედით. ისე კი, ბათუმი უფრო ღირსი იყო“ — ეს ერევნელთა მეკარის, არუთ აბრამიანის მატჩისშემდგომი სიტყვებია, ქათინაური, რომელიც ზღვისპირელთათვის ვერაფერი ნუგეში იყო...

ასეთი უცნაური და ხანმოკლე გამოდგა ქართული გუნდის გამოსვლა შარშანდელ გათამაშებაში. ერთმა ქართველმა კი თავი მაინც გამოიჩინა და ეს მოსკოვის ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია გახლდათ. ნახევარფინალში, გერმანულ „შტუტგარტთან“ მის კარგ თამაშს ევროპის ყველა საინფორმაციო საშუალება აღნიშნავდა.

შტუტგარტულ რაუნდში ჯანაშიას თამაშის შემყურე გერმანელი ქომაგები მოსკოველთა საპატივცემულოდ „ლოკო, ლოკოს“ ყვიროდნენ და ეს ლოგიკურიც იყო. უკვე მე-16 წუთზე ჯანაშიას დარტყმული ოდნავ ასცდა მეკარე ვოლფარტის კარს, შვიდ წუთში კი ქართველი შემტევის მონდომებამ შედეგი გამოიღო და ანგარიშიც გაიხსნა. შეხედეთ, საშა ჯანაშიამ როგორი ბურთი შეაგდოო — ასეთი იყო სი-ენ-ენის მიმომხილველის კომენტარი, იტალიელი დიქტორები კი მას ჟაჟას ეძახდნენ. მართალია, სახელს ყველა ამახინჯებს, მაგრამ ფაქტია, რომ სადაც „ლოკომოტივია“, იქ უჯანაშიოდ არაფერი ხდება. ის თამაში მოსკოველებმა მაინც წააგეს, რაც გერმანელების უფრო მაღალმა კლასმა განაპირობა. აკპობორიმ ტაიმის მიწურულს გაათანაბრა, ხოლო ბოლო 90-ე წუთზე ფრედი ბობიჩმა გამარჯვებისაც გაიტანა.

ჯანაშია საპასუხოშიც მოსკოველების მთავარი იმედი იყო, მაგრამ ორიოდ სახიფათო მომენტის იქით საქმე აღარ წასულა. ბოლოსკენ კი შტუტგარტელთა კაპიტანმა ვერლაატმა ქართველის წინააღმდეგ მეტად უხეშად ითამაშა და ფორვარდს ცხვირ-პირი დაუსისხლიანა, მაგრამ მსაჯმა სტუმარს მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა. „შტუტგარტმა“ კი ისევ ბობიჩის ერთადერთი გოლით მოიგო და ფინალში გავიდა.

ბოლო წლებში ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა და ეს ფინალისტების შემადგენლობების გაცნობისთანავე საცნაური ხდება. „ბოსმანის საქმეს“ მოყოლილი „ევროპული რევოლუცია“ სტოკჰოლმის „რასუნდას“ სტადიონზე მთელი თავისი „ბრწყინვალებით“ წარსდგა. ეს განსაკუთრებით ლონდონურ „ჩელსის“ ეხება. სტატისტიკოსებმა გამოითვალეს, რომ ორივე გუნდის შემადგენლობებში, საერთო ჯამში ოცი ქვეყნის წარმომადგენელი ირიცხებოდა...

„ჩელსის“ სამ ფეხბურთელს ადრე უკვე მოეგო თასთა თასი. ვიალის გენუის „სამპდორიასთან“, უელსელ მარკ ჰიუზს „მანჩესტერ იუნაიტედთან“, ხოლო ურუგვაელ გუსტავო პოიეტს „სარაგოსასთან“ ერთად და როგორც „ფრანს ფუტბოლი“ მიიჩნევდა, სწორედ ევროთასების მატჩებში გამოცდილი ფეხბურთელების ხარჯზე იმარჯვა „ჩელსიმ“. ინგლისელი ტელეკომენტატორები კი „ჩელსის“ ხუმრობით „იტალიურსაც“ ეძახდნენ და მართლებიც იყვნენ: ვიალიმ, დი მატეომ, ძოლამ და რუმინელმა პეტრესკუმ, რომელსაც არაერთი სეზონი გაეტარებინა სერია A-ში, „ჩელსის“ თამაშს აბსოლუტურად არაბრიტანული სტილი შესძინეს.

ჯანფრანკო ძოლა, რომელიც მინდორზე მხოლოდ დამთავრებამდე 18 წუთით ადრე გამოიყვანეს, ფინალის გმირი გახდა. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ძოლამ 18 წამში მოახერხა ის, რისთვისაც სხვები მთელი 90 წუთი იბრძოდნენ. კაპიტანმა დენის უაიზმა, რომელმაც მანამდე ორი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, გერმანელების საჯარიმოსკენ თავისუფალი დერეფანი შენიშნა, ბურთი ძოლას გადააწოდა და ამანაც ძლიერი დარტყმით შანსი არ დაუტოვა მეკარე ფრანც ვოლფარტს.

„დაუჯერებელია — ამბობდა ნამატჩევს ძოლა — 18 დღის წინ ტრავმა მივიღე და მეგონა, ფინალში ვეღარ ვითამაშებდი. მერე ისე მოხდა, დამთავრებამდე 18 წუთით ადრე გამომიყვანეს და 18 წამში გავიტანე, ფანტასტიკური დამთხვევაა“.

ჯანლუკა ვიალი, რომელიც „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა, იმდენად იყო თამაშში ჩართული, რომ მწვრთნელობისთვის ვეღარ იცლიდა და ეს მისია ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, გრემ რიქსის ხელში გადავიდა. სწორედ რიქსის გადაწყვეტილებით შევიდა მინდორზე ძოლა. „რიქსმა დამიძახა და მკითხა, შემეძლებდი თუ არა თამაშის ჩამთავრებას — იხსენებს ვიალი — მე ვუთხარი, რომ ჩემს შეცვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო და პარტნიორის, ტორე ანდრე ფლოს გამოცვლა შევთავაზე. ასეთ გადამწყვეტ მომენტში მოთამაშის მინდვრიდან გასვლა ყოველთვის საწყენია, ამიტომ ფლოს ბოდიში მოვუხადე და სიტუაცია ავუხსენი. ჩემთვის ეს ევროთასის მეშვიდე ფინალი იყო. ვიფიქრე, გამოცდილება პარტნიორებს წაადგებოდათ და ასეც მოხდა“.

„ჩელსისთვის“ ეს მეორე თასების თასი იყო. პირველად ლონდონურმა კლუბმა ეს პრიზი 1971 წელს მოიგო.



ფინალის 72-ე წუთი. ჯანფრანკო ძოლას გამარჯვების ბურთი გააქვს შტუტგარტის კარში



მოსკოვური ნახევარფინალი. შტუტგარტის კაპიტანი ვერლაატი ზაზა ჯანაშიას აკრძალული ხერხით აჩერებს

**წინასწარი წრე:** ბათუმი (საქართველო) — არარატი (სომხეთი) 4:2 (ჩუხუა 2, ლეონტიევი, შეყილაძე; ტერ პეტროსიანი, ნაზარიანი), ბათუმს 0:3 წაგება ჩაეთვალა 2:0 (თორლაშვილი, ი. მახარაძე); ქუმბრან თაუნი (უელსი) — ნაციონალი (რუმინეთი) 2:5, 0:7; დინაბურგი (ლატვია) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 1:0, 1:0; გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — ლეგია (პოლონეთი) 1:1, 0:4; ტორსჰავნი (ფარერები) — აპოელი (კვიპროსი) 1:1, 0:6; ჰიბერნიანსი (მალტა) — ვესტმანაიარი (ისლანდია) 0:1, 0:3; ჰიკ (ფინეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:0, 0:3; კილმარნოკი (შოტლანდია) — შელბურნი (ირლანდია) 2:1, 1:1; ლევსკი (ბულგარეთი) — სლოვანი (სლოვაკეთი) 1:1, 1:2; პრიმორიე (სლოვენია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2:0, 1:0; სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ზაგრები (ხორვატია) 1:2, 0:2; სადამი (ესტონეთი) — ბელშინა (ბელარუსი) 1:1, 1:4; ჟალგირისი (ლიტვა) — ჰაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი) 0:0, 1:2 დ.დ.; ზიმბრუ (მოლდოვა) — შახტიორი (უკრაინა) 1:1 (ზგურა; ატელკინი), 0:3 (ორბუ, ატელკინი, კრიუჩკოვი); ბალცერსი (ლიხტენშტაინი) — ვაშუტაში (უნგრეთი) 1:3, 0:2

### პირველი წრე

აეკ (საბერძნეთი) — დინაბურგი 5:0, 4:2; აიკ (შვედეთი) — პრიმორიე 0:1, 1:1 დ.დ.; აპოელი — შტურმი (ავსტრია) 0:1, 0:3; ბელშინა — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 1:2 (ხლებოსოლოვი; ლოსკოვი, ბორისოვი), 0:3 (მამინოვი, ხარლაჩოვი, ლოსკოვი); ბეტისი (ესპანეთი) — ვაშუტაში 2:0, 2:0; ბოავიშტა (პორტუგალია) — შახტიორი 2:3 (რუი მიგელი, ლიმა; ზუბოვი, ატელკინი 2), 1:1 (ტიმოშჩუკი; ლიმა); ჩელსი — სლოვანი 2:0, 2:0; ბრიუგე (ბელგია) — ცრვენა ზვეზდა 3:2, 1:1; ჰაპოელი — როდა (ჰოლანდია) 1:4, 0:10; ვესტმანაიარი — შტუტგარტი (გერმანია) 1:3, 1:2; კოჩაელისპორი (თურქეთი) — ნაციონალი 2:0, 1:0; კოპენჰაგენი (დანია) — არარატი 3:0, 2:0; ნიცა (საფრანგეთი) — კილმარნოკი 3:1, 1:1; სლავია (ჩეხეთი) — ლუცერნი (შვეიცარია) 4:2, 2:0; ვიჩენცა (იტალია) — ლეგია 2:0, 1:1; ზაგრები — ტრომსო (ნორვეგია) 3:2, 2:4 დ.დ.

### მერვედფინალი

აეკ — შტურმი 2:0, 0:1; ბეტისი — კოპენჰაგენი 2:0, 1:1; ბრიუგე — შტუტგარტი 0:4, 4:2; ლოკომოტივი — კოჩაელისპორი 2:1 (ხარლაჩოვი, ჯანაშია; თურანი), 0:0; ნიცა — სლავია 2:2, 1:1; პრიმორიე — როდა 0:2, 0:4; შახტიორი — ვიჩენცა 1:3 (ზუბოვი; ლუიზო 2, ბეგეტო), 1:2 (ატელკინი; ლუიზო, ვიგიანი); ტრომსო — ჩელსი 3:2, 1:7

### მეოთხედფინალი

აეკ — ლოკომოტივი 0:0, 1:2 (კოპიცასი; ხარლაჩოვი, ჩუგაინოვი)
ბეტისი — ჩელსი 1:2 (ალფონსო; ფლო 2), 1:3 (ფინიდი; სინკლერი, დი მატეო, ძოლა)
როდა — ვიჩენცა 1:4 (პეეტერსი; ლუიზო 2, ბელოტი, ოტერო), 0:5 (ლუიზო, ფორმაზო, მენდესი, ამბროზეტი, ძაული)
სლავია — შტუტგარტი 1:1 (ვაგა; პოშნერი), 0:2 (ბალაკოვი 2)

### ნახევარფინალი

შტუტგარტი — ლოკომოტივი 2:1 (აკპობორი, ბობიჩი; ჯანაშია), 1:0 (ბობიჩი)
ვიჩენცა — ჩელსი 1:0 (ძაული), 1:3 (ლუიზო; პოიეტი, ძოლა, ჰიუზი)

ფინალი. სტოკჰოლმი. 13 მაისი. 30 000 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 შტუტგარტი**

1:0 ძოლა (72)

**ჩელსი:** დე გუი, კლარკი, დაბერი, ლებეფი, გრენვილი, პეტრესკუ, უაიზი, დი მატეო, პოიეტი (ნიუტონი 81), ვიალი, ფლო (ძოლა 72)

**შტუტგარტი:** ვოლფარტი, იაკინი, ბერთოლდი, შნაიდერი (ენდრესი 55), ჰაბერი (ჯორჯევიჩი 76), სოლდო, პოშნერი, ბალაკოვი, ჰაგნერი (რისტიჩი 79), აკპობორი, ბობიჩი

**მსაჯი:** ბრასკი (იტალია)

# აღსასრულის მოლოდინში

## თასების თასის ფინალი

Cup Winners' Cup

დასაწყისი პირველ გვერდზე

თუ გამოსვენების ადგილზე შეკრებილ 320 ჟურნალისტს, 120 ფოტორეპორტიორს და 32 ტელეკომპანიის წარმომადგენლებს არ ჩავთვლით, საშაბათს ბირმინგემს არც დიდი ფეხბურთის მოლოდინი ეტყობოდა და არც თასის აღსრულებით გამოწვეული სინანული, თუმცა დღეს ალბათ ბევრი რამ შეიცვლება — ელიან 7 ათას ესპანელ და 11 ათას იტალიელ გულშემატკივარს. დანარჩენ ადგილებს ადგილობრივი ფანობა შეავსებს, რომელთაც, მართალია, დიდად არც აინტერესებთ ორი სამხრეთული გუნდის ჭიდილი, მაგრამ რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებით მაინც გაუსაღებიათ არცთუ იაფი ბილეთები. ამათ გარდა, თასთა თასის ბოლო ფინალის ტელევიზორით ყურება, უეფას ცნობით, მსოფლიოს 149 ქვეყანასა და ნახევრად ქვეყანაშია შესაძლებელი და ტელეაუდიტორია შეადგენს დაახლოებით 65 მილიონ კაცს, რომელთაც თამაშის თვალის დევნებაში „ვილა პარკზე" დამონტაჟებული 35 ტელეკამერა დაეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ „ასტონ ვილას" სტადიონს აქამდე არასდროს უმასპინძლია ევროთასის ფინალისთვის (თუ არ ჩავთვლით სუპერთასის 1983 წლის 26 იანვრის მატჩს, სადაც „ვილამ" „ბარსელონა" 3:0 გაანადგურა), ინგლისს ნამდვილად ვერ გააკვირვებთ ამგვარი სანახაობით — აქამდე 7 ინგლისური ქალაქის 10 სტადიონზე ევროთასთა 22 ფინალური მატჩი გამართულა. ასე რომ, მასპინძლები შესანიშნავად მოემზადნენ დღეისთვის და ახლაც, როცა ამ სიტყვებს ვწერ, ორი ისეთი სოლიდური ჯენტლმენი ელოდება „სარბიელისთვის" ფაქსის გამოგზავნას, ლამისაა აღარ დავაყოვნო, თუმცა ორი სიტყვით რამდენიმე საინტერესო ამბის მოყოლას მაინც მოვასწრებ.

ორივე გუნდი ბირმინგემს ორშაბათს ჩამოფრინდა, სამშაბათს კი ორივემ პრესკონფერენცია გამართა. როგორც ველოდი, ინგლისელი ჟურნალისტები ორივეგან თითოოროლა იყვნენ და, შესაბამისად, თუმცა კი უეფას პრესატაშის თხოვნის მიუხედავად, საუბრის 95 პროცენტი ესპანურ-იტალიურად მიმდინარეობდა. ამიტომ ბევრს ორი მწვრთნელის ნაუბარიდან ვერაფერს მოგახსენებთ. ექტორ კუპერისა ის გავიგე, ერთობ მშვიდად ვართო, ერიკსონი კი (არადა, იმედი მქონდა, იტალიურად დინჯად ისაუბრებდა, შვედია მაინც) იტალიურად ისე მეტყველებს, მხოლოდ „ჩინკვანტა-ჩინკვანტას" მოვკარი ყური, რაც ჩვენებურად „გუნდების შანსები — 50-50-ზეს" ნიშნავს. „ჩვენ იტალიის ჩემპიონატში ვართ მეორე ადგილზე, „მაჯორკა" (ასე ამბობდა) ესპანეთისაში. ასე რომ, შანსები თანაბარია" — მითარგმნა იტალიელმა კოლეგამ. ორივე გუნდმა „ვილა პარკის" მოედანი სამშაბათს დააჭაშნიკა: „ლაციომ" ადგილობრივი დროით 17 საათზე, „მალიორკამ" კი ზუსტად იმ დროს, ფინალი რომ დაიწყება — ეს პრივილეგია ესპანელებს წილისყრით ხვდათ. ბარემ აქვე ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ ბირმინგემი ბრიტანეთში მეორე უდიდესი ქალაქია (მისი მოსახლეობა იმდენია, რამდენიც მანჩესტერის, ლივერპულის და ნიუკასლის ერთად აღებულის), ორივე გუნდი ქალაქგარეთ ცხოვრობს — „მალიორკა" დაბა სატონ გოლდფილდში, რომის გუნდი კი მთლად სტრეტფორდ ონ ეივონში. მთლად იმიტომ, რომ ეს დიდი შექსპირის დაბადების ადგილია.

ასეთია სამშაბათის ამბები. საერთოდ კი, თასთა თასის ეს ბოლო, 39-ე ფინალი ჯერ კიდევ დაწყებამდე ბევრით საინტერესოა. მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმეს ვიტყვი, თორემ ჯენტლმენებმა თუ თავი მანებეს, ფაქსის აპარატის ძებნაში სულიც ამომხდება:

„მალიორკა" თავის ისტორიაში პირველად ხვდება იტალიურ გუნდს, თუმცა გასაკვირი რაა — ეს ხომ მისი ევროპული დებიუტია;




REUTERS ბირმინგემიდან

მალიორკელმა ვისენტე ენგონგამ ბირმინგემში ჩასვლისთანავე ტელეფონი მოიმარჯვა

თასთა თასის ბოლო 5 ფინალიდან ოთხი 1:0 დამთავრდა „მასპინძელთა" სასარგებლოდ, მასპინძლის სტატუსით კი, როგორც ზემოთ გაცნობეთ, „მალიორკა" თამაშობს;

ოთხშაბათს ფინალზე დასასწრებად ჩამოდიან ქალაქ პალმას მერი და ესპანეთის პრინცესა კრისტინა;

მალიორკელი მიგელ სოლერი ერთადერთია ორივე გუნდიდან, ვინც უკვე ითამაშა თასების თასის ფინალში და გაიმარჯვა — 10 წლის წინ სწორედ მისი ზუსტი პასით ლოპეს რეკარტემ მეორე გოლი გაუტანა „სამპდორიას" (სადაც მანჩინი თამაშობდა) და „ბარსელონამ" მესამე თასთა თასი მოიპოვა;

ალენ ბოკშიჩს შანსი აქვს, ითამაშოს მესამე ევროფინალი მესამე გუნდში: 1993-ში ის „მარსელში" თამაშობდა და ჩემპიონთა თასი მოიპოვა, შარშანწინ „იუვენტუსის" რიგებში იყო და დორტმუნდის „ბორუსიასთან" 1:3 წაგებულ შეხვედრაში მონაწილეობდა, შარშან კი ტრავმის გამო „ინტერთან" წაგებული მატჩი გამოტოვა;

ინგლისელთა უმრავლესობა „ლაციოს" მხარესაა, რადგან, ჯერ ერთი, ეს პოლ გესქოინის ყოფილი გუნდია და, მეორეც — „მალიორკას" გამარჯვებით ესპანელთა მთლიანი მონაგარი რვა თასთა თასს გაუტოლდება და ინგლისელთა ერთპიროვნული ლიდერობა ისტორიას აღარ შერჩება, იტალიელებს ჯერჯერობით 6 თასთა თასი მოუპოვებიათ;

დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვებული თასის საბოლოოდ გასვენების უფლების გარდა 3,7 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს, წაგებული — 400 ათასით ნაკლებს;

იაპონური „ნისანი" მატჩის საუკეთესო მოთამაშეს „ნისან მიკრას" მანქანით დააჯილდოებს.

და რაც მთავარია, იგივე „ნისანი" სპონსორია მატჩისშემდგომი ქეიფისა, უკაცრავად, ბანკეტისა, და კიდევ უფრო მთავარი: „ნისანი" ფინალზე აკრედიტებული ჟურნალისტების კვებასაც კისრულობს. მართლაც კარგი მანქანაა, არა, „ნისანი"?!



REUTERS ბირმინგემიდან

„მალიორკამ" და მისმა მეკარემ კარლოს როამ „ვილა პარკის" მინდორი გუშინ ზუსტად იმ დროს დააჭაშნიკეს, ფინალი რომ დაიწყება

## ფაქტები, ფაქტები...

„მალიორკა" ისტორიაში პირველად მონაწილეობს ევროპული თასის გათამაშებაში და მიუხედავად დებიუტანტობისა, ფინალში გავიდა. თუ დღეს მიაღწია წარმატებას და თასს მოიპოვებს, გახდება მესამე გუნდი, რომელმაც სადებიუტო სეზონშივე გაიმარჯვებს. ადრე ასეთი რამ შეძლეს „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" 1965 წელს და „მეხელენმა" 1988-ში.

„მალიორკაცა" და „ლაციოც" თასების თასის მიმდინარე გათამაშებაში დაუმარცხებელი არიან. ორივე გუნდმა ერთნაირ შედეგს მიაღწია, რვა თამაშიდან სამი მოიგო და ხუთი ფრედ ითამაშა.

„მალიორკას" და „ლაციოს" არასდროს უთამაშიათ მთავარ ევროპულ საკლუბო შეჯიბრებაში, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ხოლო თასების თასზე ორივე პირველად ასპარეზობს.

დღევანდელი ფინალი ბირმინგემშია, ინგლისში, სადაც „ლაციოს" აქამდე ორჯერ უთამაშია და ორჯერვე დამარცხებულა. პირველად 1970-71 წლების სეზონში, უეფას თასის გათამაშებაში „არსენალთან" წააგო 0:2, ხოლო მეორედ სამი წლის შემდეგ, იმავე შეჯიბრებაში „იფსვიჩ თაუნთან" იწვნია მარცხი — 0:4. რაც შეეხება „მალიორკას", მან მიმდინარე გათამაშებაში „ჩელსისთან" ლონდონში 1:1 ითამაშა, ხოლო მთელ ბრიტანეთში ნათამაშევს თუ დავუთვლით, ამავე გათამაშების პირველ ეტაპზე შოტლანდიაში „ჰართსს" მოუგო 1:0.

თასების თასის ფინალში პირველი გაძევებული ფეხბურთელები გახლავან „ლიდს იუნაიტედის" ნორმან ჰანტერი და „მილანის" რიკარდო სოლიანო, რომელთაც 1973 წლის 16 მაისს, სალონიკში მიიღეს წითელი ბარათი. იმ თამაშში „მილანმა" მოიგო 1:0.

თასების თასის სამ ფინალურ შეხვედრაში გოლები შვედმა თავდამსხმელმა კურტ ჰარმინმა გაიტანა. პირველად, 1961 წელს „ფიორენტინაში" თამაშის დროს გაუტანა „რეინჯერსს" (ჯამში 4:1). მეორედ, იმავე გუნდის შემადგენლობაში მადრიდის „ატლეტიკოს" 1962 წელს შეუგდო (1:1), ხოლო მესამედ „მილანის" შემადგენლობაში 1968 წელს, ორი გოლი „ჰამბურგს" გაუტანა (2:0).

თასების თასის ორ ფინალში გოლები გაიტანეს რობ რენსენბრინკმა და ოლეგ ბლოხინმა. პირველმა 1976 და 1978 წლებში, „ანდერლეხტის" შემადგენლობაში გაუტანა „ვესტ ჰემს" (4:2, რენსენბრინკმა ორი გაიტანა) და „აუსტრიას" (4:0, რენსენბრინკმა კვლავ ორი გაიტანა), ხოლო მეორემ 1975 და 1986 წლებში, კიევის „დინამოს" შემადგენლობაში „ფერენცვაროშს" (3:0) და მადრიდის „ატლეტიკოს" (3:0).

თასების თასის ფინალს ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო ბარსელონის „კამპ ნოუზე", 1962 წელს. მაშინ, „ბარსელონასა" და ლიეჟის „სტანდარდის" შეხვედრა ტრიბუნიდან 100 ათასმა ადამიანმა ნახა.

თასების თასის ფინალს სამჯერ დაესწრო 10 ათასზე ნაკლები მაყურებელი. ყველაზე ცოტა დამსწრე იყო 1974 წელს, როტერდამში, სადაც გდრ-ის „მაგდებურგი" და „მილანი" თამაშობდნენ (4 ათასი), 1970 წელს, „მანჩესტერ სიტისა" და პოლონური „გურნიკის" შეხვედრას უცქერდა 8 ათასი მაყურებელი, ხოლო 1981 წელს თბილისის „დინამოსა" და იენის „კარლ ცაისის" მატჩი დიუსელდორფში 9 ათასმა ადამიანმა ნახა.

თასების თასის ფინალში ყველაზე დიდი ანგარიში დაფისირდა 1963 წლის 15 მაისს, როდესაც „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" მადრიდის „ატლეტიკოს" 5:1 მოუგო. ეს თამაში როტერდამში ჩატარდა და იმ დღეს ინგლისურმა კლუბმა პირველად მოიპოვა ევროპული ჯილდო.

თასების თასის ფინალში ოთხი გოლი 1978 წელს, პარიზში, „ანდერლეხტისა" და „აუსტრიას" თამაშში გავიდა (4:0). აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ზედიზედ სამ ფინალში ითამაშა. 1976 და 1978 წელს მოიგო, ხოლო 1977 წელს წააგო.

თასების თასის ფინალში (დამატებითი დროის ჩათვლით) ყველაზე მეტი გოლი 1979 წელს გავიდა, როდესაც „ბარსელონამ" „დორტმუნდს" 4:3 მოუგო. შემდგომ წელიწადს, 1980-ში კი „ვალენსიასა" და არსენალის" შეხვედრაში პენალტებამდე 0:0 იყო. პენალტებით „ვალენსიამ" 5:4 მოიგო.

თასების თასის ფინალში ყველაზე „სწრაფი" გოლი გაიტანა ბრატისლავის „სლოვანის" ფეხბურთელმა ლუდოვიტ ცვეტლერმა, რომელმაც 1969 წელს „ბარსელონას" კარი თამაშის პირველსავე წუთზე დალაშქრა. იმ დღეს „სლოვანმა" 3:2 მოიგო.

თასების თასის შარშანდელ ფინალში „ჩელსის" იტალიელმა ფეხბურთელმა ჯანფრანკო ძოლამ 71-ე წუთზე, მოედანზე შესვლისთანავე გაიტანა გოლი „შტუტგარტის" კარში. „ჩელსიმ" მოიგო 1:0.

თასების თასის ფინალში ყველაზე გვიანი გოლი გაიტანა „სარაგოსას" ფეხბურთელმა ნაიმმა, რომელმაც „არსენალთან" თამაშის 119-ე წუთზე, პარიზის „პარკ დე პრენსზე", დევიდ სიმენს წარმოუდგენლი სიშორიდან ბურთი თავზე გადაუგდო.

თასების თასი, უეფასა და ჩემპიონთა თასებისგან განსხვავებით, ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია. შვიდჯერ იყო შემთხვევა, როდესაც თასის მფლობელი მეორედაც გავიდა ფინალში, მაგრამ შვიდივე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა: „ფიორენტინა" (1971-ში მოიგო, 1972-ში წააგო), „მილანი" (1973-ში მიოგო, 1974-ში წააგო), „ანდერლეხტი" (1976-ში მოიგო, 1977-ში წააგო), „აიაქსი" (1987-ში მოიგო, 1988-ში წააგო), „პარმა" (1993-ში მოიგო, 1994-ში წააგო), „არსენალი" (1994-ში მოიგო, 1995-ში წააგო), „პარი სენ ჟერმენი" (1996-ში მოიგო, 1997-ში წააგო).

თასების თასის გათამაშებაში ყველაზე დიდი ანგარიშით 1963 წლის შეხვედრა დამთავრდა. ლისაბონის „სპორტინგმა" 16:1 მოუგო ნიქოზიის „აპოელს" მერვედფინალის პირველ შეხვედრაში. იმ დღეს ყველაზე მეტი გოლი (6) გაიტანა მასკარენიაშმა. ასეთი შედეგი ჰქონდა კიდევ ორ ფეხბურთელს: დორტმუნდელ ლოთარ ემერიხს, რომელმაც მალტის „ფლორიანას" გაუტანა ექვსი გოლი (1965-66 წლების გათამაშების პირველი ეტაპის შეხვედრა 8:0 დასრულდა) და „ლევსკი სპარტაკის" თავდამსხმელს კირილ მილანოვს, რომელმაც 1976-77 წლების პირველი ეტაპის მატჩში, ფინურ „ლახტის" 12:2 ძლევის დროს გაიმეორა იგივე.

თასების თასის გათამაშებებში ყველაზე დიდი ჯამური ანგარიში იყო 21:0. ამ ანგარიშით „ჩელსიმ" აჯობა ლუქსემბურგის „ჟენეს" 1971-72 წლების გათამაშებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# S.S. LAZIO

*„ლაციო“ (რომი, იტალია)*
*დაარსდა: 1900 წელს*
*პრეზიდენტი: სერჯო კრანიოტი*
*მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი*
*სტადიონი: „სტადიო ოლიმპიკო“ (ტევადობა 83 000)*
*იტალიის ჩემპიონი (1): 1974*
*თასის მფლობელი (2): 1958, 98*
*უეფას თასის ფინალისტი (1): 1998*

**1998-99 გზა ფინალისკენ (+3 – 0 = 5 14:6)**

მეთექვსმეტედფინალი:
**ლაციო 1:1 ლოზანა**
1:0 ნედვედი (37), 1:1 დუგლასი (54)
**ლოზანა 2:2 ლაციო**
0:1 სალასი (7), 1:1 დუგლასი (10), 1:2 კონსეისაო (26), 2:2 რენი (84)

მერვედფინალი:
**ლაციო 0:0 პარტიზანი**
**პარტიზანი 2:3 ლაციო**
1:0 კრსტაიჩი (18), 1:1 სალასი (43პ), 1:2 სტანკოვიჩი (67), 1:3 სალასი (70), 2:3 ილიევი (85)

მეოთხედფინალი
**პანიონიოსი 0:4 ლაციო**
0:1 სტანკოვიჩი (3), 0:2 გაზისი (14ს.კ.), 0:3 სტანკოვიჩი (60), 0:4 ნედვედი (63)
**ლაციო 3:0 პანიონიოსი**
1:0 ნედვედი (70), 2:0 სტანკოვიჩი (77), 3:0 დე ლა პენია (82)

ნახევარფინალი:
**ლოკომოტივი 1:1 ლაციო**
1:0 ჯანაშია (61), 1:1 ბოკშიჩი (77)
**ლაციო 0:0 ლოკომოტივი**

*დეიან სტანკოვიჩი — 4; პაველ ნედვედი, მარსელო სალასი 3, სერჟიო კონსეისაო, ივან დე ლა პენია, ალენ ბოკშიჩი — 1, ერთი ავტოგოლი*



REUTERS ბირმინგემიდან

მარსელო სალასი სიზუსტეში ვარჯიშობს




სვენ გორან ერიკსონს ამ საღამოს ნერვიულობა ელის

## კოშმარსა და ერთდროულად ორ თამაშზე ფიქრში

„ლაციოს“ „მალიორკასთან“ გამარჯვება ბრწყინვალე პერიოდის შემდგომი კოშმარისგან იხსნის. სულ რალაც ერთი თვის წინ რომაული კლუბი შეუჩერებელი ჩანდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი ჯერ ერთი, იტალიის ჩემპიონის ტიტულს (ისტორიაში მეორედ) მოიპოვებდა და მეორეც, ისტორიაში პირველ ევროპულ თასს მოიპოვებდა.

ახლა, როდესაც სერია A-ს პირველობის ბოლო ტურის წინ „ლაციოს“ „მილანმა“ გადაასწრო, გაჩნდა იმის საშიშროება, რომ სეზონის ბოლო კვირა საშინელებად იქცევა.

12 კვირის განმავლობაში ლიდერობდა რომის გუნდი და აი, მან გასულ შაბათს, ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ 1:1 ითამაშა, ხოლო „მილანმა“ „ემპოლის“ 4:0 მოუგო და ლიდერი შეიცვალა. ამიერიდან სკუდეტოს ბედი, მომავალ კვირას, მარტო „ლაციოსა“ და „პარმას“ შედეგზე აღარ არის დამოკიდებული ანუ სრული განადგურებისგან თავის დახსნა სვენ გორან ერიკსონის გუნდს ამ საღამოს, ბირმინგემში შეუძლია — წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება ყველა ტიტული გაუშვას ხელიდან.

„მთელი გონება „მალიორკასთან“ თამაშისკენ უნდა მივმართოთ“ — განაცხადა „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ — „ეს ფინალი კედელში ლურსმანის ჩაჭედებას მაგონებს. ჩვენი მეტოქე ძალიან ორგანიზებული და ძლიერი გუნდია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთვის გამარჯვებას საბედისწერო მნიშვნელობა ენიჭება“.

სხვათაშორის „ლაციოს“ ეს და წინა სეზონი ძალიან ჰგავს ერთმანეთს: დასაწყისი შედარებით მოკრძალებულია, შუა ნაწილი საუცხოო, ხოლო ბოლო რამდენიმე კვირა — საშინელი.

გასულ ჩემპიონატში სკუდეტოს ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა და იმავდროულად უეფას თასის ფინალიც წააგო („ინტერთან“ 0:3). ერთადერთი, რითაც რომაელებმა გული მოიფხანეს, ეროვნული თასის მოპოვება გახლდათ.

ამ სეზონში ერიკსონმა ძველებურად დაიწყო. სტარტი შედარებით უფერული ჰქონდა, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მწვრთნელს ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავდა სათამაშო სქემასთან მოსარგები: მარსელო სალასი, კრისტიან ვიერი, სერჟიო კონსეისაო, სინიშა მიხაილოვიჩი...

საწყისი 11 მატჩიდან „ლაციომ“ მხოლოდ სამი გამარჯვება მოიპოვა და დაშავებულ ალესანდრო ნესტას ფორვარდი, კრისტიან ვიერი საექიმო კაბინეტში შეუერთდა. ამიტომაც შეიქმნა აზრი, რომ საფონდო ბირჟაზე გასულ პირველ იტალიურ გუნდს საშინელი სეზონი მოელოდა, მაგრამ დადგა ნოემბერი და სხვა ცხოვრება დაიწყო: ზედიზედ 17 შეხვედრაში „ლაციო“ ერთხელაც არ დამარცხებულა, ხოლო მათგან ცხრა ერთი მეორის მიყოლებით მოიგო.

მწვერვალად „პარმასთან“ 3:1 გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება თასების თასის გათამაშებას, შვეიცარიული „ლოზანასა“ და იუგოსლავიური „პარტიზანის“ გავლის შემდეგ, „ლაციომ“ ბერძნულ „პანიონიოსს“ ჯამური 7:0 მოუგო, ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ბრძოლაში სტუმრად გატანილი გოლის წესით მოიპოვა დღევანდელ ფინალში თამაშის უფლება.

შემდეგ კი დადგა ხელმოცარვის პერიოდი. ჯერ იყო და ერიკსონის ბიჭებმა თანაქალაქელ და თანასტადიონელ „რომასთან“ წააგეს 1:3, ხოლო შემდეგ შინ „იუვენტუსისგან“ იწვნიეს იგივე.

„მილანი“ კი ამასობაში თანდათან მიცოცავდა ზევით, ქულას ქულაზე ამატებდა და როდესაც ხელსაყრელი მომენტი იხელთა, ჩამოიტოვა კიდეც „ლაციო“ ზურგსუკან.

ცხადია „ლაციო“ ძალიან ძლიერი გუნდია და ამ საღამოს ისტორიაში პირველი ევროთასის მოპოვება ხელეწიფება, მაგრამ არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ რომაელი ფეხბურთელების გონება სანახევროდ მომავალი კვირის ტურით და დაკარგულ თუ ჯერარდაკარგულ სკუდეტოზე ფიქრით იყოს დაკავებული. ბოლო დღეს „ლაციო“ „პარმას“ მასპინძლობს. ხოლო „მილანი“ „პერუჯას“ უნდა ეწვიოს.

„თასების თასი, ბუნებრივია, ნაკლებად მნიშვნელოვანი არ გახლავთ, მაგრამ მე მაინც მწამს, რომ იტალიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეგვიძლია. ამას კი ვამბობ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბედი პერუჯაში გასამართ შეხვედრაზეც არის დამოკიდებული. ეჭვი არაა, „პერუჯა“ ყველა ღონეს იხმარს, რათა „მილანი“ დაამარცხოს“ — ამბობს ერიკსონი.

**ჯეფრი დონოვანი, როიტერი**

*სავარაუდო შემადგენლობა:* **მარკეჯანი, ფავალი, მიხაილოვიჩი, ნესტა, ნეგრო, კონსეისაო, მანჩინი, ალმეიდა, ნედვედი, ვიერი, სალასი.**

### მეკარე

ლუკა მარკეჯანი, 33 წლის. ამ მეკარემ სახელი „ტორინოში“ ხუთწლიანი მოღვაწეობით გაითქვა. „ლაციოში“ 1993 წელს გადავიდა. რვაჯერ ითამაშა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, მათ შორის მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზეც.

### მცველები

ფერნანდო კოუტუ, 29 წლის. ეს პორტუგალიელი ცენტრალური მცველი „ლაციოში“ გასულ ზაფხულს „ბარსელონადან“ გადავიდა. იტალიაში მეორედ თამაშობს — ადრე, 1994-96 წლებში „პარმაში“ იყო.

ჯუზეპე ფავალი, 27 წლის. მარცხენა მცველია, რომელიც „ლაციოში“ 1992 წელს „კრემონეზედან“ გადავიდა. 21 წლამდელთა ნაკრებში თამაშის დროს ევროპის ჩემპიონი გახდა. „ლაციოს“ კაპიტანია.

სტეფანო ლომბარდი, 22 წლის. გასულ ზაფხულს „ლაციოში“ „ჯენოადან“ გადავიდა. სერია A-ში დებიუტი „პიაჩენცას“ წინააღმდეგ ჰქონდა.

სინიშა მიხაილოვიჩი, 30 წლის. 1991 წელს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ხოლო 1992 წელს „რომაში“ გადავიდა. 1994 წელს გადაბარგდა „სამპდორიაში“, რომელსაც იმხანად „ლაციოს“ დღევანდელი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ედგა სათავეში. მარცხენა ფეხით უძლიერესად არტყამს.

პაოლო ნეგრო, 27 წლის. რაც „ლაციოში“ მიხაილოვიჩი გამოჩნდა, ცენტრიდან მარჯვენა მცველად გადაინაცვლა. 1990 წელს „ბოლონიაში“ თამაშობდა, საიდანაც „ბრეშაში“ გადავიდა, იქიდან კი „ლაციოში“ მოხვდა.

ალესანდრო ნესტა, 23 წლის. გასულ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი გაუცდა. „ლაციოს“ ახალგაზრდული სკოლის აღზრდილია. ტრავმის მოშუშების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და ამის შემდეგ „ლაციომ“ 17 თამაში არ წააგო.

ჯუზეპე პანკარო, 27 წლის. მის საყიდლად „ლაციომ“ ვაჭრობაში „მილანს“, „იუვენტუსს“ და „ბაიერნს“ აჯობა. მანამდე „კალიარიში“ თამაშობდა.

### ნახევარმცველები

მატიას ალმეიდა, 25 წლის. არგენტინელი ფეხბურთელია, რომელმაც ორი წლის წინ, „სევილიაში“ თამაშის დროს ლამის ფეხბურთის თამაშს დაანება თავი. მიმდინარე სეზონში ბევრს სერია A-ში უძლიერესად მიაჩნია.

სერჟიო კონსეისაო, 24 წლის. პორტუგალიელია, რომელმაც „პორტუში“ თამაშის დროს ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. „ლაციომ“ „პარმაში“ გაყიდული დიეგო ფუზერის შემცვლელად იგულა. ღრმადმორწმუნე კათოლიკია.

ივან დე ლა პენია, 23 წლის. ესპანური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმებმა ძლიერ შეუშალა ხელი. „ბარსელონადან“ ჰოლანდიელ მწვრთნელთან, ლუის ვან გაალთან უსიამოვნების გამო წავიდა.

პაველ ნედვედი, 26 წლის. ჩეხი ფეხბურთელია, რომელმაც კარიერა პრაღის „დუკლაში“ დაიწყო, საიდანაც პრაღისავე „სპარტაში“ გადავიდა და ეროვნული ნაკრებისკენ გაიკვალა გზა. 1996 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონია.

დეიან სტანკოვიჩი, 20 წლის. ეს იუგოსლაველი ფეხბურთელი „ლაციომ“ „ცრვენა ზვეზდასგან“ იყიდა. სხვათაშორის ვაჭრობა თანაქალაქელ კონკურენტს, „რომას“ მოუგო. ცნობილი თავდამსხმელის, რობერტო მანჩინის აზრით სტანკოვიჩი გაცილებით სჯობია თანამემამულე ვლადიმირ იუგოვიჩს.

გრიგორიო ვენტურინი, 30 წლის. ადრე „ტორინოში“ თამაშობდა. ძირითადად საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებს.

ატილიო ლომბარდო, 33 წლის. 1980-იან წლებში „კრემონეზეში“ თამაშობდა, საიდანაც 1989 წელს „სამპდორიაში“ გადავიდა და სახელიც იქ გაითქვა. ერთი ხანობა „იუვენტუსშიც“ თამაშობდა, მერე კი ინგლისურ „კრისტალ პალასში“ გადავიდა. იქ ცოტა ხნის განმავლობაში მოთამაშე მწვრთნელიც კი იყო. შუა სეზონში „სამპდორიას“ დროინდელ მეგობრებთან, ერიკსონთან და მანჩინისთან იტალიაში დაბრუნდა.

### თავდამსხმელები

რობერტო მანჩინი, 34 წლის. 1997 წლამდე, 15 წლის განმავლობაში, „სამპდორიაში“ თამაშობდა და გენუელთა ოქროს ხანის სიმბოლოდ ითვლებოდა. კარიერაში 150-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

ალენ ბოკშიჩი, 29 წლის. 1996-97 წლებში „იუვენტუსში“ თამაშობდა, ხოლო მანამდე და მერე, „ლაციოში“. ხორვატია, სატვირთო მანქანის მძღოლის ვაჟი, დაბადებულია სპლიტში, 1993 წელს „მარსელის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

მარსელო სალასი, 24 წლის. ჩილელი ფორვარდი „ლაციომ“ 20 მილიონ დოლარად შეიძინა არგენტინული „რივერ პლეიტისგან“. საამისოდ რომაელებმა ვაჭრობაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობეს.

კრისტიან ვიერი, 25 წლის. მადრიდის „ატლეტიკოსგან“ 28 მილიონად ნაყიდი ავსტრალიაში დაბადებული იტალიელი ფორვარდი მანამდე „იუვენტუსშიც“ თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თითოეულ კლუბში ერთ სეზონზე მეტი არ გაუტარებია.

# სასწაულმოქმედი და მისი გადატრიალებული 83 წლიანი ისტორია


REUTERS ბირმინგემიდან

არგენტინელი ჯადოქარი ექტორ კუპერი

მაგრამ განა თავად კუპერის გადაბირება არავის სწადია? როგორ არა, უამრავი კლუბია ამის მსურველი, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტ აქტიურობას „ვალენსია“ იჩენს.

„ყველა ღონეს ვიხმარ, რათა კუპერი შევინარჩუნო, თუმცა ახლავე უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ბიუჯეტს ზღვარი აქვს“ — ამბობს „მალიორკას“ პრეზიდენტი გილერმო რეინესი, თუმცა ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ როგორც მწვრთნელის, ასევე მოთამაშეების შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება.

ამბობენ, რომ დანი წავა... ამბობენ, რომ კამერუნის ნაკრების წევრი ლორენ ეტამე — მაიერი წავა...

**ფილ მინშალი, როიტერი**

*სავარაუდო შემადგენლობა:* როა, სოლერი, მარსელინიო ელენა, სივიერო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი, ენგონგა, იბაგასა, მაიერი, ბიაჯინი, დანი გარსია.

## REAL MALLORCA

*რეალ მალიორკა (პალმა დე მალიორკა, ესპანეთი)*

*დაარსდა: 1916 წელს*

*პრეზიდენტი: გილერმო რეინესი*

*მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი*

*სტადიონი: „ესტადიო ლუის სიტიარი“ (ტევადობა 25 000)*

*ესპანეთის სუპერთასის მფლობელი (1): 1998*

**1998-99 გზა ფინალისკენ (+3–0=5 8:4)**

მეთექვსმეტედფინალი

**ჰართსი 0:1 მალიორკა**

0:1 მარსელინიო ელენა (17)

**მალიორკა 1:1 ჰართსი**

1:0 არიელ ლოპესი (49), 1:1 ჰამილტონი (76)

მერვედფინალი:

**გენკი 1:1 მალიორკა**

0:1 დანი გარსია (56), 1:1 ულარი (71)

**მალიორკა 0:0 გენკი**

მეოთხედფინალი:

**ვარტექსი 0:0 მალიორკა**

**მალიორკა 3:1 ვარტექსი**

1:0 იბაგასა (53), 2:0 პაუნოვიჩი (55), 3:0 დანი გარსია (75), 3:1 ბალაიჩი (88)

ნახევარფინალი:

**ჩელსი 1:1 მალიორკა**

0:1 დანი გარსია (31), 1:1 ტორე ანდრე ფლო (50)

**მალიორკა 1:0 ჩელსი**

1:0 ბიაჯინი (14)

*დანი გარსია — 3; მარსელინიო ელენა, არიელ ლოპესი, არიელ იბაგასა, ველიკო პაუნოვიჩი, ლეონარდო ბიაჯინი — 1*

ბოლო ორ წელიწადში „მალიორკა“ გარდაიქმნა: ადრე ესპანეთის პირველ და მეორე დივიზიონებს შორის მიმოდიოდა, ახლა კი ის გუნდია, თასების თასის მოპოვებამდე ერთი თამაში რომ აკლია. ორმა წელიწადმა 83 წლიან ისტორიაში საგანგებო კვალი დატოვა. რა მოხდა ასეთი?

პასუხი ორ სიტყვიანია. პირველი სიტყვა სახელი გახლავთ, მეორე კი გვარი — ექტორ კუპერი. აი, შემოქმედი იმ ეპოქისა, კუნძულის გუნდი, რომლის სტადიონზეც მხოლოდ 19 ათასი მაყურებელი ეტევა, ევროპული ჯილდოს მაძიებლად რომ აქცია.

43 წლის კუპერი მალიორკაში 1997 წელს გამოჩნდა და არგენტინიდან ხმები ჩაჰყვა, სუსტი და უსახელო გუნდების სასწაულებრივი გარდაქმნა ეხერხებაო. ესპანეთში ჩასულ სასწაულმოქმედს დახვდა გუნდი რომელიც, იქნებ, ქვედადან ზედა დივიზიონში ასასვლელად საკმაოდ ძლიერიც გახლდათ, მაგრამ ზევით დამკვიდრებისთვის აშკარად არ შესწევდა ძალა.

და კუპერმა 12 ახალი ფეხბურთელი იყიდა. მის შენაძენთა დიდი ნაწილი „ვალენსიადან“ იყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მშობლიური არგენტინიდან ჩაიყვანა. ოკეანე გადმოლახულთა შორის იყო მეკარე კარლოს როაც, რომლის ექსცენტრულობის ამბავს მასზე ადრე ჩამოაღწია „ბებერ კონინენტზე“.

არგენტინელი მწვრთნელი საქმეს შეუდგა და შედეგიც მიიღო. გუნდი, რომელიც წინასწარმეტყველებათა თანახმად პრიმერა დივიზიონიდან უნდა გავარდნილიყო, მეხუთე ადგილზე გავიდა და რაც მთავარია სამეფო თასის ფინალში თვით „ბარსელონასთან“ მხოლოდ პენალტებით წააგო. და ვინაიდან, „ბარსელონა“ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, „მალიორკამ“, ისტორიაში პირველად, ევროპულ შეჯიბრებაში, კერძოდ კი თასების თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

სწორედ ამ დროს წამოჰყო თავი ერთმა მოულოდნელმა სირთულემ: კუპერის ქვეშევრდომთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა მდიდარი კლუბებისგან შეთავაზებები მიიღო და... „მალიორკა“ ფაქტობრივად თავიდან შეიქნა ასაშენებელი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა არგენტინელი მწვრთნელი, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, 11 ფეხბურთელი წაუვიდა და მათ შორის საუკეთესო ბომბარდირი გაბრიელ ამატო, რომელიც „გლაზგო რეინჯერსში“ გადაბარგდა.

სხვა რა გზა იყო, სასწაულმოქმედს ახალი სასწაული უნდა მოემოქმედა და აკი მოიმოქმედა კიდეც: ახალი სეზონის წინ „მალიორკაში“ 12 ახალი ფეხბურთელი მივიდა.

„დღევანდელი „მალიორკა“ მხოლოდ 11 ადამიანის კრებული როდი გახლავთ“. — ამბობს მცველი ვისენტე ენგონგა და მართლაც, იმისათვის, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე მეორე ადგილზე იყო („მალიორკას“ დღევანდელი პოზიციაა), გაცილებით მეტი უნდა იყო, ვიდრე თერთმეტი მოთამაშის საკრებულო.

კუპერის ხელმძღვანელობით შრომას დიდი სარგებელი რომ მოაქვს, დანი გარსია, ენგონგა და მარსელინიო ელენა მაშინაც დარწმუნდნენ, როდესაც ესპანეთის ნაკრებიდან მიწვევა მიიღეს.


REUTERS ბირმინგემიდან

„მალიორკას“ ფეხბურთელები არიელ ლოპესი, იოვან სტანკოვიჩი, ლორენ მაიერი, ლეონარდო ბიაჯინი გუსტავო სივიერო და დანი გარსია ბირმინგემში სასტუმროს წინ

### მეკარე

კარლოს როა, 29 წლის. არგენტინის ნაკრების წევრი მალიორკელთა ერთ-ერთი ვარსკვლავია. არაა გამორიცხული, რომ მომავალ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედში“ პიტერ შმაიხელი შეცვალოს.

### მცველები

მიგელ სოლერი, 34 წლის. კარიერის დიდი ნაწილი შვიდ სხვადასხვა გუნდში გაატარა, რომელთა შორის იყო „ბარსელონა“, „რეალი“ და „ატლეტიკოც“. მარცხენა მცველია.

მარსელინიო ელენა, 27 წლის. ორი წლის წინ მეორე დივიზიონის უცნობი ფეხბურთელი იყო. ამ სეზონში ესპანეთის ნაკრებისკენაც გაიკვლია გზა.

გუსტავო სივიერო, 29 წლის. ელენასთან ერთად დაცვის ცენტრში თამაშობს. „მალიორკაში“ გადასვლამდე ექტორ კუპერის ყოფილ არგენტინულ კლუბ „ლანუსში“ გამოდიოდა.

ხავიერ ოლაისოლა, 29 წლის. მარჯვენა მცველია, რომელმაც „მალიორკაში“ სახელი გაითქვა და გუნდის შეუცვლელ წევრად აღიქმება.

ფერნანდო ნინიო, 24 წლის. სათადარიგო ცენტრალური მცველია. როდესაც მოედანზე უშვებენ ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. გასულ ზაფხულს მეორე დივიზიონის „ხერესიდან“ იყიდეს.

### ნახევარმცველები

იოვან სტანკოვიჩი, 28 წლის. მარცხენა ნახევარმცველია. ეხერხება მაღალი პასები. „მალიორკაში“ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ 1995 წელს გადავიდა.

ვისენტე ენგონგა, 33 წლის. გამთამაშებელია. ბოლო ხანს საუკეთესო ფორმაშია და ეროვნულ გუნდშიც რეგულარულად ათამაშებენ.

არიელ იბაგასა, 22 წლის. ძალიან ტექნიკური არგენტინელი შემტევი ნახევარმცველია, რომელიც უპირატესად ორ თავდამსხმელს უკან თამაშობს. ადრე „ლანუსში“ გამოდიოდა.

ლორენ მაიერი, 22 წლის. სევილიაში დაბადებული კამერუნელი ფეხბურთელია, კამერუნის ნაკრების წევრი. სავარაუდოა, რომ სეზონის ბოლოს დიდ ფულად „მილანში“ ან მადრიდის „ატლეტიკოში“ გაიყიდება.

ფრანსისკო სოლერი, 29 წლის. მალიორკელი ცენტრალური ნახევარმცველია. მშობლიურ გუნდში მერვე სეზონს თამაშობს.

ველიკო პაუნოვიჩი, 21 წლის. იუგოსლაველია, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოს“ კუთვნილება გახლავთ, მაგრამ „მალიორკაში“ გახლავთ გასესხებული.

ოსკარ არპონი, 28 წლის. ძალიან სწრაფი მოთამაშეა, რომელიც შეხვედრის მიწურულს თუ ჩაერთვება საქმეში დიდი ეფექტის მოხდენა შეუძლია.

ლუის კარერასი, 26 წლის. „ბარსელონაში“ მარცხენა მცველად თამაშობდა. ძირითადად შეცვლაზე შედის ხოლმე.

### თავდამსხმელები

ლეონარდო ბიაჯინი, 22 წლის. სოლერის მსგავსად მადრიდის „ატლეტიკოს“ საკუთრებაა. არგენტინელია. 21 წლამდელთა შორის მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონი გახლავთ.

დანი გარსია, 24 წლის. „მალიორკაში“ გასულ ზაფხულს მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა. სწრაფი არ არის, მაგრამ გოლის გატანის ალღო აქვს და ამიტომაც გაიკაფა გზა ეროვნული გუნდისკენ.

არიელ ლოპესი, 25 წლის. არგენტინელია, ადრე ისიც „ლანუსში“ თამაშობდა. როდესაც იყიდეს, გაბრიელ ამატოს შემცვლელად ეგულებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრაზილია

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

II წრე

III ჯგუფი

პორტუგეზა 1:1 სან პაულუ

რიო ბრანკო 3:0 მატონენსე

პალმეირასი 4:1 ლიმეირა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 14 | 11 | 3 | 0 | 42:16 | 36 |
| პორტუგეზა | 14 | 8 | 3 | 3 | 25:21 | 27 |
| პალმეირასი | 14 | 7 | 5 | 2 | 26:19 | 26 |
| მატონენსე | 14 | 5 | 2 | 7 | 25:28 | 17 |
| რიო ბრანკო | 14 | 5 | 1 | 8 | 34:29 | 16 |
| ლიმეირა | 14 | 4 | 4 | 6 | 25:33 | 16 |

IV ჯგუფი

სანტისტა 0:2 კორინთიანსი

სანტოსი 1:1 მოგი მირიმი

გუარანი 3:4 ბარბარენსე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 14 | 8 | 4 | 2 | 34:17 | 28 |
| კორინთიანსი | 14 | 7 | 1 | 6 | 26:26 | 22 |
| ბარბარენსე | 14 | 6 | 2 | 6 | 26:22 | 20 |
| მოგი მირიმი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:30 | 15 |
| გუარანი | 14 | 3 | 2 | 9 | 21:30 | 11 |
| სანტისტა | 14 | 0 | 2 | 12 | 9:38 | 2 |

*ჯგუფიდან ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადის*

კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატი) ჩემპიონატი

II წრე

ფლუმინენსე 2:3 ფრიბურგენსე

ბანგუ 2:2 ოლარია

მადურეირა 5:0 იტაპერუნა

ამერიკანო 0:1 ვასკუ და გამა

ფლამენგო 0:1 ბოტაფოგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 12 |
| ფლამენგო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:1 | 9 |
| მადურეირა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| ფრიბურგენსე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ბოტაფოგო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ამერიკანო | 4 | 2 | 0 | 2 | 9:9 | 6 |
| ბანგუ | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ფლუმინენსე | 4 | 0 | 1 | 3 | 7:10 | 1 |
| ოლარია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| იტაპერუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:15 | 1 |

*ამ ეტაპზე გამარჯვებული პირველი წრის მომგებ ფლამენგოს შეხვდება ფინალში*

*თუ ამ წრეშიც ფლამენგო გაიმარჯვებს, მაშინ ავტომატურად გახდება ჩემპიონი*

## პორტუგალია

XXXII ტური.

ბოავიშტა 2:1 ბეირა მარი

1:0 ჟორჟე კოუტო (10), 2:0 კვამე (28), 2:1 სასა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 23 | 6 | 3 | 82:25 | 75 |
| ბოავიშტა | 32 | 20 | 10 | 2 | 54:25 | 70 |
| ბენფიკა | 32 | 18 | 7 | 7 | 65:26 | 61 |
| სპორტინგი | 32 | 17 | 10 | 5 | 60:28 | 61 |
| უნიაო | 32 | 13 | 9 | 10 | 33:27 | 48 |
| გიმარაეში | 32 | 13 | 8 | 11 | 50:39 | 47 |
| სეტუბალი | 32 | 13 | 8 | 11 | 34:37 | 47 |
| ამადორა | 32 | 11 | 11 | 10 | 33:38 | 44 |
| ფარენსე | 32 | 10 | 8 | 14 | 36:50 | 38 |
| ბრაგა | 32 | 9 | 11 | 12 | 36:50 | 38 |
| მარიტიმუ | 32 | 9 | 10 | 13 | 39:41 | 37 |
| სალგეიროში | 32 | 7 | 16 | 9 | 40:49 | 37 |
| კამპომაიორენსე | 32 | 9 | 7 | 16 | 37:48 | 34 |
| რიუ ავე | 32 | 7 | 11 | 14 | 24:44 | 32 |
| ალვერკა | 32 | 7 | 10 | 15 | 31:46 | 31 |
| ბეირა მარი | 32 | 6 | 13 | 13 | 31:48 | 31 |
| შავეში | 32 | 5 | 10 | 17 | 37:64 | 25 |
| აკადემიკა | 32 | 4 | 9 | 19 | 30:67 | 21 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXX ტური

არმინია 2:1 ფიურტი

1:0 მაული (39), 2:0 ლაბადია (47), 2:1 კლე (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 30 | 18 | 4 | 8 | 39:23 | 58 |
| არმინია | 30 | 17 | 6 | 7 | 51:28 | 57 |
| კარლსრუე | 30 | 16 | 3 | 11 | 49:38 | 51 |
| ულმი | 30 | 13 | 12 | 5 | 57:47 | 51 |
| ჰანოვერი | 30 | 14 | 7 | 9 | 47:33 | 49 |
| ბერლინი | 30 | 14 | 7 | 9 | 43:36 | 49 |
| ფიურტი | 30 | 13 | 9 | 8 | 39:25 | 48 |
| მაინცი | 30 | 11 | 8 | 11 | 39:40 | 41 |
| კიკერსი | 30 | 11 | 7 | 12 | 31:39 | 40 |
| კიოლნი | 30 | 10 | 9 | 11 | 39:44 | 39 |
| ფორტუნა | 30 | 9 | 11 | 10 | 47:50 | 38 |
| ზტ. პაული | 30 | 10 | 7 | 13 | 36:42 | 37 |
| ობერჰაუზენი | 30 | 7 | 13 | 10 | 33:43 | 34 |
| კოტბუსი | 30 | 7 | 11 | 12 | 37:39 | 32 |
| გიუტერსლო | 30 | 8 | 7 | 15 | 35:51 | 31 |
| ვატენშაიდი | 30 | 6 | 9 | 15 | 25:38 | 27 |
| ურდინგენი | 30 | 6 | 9 | 15 | 31:47 | 27 |
| დიუსელდორფი | 30 | 4 | 13 | 13 | 32:47 | 25 |

## ჰოლანდიური პრობლემა



იაპ სტამი (მარცხნივ) „ეინდჰოვენის" შემადგენლობაში ბათუმში ყოფნისას

ინგლისის ახალი ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს უძვირფასესი მცველი იაპ სტამი (მის სანაცვლოდ შარშან „ეინდჰოვენმა" 17 მილიონი დოლარი მიიღო) 22 მაისს ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშებს. ასევე საეჭვოა მისი მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში მიუნხენის „ბაიერნთან", რომელიც 4 დღის შემდეგ ბარსელონაში, „კამპ ნოუზე" გაიმართება.

„მანჩესტერის" ქომაგთათვის ასეთი არასასიამოვნო ინფორმაცია გუშინ „დეილი მეილმა" გაავრცელა. გაზეთში ისიც ეწერა, რომ კლუბის ექიმები სანუგეშოს ვერაფერს ამბობენ.

სტამი 9 მაისს პრემიერლიგის ერთ-ერთ ტურში დაშავდა „მიდლსბროსთან" — აქილევსის მყესი მძიმედ დაიზიანა. სამედიცინო პერსონალის თქმით, ამ სახის ტრავმის განკურნების ხელოვნურად დაჩქარება, ფაქტობრივად, გამორიცხულია, ტრავმა თავისით უნდა მოშუშდეს.

ასეა თუ ისე, ჰოლანდიელ ცენტრალურ მცველს, რომელიც „იუნაიტედისთვის" ძალიან დიდი ძალაა, 9 მაისის შემდეგ აღარ უთამაშია. მან პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩიც გამოტოვა, სადაც მისმა კლუბმა „ტოტენჰემს" სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.

მანჩესტერელთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ სტამის დღევანდელი მდგომარეობა ძალიან შორს არის იდეალურისგან. მას თურმე ეეჭვება, მცველმა ასეთ მოკლე დროში (26 მაისამდე) მოასწროს გამოჯანმრთელება.

კლუბის მედპერსონალი დღეს კვლავ შეიკრიბება, სტამის ტრავმის სიმძიმეს შეისწავლის და საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს შედეგებს ამცნობს.

## მან უამრავი თასი მოიგო

ჯორკაეფი „ინტერს" ტოვებს. მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა, რომ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ვენეციასთან" უკანასკნელად ითამაშებს „ინტერის" მაისურით.

— „ინტერში" აღარ დავრჩები. სათქმელი აქ უკვე ვთქვი. ვფიქრობ, დროა, ცვლილება შევიტანო — თქვა ჯორკაეფმა. ფრანგი ფეხბურთელის თქმით, მას შემდეგ, რაც „ინტერს" პრეზიდენტი მასიმო მორატი გადადგა. კლუბში ბევრი რამ შეიცვალა, ცვლილებები კი მისთვის სასიკეთო არ აღმოჩნდა.

— აქ საქმე ფეხბურთში არაა, უბრალოდ, მილანი ჩემთვის მოსაწყენ ადგილად იქცა — კვლავ ჯორკაეფი.

31 წლის იური ჯორკაეფი იმ 46 ფეხბურთელთაგანია, რომელიც მასიმო მორატიმ „ინტერის" პრეზიდენტად ოთხწლიანი მოღვაწეობისას შეიძინა. სხვათაგან განსხვავებით ჯორკაეფმა შეძლო კლუბის ძირითადში დამკვიდრება და იშვიათი გამონაკლისების გარდა, მუდამ თამაშობდა „ინტერში". როგორც ჩანს, მისი „ინტერში" ყოფნა სრულდება.

— ფეხბურთში უამრავი ჯილდო მოვიგე და აქ დარჩენას ამიტომაც არ ვაპირებ. მეუბნებიან, სხვაგან რას უნდა მიაღწიო, მაგრამ მე ჩემი საქმე ვიცი. თასები გაცილებით პატარა კლუბებში ? — იტალიურ პრესის ცნობით, ამ სიტყვების ავტორს თვალი ესპანეთისკენ უჭირავს.

ესპპარიზელის მილანიდან წასვლა გადაუწყვეტია. არაა გამორიცხული, ჯორკაეფი პსჟ-ში დაბრუნდეს, სწორედ იქ, საიდანაც 1996 წელს „ინტერში" გადავიდა.



იური ჯორკაეფი

## პოლონეთი

27-ე ტური. სტომილი — ვიძევი 2:1, პოგონი — გკს (კატოვიცე) 1:0, რუხი — ვისლა 1:1, გორნიკი — ლეგია 1:0, ლკს — გკს (ბელხატოვი) 2:0, პოლონია — რაძიონკოვი 0:0, ოდრა — ამიცა 1:0, ზაგლებიე — ლეხი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 27 | 22 | 2 | 3 | 6820 | 68 |
| ვიძევი | 27 | 17 | 1 | 9 | 44:30 | 52 |
| ლეხი | 27 | 16 | 2 | 9 | 51:31 | 50 |
| ლეგია | 27 | 13 | 8 | 6 | 34:24 | 47 |
| პოლონია | 27 | 12 | 7 | 8 | 36:27 | 43 |
| გორნიკი | 27 | 9 | 10 | 8 | 30:26 | 37 |
| რაძიონკოვი | 27 | 9 | 9 | 9 | 33:31 | 36 |
| შტომილი | 27 | 10 | 4 | 13 | 2837 | 34 |
| ზაგლებიე | 27 | 8 | 9 | 10 | 36:39 | 33 |
| ლკს | 27 | 8 | 8 | 11 | 32:39 | 32 |
| რუხი | 27 | 8 | 7 | 12 | 24:34 | 31 |
| ამიცა | 27 | 8 | 6 | 13 | 30:37 | 30 |
| პოგონი | 27 | 8 | 6 | 13 | 32:48 | 30 |
| გკს (ბ) | 27 | 7 | 5 | 15 | 24:45 | 26 |
| გკს (კ) | 27 | 5 | 6 | 16 | 22:44 | 21 |

## ჩეხეთი

28-ე ტური. კარვინა — ბანიკი 1:3, ვიქტორია (პლზენი) — ბობი 2:0, პრადეც კრალოვე — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 0:1, სპარტა — იაბლონეცი 2:0, ოპავა — ჩმელი 1:1, დრნოვიცე — დუკლა 1:2, სლოვანი — ტეპლიცე 0:1, ოლომოუცი — სლავია 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 17 | 8 | 3 | 59:19 | 59 |
| ტეპლიცე | 28 | 15 | 7 | 6 | 52:27 | 52 |
| სლავია | 28 | 14 | 10 | 4 | 45:26 | 52 |
| ოლომოუცი | 28 | 11 | 10 | 7 | 38:32 | 43 |
| ბანიკი | 28 | 9 | 14 | 5 | 37:24 | 41 |
| ჩმელი | 28 | 12 | 5 | 11 | 44:37 | 41 |
| ბობი | 28 | 10 | 7 | 11 | 33:31 | 37 |
| დრნოვიცე | 28 | 9 | 9 | 10 | 34:42 | 36 |
| სლოვანი | 28 | 8 | 10 | 10 | 27:32 | 34 |
| ვიქტორია (ჟ) | 28 | 10 | 4 | 14 | 27:46 | 34 |
| ჰრადეც კრალოვე | 28 | 9 | 6 | 13 | 29:38 | 33 |
| იაბლონეცი | 28 | 8 | 8 | 12 | 33:42 | 32 |
| ვიქტორია (პ) | 28 | 8 | 8 | 12 | 24:37 | 32 |
| ოპავა | 28 | 8 | 7 | 13 | 39:51 | 31 |
| დუკლა | 28 | 7 | 9 | 12 | 25:36 | 30 |
| კარვინა | 28 | 6 | 4 | 18 | 25:50 | 22 |

*ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პრაღის „სპარტა" ჩეხეთის ჩემპიონი გახდა. მისმა თანაქალაქელმა, უპირველეს ყოვლისა კი უმთავრესმა კონკურენტმა „სლავიამ" ოლომოუცში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ვერ მოიგო. „სპარტასთვის" ეს ზედიზედ მესამე, ხოლო საერთო ჯამში 26-ე გამარჯვება აღმოჩნდა ჩემპიონატში.*

*შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჩეხეთს ორი გუნდის წარგზავნის უფლება აქვს და ახლა „ტეპლიცესა" და „სლავიას" შორის დაძაბული სიტუაციაა.*

## აფრიკის თასი

5 ივნისი. საკვალიფიკაციო მატჩი. ს.აფრიკა — მავრიტანია

სამხრეთ აფრიკის შემადგენლობა: მეკარეები — ბრაიან ბალოი (კაიზერ ჩიპსი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია);

მცველები — მარკ ფიში (ბოლტონ უონდერერსი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), ტაპი ხომანე (ორლანდო პირატსი), ლუკას რადებე (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი);

ნახევარმცველები — ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), კვინტონ ფორჩუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), ჟოელ მასილელა (მამელოდი სანდაუნსი), ჰელმან მკალელე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ტაბო მნგომენი (ორლანდო პირატსი), ჯონ მოშოუ (ფენერბაჰჩე, თურქეთი), დავიდ ნიატი (კალიარი, იტალია), გოდფრეი საპულა (იომო კოსმოსი);

თავდამსხმელები — შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), დანიელ მუდაუ (მამელოდი სანდაუნსი)


სარბიელი

სპორტული ლატარია

"CROCO"

თასების თასი. ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | ლაციო — მალიორკა (1,35 — 2,5) | 1,7 | 3,1 | 4,4 |

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | იფსვიჩი — ბოლტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.05 | ბირმინგემი — უოტფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

შვედეთის თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.05 | გიოტებორგი — აიკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ამხანაგური მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | რუსეთი — ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ნორვეგია — იამაიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | სლოვაკეთი — ბულგარეთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | ინდიანა — ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | სან ანტონიო — ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

## ფეხბურთის რუკასთან



შვედეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: ტრელებორგი — აიკ 1:0, დურგარდენი — ორგრიტე 0:3, გიოტებორგი — ჰალმშტადი 1:1, ჰელსინგბორგი — ფროლუნდა 1:0, კალმარი — ორებრუ 2:0, ნორჩეპინგი — ელფსბორგი 1:1. ჰამარბიუ — მალმიო გუშინ გვიან ღამით დამთავრდა. ჩემპიონატს 14 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს „ორგრიტე“. 12 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „კალმარს“, ხოლო 11 ქულით მესამეზე „ტრელებორგია“.

**დანიის ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები: ბრონდბიუ — ერფოლგე 1:0, AB — B93 1:3, კოპენჰაგენი — სილკებორგი 2:2, ვიბორგი — ლუნგბიუ 5:2, ფრემადი — ოლბორგი 1:3, ვეილე — ორჰუსი 2:2. პირველი 56 ქულით „ოლბორგია“. ორი ქულით ნაკლები აქვს და მეორე ადგილზეა „ბრონდბიუ“. მესამეა კოპენჰაგენის AB, რომელმაც 50 ქულა მოაგროვა.**

არგენტინაში მიმდინარეობს სეზონის მეორე, „კლაუსურას“ ჩემპიონატი. ამ შაბათ-კვირას მეცამეტე ტურის მატჩები გაიმართა: სან ლორენსო — ხიმნასია ხუხუი 2:3, რივერ პლეიტი — ხიმნასია ლა პლატა 3:1, არგენტინოს ხუნიორსი — რასინგ კლაბი 1:0, ინდეპენდიენტე — ლანუსი 2:0, კოლონი — ბელგრანო 2:1, ტალერესი — ფერო კარილი 2:0, პლატენსე — ნიუელს ოლდ ბოისი 0:3, ველეს სარსფილდი — ურაკანი 1:1, ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 1:1. 33 ქულით გათამაშებას სათავეში უდგას „ბოკა ხუნიორსი“. მეორე-მესამე ადგილებზე 27-27 ქულით „რივერ პლეიტი“ და „სან ლორენსო“ არიან, თუმცა ამ უკანასკნელს ბურთების უარესი სხვაობის გამო მესამე ადგილი უკავია.

**ფინეთის ჩემპიონატის მეხუთე ტურის ყველა შეხვედრა კვირას ჩატარდა და ასე დასრულდა: ჰელსინკი — მიუპა 2:0, ჯაზი — ლახტი 3:0, კოტკა — ინტერი 1:0, როვანიემი — ვაასა 3:2, ტურკუ — იოკერიტი 1:1. პირველობას დაუმარცხებლად ლიდერობს ოთხი თამაშის მომგები „ჰაკა“. მას მეტოქეებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშები. მეორე-მესამე ადგილებზე 10-10 ქულით „ჯაზი“ და „ჰელსინკი“ არიან. მათ 5-5 მატჩი აქვთ ჩატარებული.**

ლუქსემბურგის ჩემპიონატის 21-ე ტურის შეხვედრები კვირას გაიმართა. ჟენეს ეში — უნიონი 1:1, ავენირი — გრევენმახერი 1:5, მონდერკანჟი — ვილცი 0:2, სპორტინგი — სპორა 5:0, არისი — პეტანჟი 1:4, ჰობშიდი — დუდელანჟი 2:2. 48 ქულით ჩემპიონატს „ჟენეს ეში“ უძღვება. მეორე ადგილზეა „დუდელანჟი“, რომელსაც ერთი ქულით ნაკლები აქვს. 42 ქულით მესამეზეა ბეგენის „ავენირი“.

**სლოვაკეთის ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები: არტმედია — ბარდეხოვი 2:0, ტატრანი — ბანიკი 2:1, ზილინა — სპარტაკი 2:0, ტაურისი — უმენი 0:0, ნიტრა — დუკლა 4:1, რუზომბეროკი — ინტერი 0:0, დუბნიცა — კოშიცე 2:3, სლოვანი — ტრენჩინი 1:1. 28 თამაშიდან 67 ქულით ჩემპიონატს „სლოვანი“ ლიდერობს. ქალაქის მეორე კლუბი „ინტერი“ 62 ქულით მეორეა. „სპარტაკს“, რომელიც მესამე ადგილზეა, 58 ქულა აქვს.**

ბულგარეთის ჩემპიონატის 28-ე ტური: სეპტემვრი — პირინი 2:3, ლევსკი (სოფია) — მინიორი 2:0, სპარტაკი — ცსკა 0:2, დობრუჯა — ბოტევი 4:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — შუმენი 1:3, მეტალურგი — ლევსკი (კისტენდელი) 1:2, ლიტექსი — ნეფტოხიმიკი 3:1, სლავია — ლოკომოტივი (სოფია) 2:3. 70 ქულით პირველია „ლიტექსი“. 68 ქულა აქვს მის უახლოეს მდევარ სოფიის „ლევსკის“. მესამეზე 51 ქულით კისტენდილის „ლევსკია“.

**უკრაინის ჩემპიონატის 25-ე ტურის შეხვედრები გასულ შაბათ-კვირას შედგა. დინამო — ზირკა 1:0, მეტალისტი — შახტიორი 1:1, მიკოლაევი — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 0:4, მეტალურგი (მარიუპოლი) — ვორსკლა 1:0, ტავრია — პრიკარპატიე 3:0, მეტალურგი (დონეცკი) — კრივბასი 0:2, ნივა — ცსკა 1:2. „კარპატი“ — „დნეპრი“ გადაიდო. ჩემპიონატს 23 თამაშიდან 58 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს კიევის „დინამო“. 25 მატჩიდან 54 ქულით მეორეზეა დონეცკის „შახტიორი“. 46 ქულით მესამეზეა „კრივბასი“.**

აზერბაიჯანის ჩემპიონობა მეხუთედ მოიპოვა განჯის „ქიაფაზმა“. ბოლოსწინა ტურში მან ბაქოს „დინამოს“ სძლია 3:1 და მეტოქეთათვის მიუღწეველი გახდა.

**ირლანდიის თასის ფინალის გადათამაშებამ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოავლინა და ახლა მეორე გადათამაშება დაინიშნა. პირველი ფინალური მატჩი „ბრეი უონდერერსსა“ და „ფინ პარას“ შორის 0:0 დასრულდა. გადათამაშება, რომელიც შაბათს გაიმართა, ფრედ 2:2 დასრულდა. მეორე გადათამაშება დღეს შედგება.**

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ“ განაცხადა, რომ შეიძინა პორტუგალიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი სიმაო საბროზა. კატალონიური კლუბის მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა თქვა, რომ საბროზას სახით ნიჭიერი მოთამაშე ეგულება. ესპანური პრესის ცნობით, 19 წლის თავდამსხმელში მისი კლუბი ლისაბონის „სპორტინგი“ 15 მილიონ დოლარს მიიღებს. პორტუგალიურ გუნდს კონტრაქტის დეტალებზე არაფერი უთქვამს, თუმცა გაირკვა, რომ საბროზა „ბარსელონასთან“ რვაწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბმა „შეფილდ იუნაიტედმა“ განაცხადა, რომ მწვრთნელი სტივ ბრიუსი თანამდებობიდან გათავისუფლებულია. თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი ბრიუსი, ივლისში შეფილდური გუნდის თავკაცად დაინიშნა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, თუმცა ნაადრევად მოუწია ხელშეკრულების გაუქმება. ინგლისის პრესის ცნობით, 38 წლის მწვრთნელს „შეფილდ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობასთან გარკვეულ საკითხებზე კონფლიქტი მოსვლია. სტივ ბრიუსით დაინტერესებულან პირველი დივიზიონის კლუბები „ჰადერსფილდი“ და „ბარნსლი“.**

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსხმელ ულფ კირსტენს ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში ჩადენილი ქმედების გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ბუნდესლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა, შაბათს, „დუისბურგთან“ 0:0 დასრულებული მატჩის 73-ე წუთზე რომ შეცვალეს, მაყურებლებს აღმართული შუათითი უჩვენა, რაც შეურაცხმყოფელ საქციელად ითვლება. ქვეყნის ფეხბურთის კავშირის ცნობით, კირსტენს დისკვალიფიკაცია ან ჯარიმა არ ასცდება.

**რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა განაცხადა, რომ ქვეყნის პირველი გუნდის ძირითადი მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვი, სავარაუდოდ, მზად იქნება 5 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საფრანგეთთან სათამაშოდ. „ვიმედოვნებ, რომ იგი მომჯობინდება. ტრავმა სერიოზულია, თუმცა პროგრესიც აშკარაა. ჩვენ ფილიმონოვის დიდი იმედი გვაქვს“ — თქვა რომანცევმა. შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ათი დღის წინ დაშავდა ცსკა-სთან მატჩში. მუხლის ტრავმის გამო მან ბელარუსთან ამხანაგური მატჩიც გამოტოვა.**

ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ფულემის“ მწვრთნელად პოლ ბრეისველი დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე კევინ კიგანი შეცვალა. მოგეხსენებათ, კევინ კიგანი, რომელიც „ფულემს“ წვრთნიდა, ინგლისის ნაკრების თავკაცი გახდა. აღსანიშნავია, რომ „სანდერლენდის“ ყოფილი ნახევარმცველი პოლ ბრეისველი პირველი ფეხბურთელია, ვინც კიგანმა „ფულემის“ მწვრთნელად მოღვაწეობისას გადაიბირა. „მიხარია, ასეთი საპასუხისმგებლო საქმე რომ მომანდეს. დარწმუნებული ვარ, შევძლებ ნდობის გამართლებას“ — განაცხადა პოლ ბრეისველმა.

**დანიელმა ნახევარმცველმა ალან ნილსენმა განაცხადა, რომ აღარ სურს ლონდონის „ტოტენჰემში“ თამაში. ნილსენს, რომელმაც მიმდინარე სეზონში ცხრა გოლი გაიტანა, მათ შორის გადამწყვეტი ბურთი ლიგის თასის ფინალში, „ტოტენჰემის“ მწვრთნელ ჯორჯ გრემთან შელაპარაკება მოსვლია. „კლუბში დარჩენას არ ვაპირებ. რამდენიმე წინადადება მაქვს. იმედია, ახალ, შესაფერის კლუბს მოვძებნი“ — განაცხადა ნილსენმა.**

სერბმა მილიონერმა მილან მანდარიჩმა ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბი „პორტსმუთი“ შეიძინა. ხელშეკრულება ინგლისურ კლუბთან რამდენიმე დღის წინ გაფორმდა. ამერიკაში მოღვაწე 60 წლის სერბმა საქმოსანმა, რომელმაც კაპიტალი ელექტრონულ ინდუსტრიაში მუშაობისას დააგროვა, ინგლისური კლუბის ყიდვა თითქმის სამი წლის წინ გადაწყვიტა, თუმცა აქამდე სურვილს იმიტომ ვერ ისრულებდა, რომ შესაფერის მომენტს ელოდა. ინგლისური პრესის ცნობით, მილან მანდარიჩს „პორტსმუთის“ შეძენა 6,8 მილიონი დოლარი დაუჯდა.

**რუმინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა გეორგე ჰაჯიმ განაცხადა, რომ იგი ნაკრებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეხვედრით დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის მერვედფინალში, ხორვატებთან 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ „კარპატების მარადონა“ რუმინეთის ნაკრებს გამოეთხოვა. „ნაკრების მწვრთნელის მადლობელი ვარ, რომ კვლავ მიხმო ქვეყნის პირველ გუნდში“ — განაცხადა ჰაჯიმ. რუმინეთი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნგრეთს ხვდება. ცნობისთვის 34 წლის ჰაჯის რუმინეთის ნაკრებში 114-ჯერ უთამაშია და 33 გოლი გაუტანია.**

გერმანიის ჩემპიონატის ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ ლევერკუზენის „ბაიერში“ მოთამაშე დანიელი ნახევარმცველი იან ჰაინცე ზაფხულში ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს“ შეუერთდება. გერმანული და ჰოლანდიური გუნდები ტრანსფერის თაობაზე უკვე შეთანხმებულან. ჰაინცე „ბაიერში“ 1996 წელს გადავიდა „ურდინგენიდან“. შეგახსენებთ, რომ 1996 წელს ჰაინცემ ლევერკუზენელთა შემადგენლობაში თბილისშიც ითამაშა „დინამოს“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

**ჰოლანდიელი გარემარბი ვილემ კორსტენი ახალ სეზონში ლონდონის „ტოტენჰემში“ ისპარეზებს. ინგლისურმა კლუბმა კორსტენის გუნდს, არნემის „ვიტესს“ 1,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა მოთამაშის სანაცვლოდ. 24 წლის ფეხბურთელი სეზონის დასაწყისში „ლიდსში“ გადიოდა წვრთნას, 10 მატჩიც ითამაშა და ორი გოლიც შეაგდო. ლიდსელები კორსტენის გადაბირებას ცდილობდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა „ტოტენჰემი“ არჩია. ლონდონის კლუბმა ასევე განაცხადა, რომ ენდი სინტონი და კლაივ უილსონი გუნდს 1 ივლისამდე დატოვებენ.**

თურქეთის კლუბმა „ტრაბზონსფორმა“ გაათავისუფლა ინგლისელი მწვრთნელი გორდონ მილნი. ტრაბზონის კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ჰიქმეთ ონურმა სააგენტო „როიტერს“ განუცხადა, რომ 62 წლის მილნთან განშორება ცუდმა შედეგებმა განაპირობა. გორდონ მილნი, თავის დროზე „ლივერპულის“ ფეხბურთელი, შარშან ორი სეზონით „ტრაბზონსფორის“ მწვრთნელად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ როცა მილნი თურქეთის მეორე, არანაკლებ სახელოვან გუნდს, სტამბოლის „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა, კლუბი ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

# ის უგონოდ მთვრალი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



კვირას როი კინი ინგლისის ჩემპიონი გახდა, ორშაბათს კი გამოთვრა და ბარში ქალი გალახა

ორშაბათს, გვიან ღამით, მანჩესტერის პოლიციამ ბარში ჩხუბისა და აურზაურისთვის 27 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა. თითქოს ამაში გასაკვირი არაფერია, ინგლისში თითქმის ყოველდღე ხდება მსგავსი ამბავი, მაგრამ...

ინგლისური პრესა ირწმუნება, რომ ეს 27 წლის მამაკაცი სხვა არავინაა, თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ირლანდიელი კაპიტანი როი კინი! მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ეს ინფორმაცია უარყო, გამორიცხული არაფერია, რადგან გამოთრობის მიზეზი კინს ნამდვილად ჰქონდა — წინა დღეს ხომ მისი კლუბი ინგლისის ჩემპიონი გახდა.

პოლიციის ოფიციალურ განცხადებაში ასე წერია: „17 მაისს, ღამით, მანჩესტერის ცენტრში მდებარე ბარ HENRY'S-ში შევიდა პიროვნება ნასვამ მდგომარეობაში“... ეს განცხადება კი აღწერს ბოლომდე მომხდარს, მაგრამ აჯობებს, დაზარალებულს, 40 წლის ავსტრალიელ ქალბატონ ლინ კერის მოვუსმინოთ, რომელსაც ბრალდებულმა კინაღამ ყბა მოსტეხა, ხოლო მის მეგობარ მამაკაცს, მექსინ ბურკს ლუდით სავსე კათხა დაამსხვრია თავზე.

— ის უგონოდ მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. თანაც გაბრაზებული აბრიალებდა თვალებს და ილანძღებოდა — უყვება ქალბატონი კერი გაზეთ „სანს“ — მერე ჩვენსკენ დაიძრა, ეტყობა, არ მოვეწონეთ და ისეთი დამარტყა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ დავცემულიყავი. ხვალ, ალბათ, საშინელი სისხლჩაქცევა მექნება — დაამატა მან.

გუშინ, საღამოს, მასმედიის ვარაუდი გამართლდა. პოლიციის განყოფილებაში „იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი მივიდა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თავისი მოწაფე თავდებით გაათავისუფლა. კინი პოლიციაში 13 ივლისს უნდა გამოცხადდეს.

# რიბეკის აზრით



გერმანიის ნაკრების მწვრთნელ ერიხ რიბეკს ერთი შეხედვით საკმაოდ კარგი აზრი მოუვიდა, თუ ბუნდესლიგაში ფეხბურთელს გააძევებენ, მატჩი კი არ გამოტოვოს, გვარიანი ფულადი ჯარიმა გადაიხადოსო.

— ფაქტია, რომ ფეხბურთელის გაძევებით მისი გუნდი ზარალდება. ჯობს მოთამაშე თავისი საქციელის გამო თავად დაისაჯოს 50 ათასი მარკა (27 ათასი დოლარი) გადაიხადეს — განაცხადა რიბეკმა.

იყიდება
თეთრი. გამჭვირვალე ორგანული მინა.
3 მილიმეტრიანი
ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)
(საღამოს საათებში)

## საქართველოს ჩემპიონატი 34 ტური

# საუკეთესო მოთამაშე

### ლევან მგალობლიშვილი
### -თსუ-



პერსპექტიული კალათბურთელებით დაკომპლექტებული ასკ-ის წინააღმდეგ თსუ-ს სულაც არ ჰქონდა სახუმაროდ საქმე, რადგან პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლმა სტუდენტებმა ტრავმირებულ მარკოიშვილთან და ქარაბაკთან ერთად, არასპორტული საქციელისთვის ჩემპიონატიდან სამი თამაშით მოკვეთილი ოდისეი დიმიტრიადიც მოისაკლისეს. სტუდენტებისთვის ურთულეს სიტუაციაში გუნდის ლიდერობა თსუ-ს მსროლელმა ლევან მგალობლიშვილმა იკისრა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანაგუნდელთა გამარჯვებაში.

**— ისედაც მოკლე სკამის მქონე თსუ-მ, სამი წამყვანი კალათბურთელის გარეშე არმიელების ასეთი დამაჯერებელი ანგარიშით — 92:72 დამარცხება როგორ შეძლო?**

— მეტოქისგან სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდით პირველ ნახევარში, მაგრამ შესვენების შემდეგ, ძირითადად გამოცდილების ხარჯზე გავტეხეთ არმიელების წინააღმდეგობა და ჩვენთვის ესოდენ საჭირო ორი ქულა მოვიპოვეთ.

**— თქვენს შედეგიან თამაშზე რას გვეტყვით?**

— მსროლელად ვთამაშობ და ჩემი მოვალეობაა გამთამაშებლის დახმარება. ქულების დაგროვებაზე არც მიფიქრია, მაგრამ ხშირად კარგ პოზიციაში ვრჩებოდი და შედეგიანობაც ამან განაპირობა. საბოლოოდ 41 ქულა მომიგროვდა.

**— მეორე წრეში, თქვენი აქტიური თამაშის შედეგად, თსუ-მ მიმდინარე ჩემპიონატში „ვითას" პირველი დამარცხება აგემა. ასპარეზობის დასკვნით წრეშიც შეეძლო თსუ-ს ჩემპიონებთან მატჩის გადარჩენა, მაგრამ ამჯერად თქვენგან ნასროლი სამქულიანი არაზუსტი გამოდგა...**

— წამებილა რჩებოდა მეორე ტაიმის დამთავრებამდე და ცოტა ავჩქარდი. არადა, „ვითასთვის" რომ მოგვეგო, „დინამოს" თეორიულად ვუსწრებდით და პლეი ოფში მოხვედრის შანსებიც ჩვენ უფრო უკეთესი გვექნებოდა.

**— ამჟამად თსუ-სა და „დინამოს" შორის რომელს აქვს უკეთესი შანსი პლეი ოფში მოსახვედრად?**

— ბოლო ტურის წინ, სადაც ჩვენ „შევარდენს" ვხვდებით, ხოლო „დინამოს" მეტოქე კი სტუ-ა, დინამოელები გვისწრებენ 6 ქულით, მაგრამ 3 თამაშით ნაკლები გვაქვს და თეორიულად თანაბარქულებიანებად ვითვლებით. თუ „დინამომ" შეძლო სტუ-ს დამარცხება, ოთხივე მატჩიც რომ მოვიგოთ, პლეი ოფის მიღმა ვრჩებით, რადგან თანაბარი ქულების შემთხვევაში ურთიერთშეხვედრებშიც საყაიმო (2:2) ანგარიშია, მაგრამ ბურთების შეფარდება გვაქვს უარყოფითი.

**— ვლადიმერ ბეჟანიშვილის დამატების შემთხვევაში „დინამოს" კიდევ უფრო გაძლიერების შანსი ეძლევა. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ჩემპიონატის ფინიშზე გუნდების ექს-ლეგიონერებით გაძლიერება?**

— ჩვენთან ჩემპიონატი ასე გაწელილი რომ არ იყოს, ყველა გუნდი ექს-ლეგიონერების გარეშე ჩაამთავრებდა ასპარეზობას და თანასწორუფლებიანობაც დაცული იქნებოდა. ახლა რა გამოდის? თსუ-ზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შეიძლება „აზოტიც" კი უმეღლოდ დარჩეს.

**— თსუ-ში დაფრთიანებულ კალათბურთელთა უმრავლესობის მსგავსად, თქვენი კალათბურთით დაინტერესებაშიც ბატონ ნუგზარ მარკოიშვილის ხელი ხომ არ ურევია?**

— მესამე კლასში ვიქნებოდი, როდესაც ვარჯიში დავიწყე თსუ-ში ბატონების, ნუგზარ მარკოიშვილისა და ელდარ კაპანაძის ხელმძღვანელობით. შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და ვიცავ ამავე უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის ღირსებას.

**— ვიცით, რომ თქვენი საკალათბურთო მოღვაწეობა მარტო თსუ-ში თამაშით არ შემოიფარგლება. გამოდიოდით სდასუ-სა და „ვითაში". რამდენიმე წელი კი საბერძნეთშიც თამაშობდით...**

— თსუ-ს გარდა მითამაშია ლარნაკის აეკ-ის (კვიპროსი) და ათენის აეკ-ის (საბერძნეთი) ბავშვთა გუნდებში. შემდეგ გამოვდიოდი საბერძნეთის მესამე ლიგის გუნდში. ერთხელ, საქართველოში არდადეგებზე ჩამოსულ მე და ჩემს მეგობარ ოდისეი დიმიტრიადის დაგვიკავშირდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი თემურ ქორიძე და გვთხოვა მის გუნდ „ამაღლებას" (შემდგომში სდასუ) დავხმარებოდით პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასასვლელად. სხვადასხვა წლებში გამოვდიოდი სდასუ-სა და „ვითაში", მაგრამ საბერძნეთში მივდიოდი ხოლმე და ამიტომ მიხდებოდა საქართველოს გუნდების მიტოვება.

**— კვიპროსსა და საბერძნეთში როგორ მოხვდით?**

— 1993 წელს მე და დედაჩემი ვისვენებდით ნათესავებთან ერთად კვიპროსში, სადაც გავიცანით თემურ ქეცბაიას მენეჯერი, რომელიც ჩემით დაინტერესდა.

**— ამბობთ, ნათესავებთან ერთად ვიყავი კვიპროსშიო. დედა ხომ არ გყავს ბერძენი?**

— დედა არა, მაგრამ მამის მხრიდან ბებია მყავს ბერძენი და რამდენიმე ნათესავიც გვყავს საბერძნეთში.

**— კონკრეტულად რით დააინტერესეთ ქეცბაიას მენეჯერი?**

— სისწრაფითა და კარგი ნახტომით.

**— რამდენიმე თვის წინ „სარბიელთან" საუბრისას აღნიშნეთ, რომ შეყვარებული ვარ და დაქორწინებას ვაპირებო...**

— ჯერ არ დავქორწინებულვარ. საბერძნეთიდანაც შეყვარებულის გამო წამოვედი.

**— თუ არ მოგვყვებათ, თქვენც ადექით და მოიტაცეთ.**

— დღევანდელ დღეს მოტაცება ქაჯობად მიმაჩნია. ეგ ბებიაჩემის დროს იყო, რომელიც მართლაც მოტაცებულია.

**— სხვამ რომ მოგტაცოთ?**

— მაშინ მე რაღას ვაკეთებ.

**— იმ გოგოს თუ უყვარხართ?**

— 5 წელია ერთმანეთი გვიყვარს.

**— თქვენი გამჭვირვებია, მაშინ რაღას უცდით?**

— წლეულს ამთავრებს სკოლას და უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას. გამოცდებამდე ორი თვეღა დარჩა და სადაც 5 წელი მოვიცადე, ორ თვესაც გავძლებ რამენაირად.

**— ოჯახის შექმნის შემდეგ რას აპირებთ?**

— თუ კალათბურთში დავრჩი, საბერძნეთში მინდა ვითამაშო, რადგან იქ უფრო ავიმაღლებ ოსტატობას. ამ დღეებშიც დამიკავშირდა ჩემი ყოფილი მწვრთნელი მესამე ლიგის გუნდიდან და მეპატიჟება. საქართველოში დარჩენის შემთხვევაში არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ. ამჟამად უმთავრესად მომავალ ოჯახზე ვფიქრობ.

**როლანდ ლაბუჩიძე**

---

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი. ფრიბურგი, 19-23 მაისი

# ქართველთა ნომრებში ტელეფონი არ არის

**საქართველოს** კალათბურთელთა ნაკრები შვეიცარიაში ორშაბათს გვიან ღამით ჩავიდა და ქალაქ ფრიბურგის ერთ-ერთ გარეუბანში, დიუდინგენში, სასტუმრო „დეს ალპეზში" დაბინავდა.

ვერ გეტყვით, რა კლასის, ან კიდევ რამდენ ვარსკვლავიანია შვეიცარიული „დეს ალპეზი", თუმცა ის კი ნაღდია, რომ ჩვენებურებს საკომუნიკაციო გადახარჯვები არ ემუქრებათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასტუმროს ნომრებში ქართველებს ტელეფონი არ ჰქონიათ...

ჩვენდა ბედად, ნაკრების წევრმა ირაკლი ხოშტარიამ იმ დროს გაიარა ფოიეში, როცა სასტუმროს ადმინისტრატორს ტელეფონით ვუხსნიდით, ვინ ვიყავით და რა გვინდოდა.

სწორედ ხოშტარიასგან შევიტყვეთ, რომ გუშინ, ჩვენი დროით 24 საათზე, საქართველოს ნაკრები პირველად და უკანასკნელად წაივარჯიშებდა ფრიბურგის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ. დღეს კი, აღნიშნული ტურნირის პირველ მატჩში, ჩვენი დროით 23 საათსა და 30 წუთზე, ქართველები მასპინძლებს, შვეიცარიელებს შეხვდებიან.

---

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# მასპინძელთა დღე

## აღმოსავლეთი

### ინდიანა — ფილადელფია 1:0

17 მაისი

**ინდიანა 94:90 ფილადელფია**

**ინდიანა: სნოუ (10), აივერსონი (35), ლინჩი (6), რეტლიფი (6), გეიგერი (16); ჰიუზი (10), ჰილი (5), გრანტი, მაჰორნი (2), ჰონიკატი**

**ფილადელფია: ჯექსონი (14), მილერი (18), მულინი (1), დ. დევისი (7), სმიტსი (12); როუზი (27), ა. დევისი (8), მაკი (2), ბესტი (2), პერკინსი (3)**

1992 წლის შემდეგ პლეი ოფში პირველად მოხვედრილმა „ფილადელფია 76"-მა, უფრო სწორად კი მისმა ლიდერმა ალენ აივერსონმა პირველი წრის გამოცდა წარმატებით ჩააბარა, იოლად მოინელა „ორლანდო მეჯიქი" და მეორე წრეში წინა პლეი ოფის აღმოსავლეთის ფინალისტს, ლარი ბერდის „ინდიანა პეისერზს" დაუპირისპირდა. აქ კი, მართალია ბრწყინვალედ, მაგრამ მაინც მარტო მოთამაშე ალენ აივერსონმა მარცხი განიცადა სერიის და, საერთოდ, აღმოსავლეთის ფავორიტ ინდიანასთან, რომელიც ფილადელფიისგან განსხვავებულ, ზეკომბინაციურ თამაშს თამაშობს, აქ ერთ კაცზე არაა ყველაფერი დამოკიდებული. გუნდის გამთამაშებელმა მარკ ჯექსონმა, რომელიც მთავარი მწვრთნელის, ლარი ბერდის მარჯვენა ხელია მოედანზე, აღნიშნა კიდეც, ჩვენი გუნდი თორმეტი კაცის გუნდია და ამათგან არავინაა დავრდომილიო. ინდიანა თავის თავში დარწმუნებულია, წლევანდელ პლეი ოფში ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და თვლის, რომ ფილადელფია, ისევე როგორც მის მიერ პირველი წრიდან გაგდებული მილუოკი, ერთ-ერთი საფეხურია მწვერვალისკენ.

მასპინძლებმა მართალია სერიის ანგარიში გამარჯვებით გახსნეს, მაგრამ გვარიანმა ოფლისღვრამ მოუწიათ ალენ აივერსონთან და მის ბიჭებთან ბრძოლაში. რეგულარული ჩემპიონატის ბომბარდირმა აივერსონმა მეოთხედ შეაგროვა 30 ქულაზე მეტი, უფრო მეტიც, ამ სულ რაღაც 183-სანტიმეტრის სიმაღლის პატრონმა კაცმა 9 ბურთი მოხსნა, ლამის ორჯერ მეტი, ვიდრე მასზე 40 სანტიმეტრით მაღალმა ინდიანას ჰოლანდიელმა ცენტრმა რიკ სმიტსმა. არადა, სმიტსი სიმაღლით მეორეა მთელ ლიგაში. მისი გუნდი კი დამარცხდა, მაგრამ აივერსონი გულს არ იტეხს: „ვგრძნობ, რომ ჩვენ შეგვიძლია მეტოქის ძლევა, ამბობს იგი, გუნდში კარგი ატმოსფეროა, დაბრუნება (პლეი ოფში) კარგი გამოგვივიდა და მართალია, ინდიანა ურიგო გუნდი არაა, მაინც შეგვიძლია მისი დამარცხება. ჩვენ შეგვიძლია, გაცილებით უკეთ ვითამაშოთ".

ვერ ვიტყვით, ფილადელფიას შეუძლია თუ არა მეტი, მაგრამ იმ ღამით მართლაც ჩინებულად ითამაშა. აივერსონი „უტიფრად" მიძვრებოდა ტანმაღალ ინდიანელებში და, მართალია, სამქულიანები ცუდად ისროლა (ექვსიდან ერთი ჩააგდო), მაგრამ გარღვევებითა და საშუალო მანძილიდან სროლებით სისხლი გაუშრო მეტოქეთა მეურვეებს. თანაგუნდელებიც შეძლებისდაგვარად მხარს უბამდნენ, მაგრამ გუნდის ლიდერის ნიჭი და გაქანება სულ სხვა იყო, ამიტომაც აივერსონს ხშირად მარტოს უწევდა საქმის კეთება. მეორე ნახევარში, მთელი 12 წუთის განმავლობაში, მხოლოდ იგი აგდებდა ბურთებს თამაშიდან, სხვები მხოლოდ ხანდახან საჯარიმოებს შეაშველებდნენ ხოლმე და რაღა გასაკვირია, ეს ისევ ინდიანას რომ აძლევდა ხელს. მასპინძელთა მწყობრმა შეტევებმა და კარგად ორგანიზებულმა დაცვამ თავისი გაიტანა. „პეისერზი" მეოთხე მეოთხედის დაწყებისას რვა ქულის სხვაობით იგებდა. აივერსონის თავგამოდების შემდეგ სხვაობამ ნელ-ნელა შემცირდა. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე 88:86 გახადა, მაგრამ აქ ინდიანას გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ბოლო 24 წუთში ფილადელფიამ ექვსი საჯარიმო მიიღო საკუთარ კალათში. აქედან სამის ავტორი ინდიანას ბომბარდირი რეჯი მილერი გახლდათ, რომელიც წლეულს მთელი ლიგაში პირველია საჯარიმოების გამოყენებაში, ნასროლის 91,5 პროცენტს აგდებს.

## დასავლეთი

### სან ანტონიო — ლეიკერსი 1:0

17 მაისი

**სან ანტონიო 87:81 ლეიკერსი**

**სან ანტონიო: ჯონსონი (12), ელი (8), ელიოტი (10), დანკანი (25), რობინსონი (15); ჯექსონი (6), პერდიუ (6), კერსი (3), დანიელსი (2), როუზი**

**ლეიკერსი: ფიშერი (13), რაისი (21), ბრაიანტი (21), რიდი (3), ონილი (21); ჰორი, ფოქსი, ჰარპერი, რუქსი (2)**

აქაც ბურთი და მოედანი მასპინძელს დარჩა. სან ანტონიომ გაცილებით იოლად მოუგო ლეიკერსს, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ეს ანგარიშში სრულად არ აისახა. „სფურზი" იმ დღეს ნამდვილად სჯობდა მეტოქეს, რომელმაც ერთი ტეხასური გუნდის — „ჰიუსტონ როკიტსის" პირველ წრეში გზიდან ჩამოშორების შემდეგ მეორე ტეხასურ გუნდთან მოინდომა საქმის წინასწარ მოგვარება და სტუმრად მოგება, მაგრამ არ გამოუვიდა. სან ანტონიო ჰიუსტონი არ არის, „დეზებს" უფრო მეტი სულისკვეთება და მონდომება აღმოაჩნდათ. „სან ანტონიო კარგი გუნდია, იქნებ უძლიერესიც, მაგრამ ჩვენ გულის გატეხვა არა გვჩვევია, ჩვენსას შევეცდებით" — ამბობდა მატჩის შემდეგ ლეიკერსის ყმაწვილი სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტი, რომელმაც წინა სერიაში ჰიუსტონის უკანახაზელებს სიქა გააცალა და სან ანტონიოსთანაც იგივე მოიწადინა, კარგადაც გაისარჯა, მაგრამ ლიგაში განთქმულ მაღლებთან — ცენტრ დევიდ რობინსონთან და თავდამსხმელი ტიმ დანკანთან ვერაფერი გააწყო. ამ უკანასკნელმა შვებით ამოისუნთქა, რაც მინესოტელი კევინ გარნეტი მოიშორა. დანკანის ამპლუაში ლეიკერსს ღირებული არავინა ჰყავს და სანანტონიოელმაც გაილაღა. მისმა გუნდელმა დევიდ რობინსონმა კი ლიგის უძლიერეს ცენტრთან დაიჭირა საქმე და კარგადაც უპატრონა. მართალია, ონილმა 21 ქულა გააკეთა, მაგრამ 19 სროლიდან მხოლოდ ექვსი ჩააგდო. არადა, იგი ლიგაში ყველაზე ზუსტად ესვრის თამაშიდან — არ გამიმართლაო ამბობდა ონილი.

თამაში გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. ლეიკერსი მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც პირველი წუთები 0:8 წააგო და ისე გაუტია, მალე ანგარიში 2:12 გახდა მის სასარგებლოდ. ეს იყო და ეს, სან ანტონიომ მოახერხა და საწყისი მეოთხედი სულ ოთხი ქულის სხვაობით დათმო — 20:24, შემდეგ პირველი ნახევარი 47:41 მოიგო, მესამე მეოთხედის შემდეგ 9 ქულით გავიდა წინ. მერე კი ლეიკერსმა შეძლო სამი ქულის გაქვითვა და თამაშიც დამთავრდა.

ბევრს ცდილობდნენ ლეიკერსელები კობი ბრაიანტი და გლენ რაისი. ამ უკანასკნელს ჯერ მთლიანად არ მორჩენია ჰიუსტონთან მიღებული იდაყვის ტრავმა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. ბოლო მეოთხედში სან ანტონიო 79:64 იგებდა, როცა ბრაიანტმა თავი გაიგიჟა, ჯერ ფარქვეშიდან ჩააგდო, მერე გარღვევაზე ივარგა, ამას კი ბრწყინვალე ჩატენვაც მიაყოლა. მერე სხვებმაც ივარგეს და სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა 79:72. მაგრამ იმ დღეს ლეიკერსი არ იყო სან ანტონიოს გამჩერებელი და მასპინძლებმაც დამსახურებული გამარჯვებით გახსნეს სერიის ანგარიში.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS

ინდიანა — ფილადელფია. სტუმართა ლიდერიმა ალენ აივერსონმა (ბურთით) ინდიანელი ტრევის ბესტი ჩამოიტოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური და საცნაური

## ყოჩების წაგება და დათვების გაჩეთი



ეს სწორედ ის ლელოა, ლოკომოტიველებს რომ გაამარჯვებინა, ყოჩებს კი სენსაციური მარცხი აწვნია

**საქართველოს ჩემპიონატი. IV ტური**

თბილისი. 15 მაისი

**ლოკომოტივი 1 — ყოჩები 21:18**

თბილისი 15 მაისი

**ლოკომოტივი 2 — ასკ 0:22**

თბილისი. 16 მაისი

**ზორდა — უნივერსიტეტი 19:12**

ბათუმი. 16 მაისი

**დათვები — აია 50:3**

ამას ორი წელი ელოდა თემურ ბენდიაშვილი და არა მარტო ის — ლამის მთელი ქართული სარაგბო სამყარო. ორი წელია, „ყოჩებს“ არ წაეგოთ და ბოლო წუთამდე ამ მატჩსაც იგებდნენ, თუმცა მათთვის სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხეს. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. უპირველესად ის, რომ თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე „ლოკომოტივი“-1 უკეთ გამოიყურებოდა. მეორეც — სეზონის წინ ისედაც დასუსტებულ „ყოჩებს“ ამ შეხვედრაში გიორხელიძე და ტეფნაძე აკლდათ. ამ უკანასკნელს ბაბუა გარდაეცვალა, გიორხელიძე კი წელის ტკივილს შეუწუხებია. ამიტომაც იყო, მეათე ნომრად ლიპარტელიანმა რომ ითამაშა, უკანა ბეკად კი — გარემარბმა ხეხელაშვილმა. უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერც ერთმა გაართვა. ყველასთვის ნათელია, რომ ჩემპიონობისთვის სეზონის წინ მეტად გაძლიერებულ ბათუმელებთან ერთად ეს ორი გუნდიც იბრძოლებს, ამიტომაც ადევნებდა თვალყურს „დათვების“ დამრიგებელი რამაზ სვანაძე ოპონენტთა პაექრობას.

თავად თამაში ლოკომოტიველთა მცირე უპირატესობით წარიმართა და მათ დამსახურებულადაც იმარჯვეს. პირველი ტაიმი რკინიგზელებმა 8:6 მოიგეს. ანგარიში კვინიხიძემ გახსნა საჯარიმოთი. ათიოდ წუთში საჯარიმოს დარტყმის უფლება ჩემპიონებმა მოიპოვეს და ტყეშელაშვილმაც გაათანაბრა. ტაიმის ბოლომდე გუნდებმა კიდევ განახორციელეს თითო-თითო შედეგიანი შეტევა, ოღონდ თუ „ლოკომოტივის“ იერიში ცხომელიძის ლელოთი დასრულდა, „ყოჩები“ მხოლოდ ტყეშელაშვილის ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი მოპოვებულ სამ ქულას დასჯერდნენ.

მეორე ტაიმში „ყოჩების“ შემადგენლობა შეიცვალა — მინდორზე გასულმა ურუშაძემ, ესაკიამ და კობახიძემ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ჩემპიონის თამაშის ხარისხი. ჯერ იყო და მრავალსვლიანი შეტევა ხამაშურიძის ლელოთი დასრულდა, დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი მანვე მეორე ლელო გაუტანა რკინიგზელებს. ამათ შორის კი კვინიხიძემ ორჯერ ზუსტად შეასრულა საჯარიმო. მატჩის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როცა „ლოკომოტივმა“ მეტოქის სალელოე მოედანთან საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა, მაგრამ რკინიგზელებმა გათამაშება არჩიეს და... თოფურიძის ლელო, რომელმაც გამარჯვება „ლოკომოტივ 1“-ს მოუტანა.

იმ დღეს გამართულ მეორე მატჩში „ლოკომოტივის“ მეორე გუნდმა ასკ-ს უმასპინძლა და მშრალად დამარცხდა. ეს უმცროს რკინიგზელთა ზედიზედ მესამე წაგება გახლდათ ჩემპიონატში. მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას არმიელები ფლობდნენ და სამი ლელოს გატანაც მოახერხეს. რკინიგზელებმა კი, დიდი მონდომების მიუხედავად, ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს, თუმცა ამის საშუალება სამჯერ მიეცათ, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ.

ტურის კიდევ ორი შეხვედრა მეორე დღეს ჩატარდა. თბილისში გამართულ მატჩში ერთმანეთს „ზორდა“ და უნივერსიტეტი დაუპირისპირდნენ. საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია. ორივე გუნდი მორკინალების წყალობით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის რიგებში ტრავმის გამო ვერ ვიხილეთ ლაბაძე, რომლის არყოფნამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სტუდენტთა შედეგიანობა აუტისას. პირველ ტაიმში სტუდენტებს სულ მცირე ორი ლელო უნდა გაეტანათ, მაგრამ მეტოქე ბოლო მომენტში ახერხებდა მათ შეჩერებას და მხოლოდ ორი საჯარიმოს გატანის ნება მისცა, თავად კი ლელოთი უპასუხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუდენტები ორი საჯარიმოს გამტანმა ჯავრიშვილმა დააწინაურა, მაგრამ მომდევნო თხუთმეტ წუთში ორი ლელო გაუშვეს და მატჩიც არმიელთა გამარჯვებით დასრულდა.

სტუმრად სამი შთამბეჭდავი (სამივე ნოლზე) გამარჯვების შემდეგ „დათვები“ მასპინძლის როლშიც მოგვევლინენ. უნდა გითხრათ, ბათუმმა სეზონის გახსნა საკადრისად აღნიშნა. სარაგბო წესების სრული დაცვით გაწყობილ ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე სახელმწიფო ჰიმნმა აჟღერდა, გუნდების კაპიტნებმა ნუგზარ ძაგნიძემ და კახა გაბრიჩიძემ ჩემპიონატის ალამი აღმართეს. მერე გუნდები დროებით ტრიბუნებისკენ გაემართნენ და მოედანი ნორჩ მორაგბეებს დაუთმეს.

სტადიონზე მისულ მაყურებელს საგანგებოდ ამ დღისათვის დიდი ტირაჟით დასტამბული გაზეთი „ბათუმის დათვები“ (ფერადი გამოცემა) დაურიგდათ საჩუქრად.

თავად თამაშზე კი რა უნდა ითქვას. ძველ-ახალ აიელთა შეხვედრაში გამარჯვებული წინასწარვე იყო ცნობილი, საკითხავი ერთილა რჩებოდა: მატჩის ანგარიში, დაინდობდნენ თუ არა მშობლიურ ქალაქში დაუფასებელი და ბათუმს გადახვეწილი ექსაიელები თავიანთ უმცროს ძმებს.



ზოგჯერ აუტს თსუ-ც იგებდა

არა, არ დაინდეს და არც გაემტყუნებათ. ძმობა ერთია და თამაში მეორე. „დათვებმა“ მე-8 წუთზე გახსნეს ანგარიში. ამათ მარჯვნიდან გაშალეს მარაო და გიორგი ჩუბინიძის ჩინებული გადაცემით კახა მაჩიტიძემ „აიას“ ჩასათვლელ მოედანში შეაღწია.

სტუმრები უფრო პირველი ტაიმის მეორე ნახევარში გაუძალიანდნენ მეტოქეს. მათ ოთხი საჯარიმოს უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. გაბრიჩიძემ არცთუ შორიდან არეკნითაც დაარტყა, მაგრამ არ გაუმართლა.

თამაშის 70-ე წუთზე, მაშინ, როცა ტაბლოზე 31-0 იყო, ქუთაისელმა თორნიკე აშვეთიამ, როგორც იქნა, ზუსტად დაარტყა საჯარიმო, რითაც „დათვთა“ ნულოვან მოგებათა სერიას ბოლო მოუღო. ამ ამბავმა ისე გაახელა „დათვი“ პაატა ძოწენიძე, რომ ერთ წუთში ორი ლელოთი დასაჯა „ბელები“. ამას დოლიძის ლელოც მოჰყვა და... ანგარიში უკვე იცით. არც უნდა გაგიკვირდეთ. ამას წინათ ვწერდით, „აიას“ პატრონი გაუჩნდაო. მთლად ასეც არ უნდა იყოს, თორემ გუნდს ოთხი წამყვანი მორაგბე არ მიატოვებდა. ამ დღეებში ზიბზიბაძე კრასნოიარსკში გამგზავრებულა სათამაშოდ, ხოლო ჩირგაძემ, მარგველაშვილმა და ზაზა შვანგირაძემ პენზას მიაშურეს.

**ბაჩო სვანიძე**

**იუზა ქაციტაძე**

---

**RUGBY SUPER 12**

# ნლეუელს ხარებს პრეტორიაშიც უჭირთ

ველინგტონი. 15 მაისი

**ველინგტონი — დანიდინი**

**21:19 (13:14)**

ველინგტონი: 3ლ — ტიატია, ოსბორნი, სპაისი; 2ს — არნოლდი

დანიდინი: 2ლ — კრონფელდი; 3ს — კალპეინი

ჰამილტონი. 15 მაისი

**ჰამილტონი — პრეტორია**

**39:31 (26:10)**

ჰამილტონი: 5ლ — რეიპანა (2), მარში, ლომუ, დაგანი; 4გ — ჯეკსონი; 2ს — კუპერი

პრეტორია: 3ლ — ესპაგი, ბრანდი, გუსენი 2გ და 4ს — შტეინი

ბრისბენი. 15 მაისი

**ბრისბენი — დურბანი**

**34:13 (20:8)**

ბრისბენი: 4ლ — ჰერბერტი (2), ჯონსტონი, კონორსი; 4გ — სპუნერი (3), ფლეტლი; 2ს — სპუნერი

დურბანი: 2ლ — პეინი, ფივიე; 1ს — ბინეიდი

კანბერა. 15 მაისი

**კანბერა — ოკლენდი**

**22:16 (0:16)**

კანბერა: 4ლ — კაფერი, ტუნივოლა, პოლი, როფი; 1გ — როფი

ოკლენდი: 2ლ — მაკფარლანდი, სპენსერი; 2ს — კეშმორი

სიდნეი. 16 მაისი

**სიდნეი — კრაისტჩერჩი**

**22:38 (10:15)**

სიდნეი: 4ლ — ლითლი, გრეი, პეინი, ბოუმანი; 1გ — დოულინგი

კრაისტჩერჩი: 4ლ — ბერიმანი (2), სოოალო, მაკდონალდი 3გ და 4ს — მერთენსი

კეიპტაუნი. 16 მაისი

**კეიპტაუნი — იოჰანესბურგი**

**16:18 (6:10)**

იოჰანესბურგი: 2ლ — დროცკე ვან დერ ულტი; 1გ და 2ს — ტოაიტი

კეიპტაუნი: 1ლ — როსოუ; 1გ და 3ს — ვან სტრაატენი

მაშ, ასე, პლეი ოფის მონაწილე ოთხივე გუნდი ცნობილია. ახალი ზელანდია ნახევარფინალებში ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი — „დანიდინით“ და „კრაისტჩერჩით“, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა თითო-თითოთი — „ბრისბენით“ და „კეიპტაუნით“. თუ „დანიდინმა“, „ბრისბენმა“ და „კეიპტაუნმა“ ამის უფლება ადრევე მოიპოვეს, „კრაისტჩერჩს“ ნახევარფინალში მოსახვედრად აუცილებლად სჭირდებოდა „სიდნეის“ ძლევა და შეძლო კიდეც მასპინძელთა დამარცხება. ამას სიდნეელთა მწვრთნელის მეტ უილიამსის და კლუბის თავმჯდომარის იან ფერიეს თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა.

იმარჯვა ბოლო დროს ათამაშებულმა „ჰამილტონმაც“. „ბელადებმა“ ამჯერად პრეტორიელ „ხარებს“ სძლიეს. ამ უკანასკნელთ ასეთი წარუმატებელი სეზონი ჯერ არ ჰქონიათ. გუნდმა 11 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და რაღა გასაკვირია, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე რომ გავიდა. წარუმატებელი იყო წლევანდელი გათამაშება კიდევ ორი სამხრეთაფრიკული გუნდისთვის. იოჰანესბურგელი „კატები“ მე-11 ადგილზე გავიდნენ, დურბანელი „ზვიგენები“ კი, რომლებიც ბოლო ტურამდე ინარჩუნებდნენ პლეი ოფში მოხვედრის შანსს, მხოლოდ მე-7 ადგილს დასჯერდნენ, რადგანაც ბოლო ტურში სტუმრად ბრისბენელ „წითლებთან“ დამარცხდნენ. თავად „წითლებისთვის“ კი ეს სეზონი მეტად იღბლიანი გამოდგა. გუნდმა რეგულარულ ჩემპიონატში იმარჯვა და ახლა ნახევარფინალსაც საკუთარ სარბიელზე ჩაატარებს.

ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა 1996 და 1997 წლების ჩემპიონი „ოკლენდი“. „ლურჯებმა“ პლეი ოფში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ ორი ტურით ადრე დაკარგეს, ბოლო ტურში კი კანბერელ „რაშებთან“ დამარცხდნენ, რომლებმაც ამ გამარჯვების წყალობით მე-5 ადგილი დაიკავეს.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ბრისბენი — კრაისტჩერჩი და კეიპტაუნი — დანიდინი.

**პაატა თოთაძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისბენი | 11 | 8 | 1 | 2 | 233:170 | 2 | 36 |
| კეიპტაუნი | 11 | 8 | 0 | 3 | 290:244 | 4 | 36 |
| დანიდინი | 11 | 8 | 0 | 3 | 280:203 | 3 | 35 |
| კრაისტჩერჩი | 11 | 7 | 1 | 3 | 324:262 | 3 | 33 |
| კანბერა | 11 | 5 | 0 | 6 | 278:195 | 8 | 28 |
| ჰამილტონი | 11 | 5 | 0 | 6 | 248:301 | 6 | 26 |
| დურბანი | 11 | 5 | 1 | 5 | 241:232 | 3 | 25 |
| სიდნეი | 11 | 4 | 1 | 6 | 246:248 | 6 | 24 |
| ოკლენდი | 11 | 4 | 1 | 6 | 202:201 | 4 | 23 |
| ველინგტონი | 11 | 4 | 1 | 6 | 213:226 | 4 | 22 |
| იოჰანესბურგი | 11 | 4 | 0 | 7 | 312:341 | 6 | 22 |
| პრეტორია | 11 | 1 | 0 | 10 | 203:447 | 3 | 7 |



კრაისტჩერჩელი ჯასტინ მარშალი (ბურთით) სიდნეელ ნათან გრეის გაექცა

# რუსუდანი რუსეთში პირველია, აბრამიშვილი კი ხუთ კაცს გადაასწრა

შუა მაისმა მსოფლიოს რჩეულ ბატუტისტებს მძიმე გამოცდები მოუწყო: 13-ში გერმანიის ქალაქ აახენში მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა, 15-ში, სანკტ-პეტერბურგში — მეორე.

ამ ტურნირებში რუსუდან ხოფერია და ზაზა აბრამიშვილიც მონაწილეობდნენ. რუსიკოს შედეგისადმი ინტერესი გასაგებია — იგი ჩვენი საოლიმპიადო იმედია, მაგრამ არც აბრამიშვილის გამოსვლა გვაინტერესებდა ნაკლებად — ზაზა ხომ შვიდწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა ბატუტს. თუ ძველი ფორმა აღიდგინა, ოლიმპიელი შეგვემატება და ეგააო, ამბობდნენ სპეციალისტები. სიდნეიში მედლის კანდიდატი იქნებაო, ამატებდნენ სხვები. შეიძლება ითქვას, გამოცდა ორივემ წარმატებით ჩააბარა — ხოფერია გერმანიაში მეოთხე ადგილზე გავიდა, რუსეთში — პირველზე. აბრამიშვილი ორივეგან მეხუთე იყო.

ხოფერიას წარმატება ანუ მისი ჩემპიონობა თავისთავად გასახარი და გამორჩეული ამბავია, მაგრამ აბრამიშვილის მეხუთე ადგილიც მრავალმხრივაა საყურადღებო. როცა ის სპორტს დაუბრუნდა, ოლიმპიურმა კომიტეტმა სტიპენდია დაუნიშნა ასეთი პირობით — თუ წლეულს მსოფლიოს თასის რომელიმე ეტაპზე ათეულში მოხვდებოდა, სტიპენდიას გაუზრდიდნენ. მისი მწვრთნელი, ზაურ სულაშვილი გამოტყდა, გერმანია — რუსეთში წასვლის წინ ათეულში მოხვედრაზე კი არა, უფრო მასთან მიახლოებაზე ვოცნებობდითო. ზაზამ კი აიღო და მისთვის პირველივე ტურნირებზე ხუთეულებში „ჩაჯდა“. შვიდწლიანი განშორების კვალობაზე ჩინებული შედეგია. რაც მთავარია, დაგვარწმუნა, რომ მედლების მოპოვება შეუძლია. ასეთები კი საქართველოში ლამის შემოგველიენ.


რუსუდან ხოფერია

**ირაკლი თავაძე**



# ქართული ქვორუმი

ჭადრაკის სასახლეში დასრულდა [illegible] არჩევნები, რომელიც ჩვეულებრივი არჩევნებისგან განსხვავებით 9 ტურად გაიმართა და შედეგად ის მოგვცა, რომ ჩამოყალიბდა ქართული უმრავლესობა და იუგოსლავური უმცირესობა, სულ 7 მოჭადრაკე ქალის შემადგენლობით. ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ...

მრავალთა ნაგულთმისნარი, თბილისის ქალთა ზონალური ტურნირს ქართველები და იუგოსლავიელები მოიგებენო, მისხალ-მისხალ ახდა. ხუთმა ქართველმა და ორმა იუგმა ფინალის საგზურები გაინაწილეს!

უპირველესად, ცხადია, გამარჯვებული ნინო ხურციძე უნდა დავასახელოთ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი საფუძვლიანი პრეტენზია მსოფლიოს ქალთა ჭადრაკის ელიტაში მოსახვედრად. ხურციძე, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად მართავდა სატურნირო პროცესებს და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. აი, დანარჩენი ადგილების ბედი კი, შვეიცარიული სისტემის წესისამებრ, ბოლო ტურმა გადაწყვიტა. მოულოდნელობა ბევრი იყო, თუნდაც ის, რომ ფინალს მიღმა დარჩა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი სვეტლანა პრუდნიკოვა, რომელმაც 15 წლის ქართველთან, ლელა ჯავახიშვილთან წააგო. ამ გამარჯვებით ჯავახიშვილმა ფინალში გასვლაც დაიმსახურა და, მხურვალე აპლოდისმენტებიც, როგორც 4 ტურის შემდეგ ერთადერთი ქულის მქონე აუტსაიდერმა და დარჩენილი 5 პარტიის ზედიზედ მოგებმა. კომენტარი ზედმეტია...

ახლა კი, აი, მათი გვარებიც, ფინალში რომ გავიდნენ: *ხურციძე — 7; გოლეთიანი, ხურცილავა, ბოიკოვიჩი, მანაკოვა, ჯავახიშვილი, ტყეშელაშვილი — 6;*

**დავით გულუა**



# გენერალური რეპეტიცია 2 მილიონად

დიუსელდორფი. გერმანია.
ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. თიხნარი.
საპრიზო 1,9 მილიონი $

როლან გაროსის წინა კვირა მოვიდა და დიუსელდორფის შემოგარენში მდებარე „როხუსკლუბს“ საჩოგბურთო „დერჟავებიც“ კიდევ ერთხელ ეწვივნენ. ტურნირს მყვირალა სახელი — ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი კი ჰქვია და საპრიზოდაც თითქმის ორი მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი (500 000 გამარჯვებულს), მაგრამ მწვანეში ჩაფლულ კორტებზე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები უფრო მეგობრულად ღლაბუცობენ და მოგებაზე მეტად სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირისთვის მზადებაზე ფიქრობენ.

მაინც გეტყვით, რომ გუნდები ორ ჯგუფადაა დაყოფილი, რომელთაგან შაბათს ფინალში პირველადგილოსნები იასპარეზებენ, თითოეული შეხვედრა კი ორი ერთეულების და ერთიც წყვილების მატჩისგან შედგება.

### ლურჯი ჯგუფი

#### აშშ 2:1 საფრანგეთი

**პიტ სამპრასი (აშშ) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:5, 6:4; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ანდრე აგასი (აშშ) 4:3 — ტრავმა; რიჩი რენებერგი და ჯონათან სტარკი (აშშ) — სედრიკ პიოლინი და გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) 6:2, 6:4**

ამერიკელებმა თავიანთი პირველი მატჩი კი მოიგეს, მაგრამ ამავდროულად ერთ-ერთი ლიდერი დაკარგეს: ანდრე აგასიმ ერთი თვის წინ მიღებული მხრის ტრავმა გაიმიზეზა და გაურკვეველი დროით შეისვენა.

„მეგონა, რომ ტრავმა საბოლოოდ მოვირჩინე, მაგრამ აქ სიცივემ და მძიმე ბურთებმა ისევ ცუდ დღეში ჩამაგდო. სავსებით შესაძლებელია როლან გაროსის გამოტოვებაც მომიხდეს. არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ არ მსურს, ისევ გავრისკო და უფრო მძიმე ტრავმა მივიღო“ — განუცხადა ჟურნალისტებს ხოტორა ვარსკვლავმა.

#### ავსტრალია 2:1 სლოვაკეთი

**კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 6:3, 7:6 (7:5); მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 4:6, 7:6 (8:6), 6:4; რაფტერი და სენდონ სტოლი — ჰრბატი და კუჩერა 3:6, 6:3, 6:4**

კარიერის ყველაზე დასანანი მარცხიდან 24 საათიც არ გასულიყო, რომ პატრიკ რაფტერმა იტალიიდან გერმანიაში გადაფრენა, ერთბაშად ორი მატჩის გამართვა და თავისი გუნდისთვის გადამწყვეტი ქულის მოპოვებაც მოასწრო.

რომის ტურნირის ფინალში გუსტავო კუერტენთან წაგებით კიკინიანმა ოზმა მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ხელიდან გაუშვა, თუმცა იმედგაცრუება და დაღლა დიუსელდორფში არ ჩაჰყოლია: ერთეულებში კაროლ კუჩერასთან დამარცხების შემდეგ რაფტერს როგორღაც იმდენი ენერგია აღმოაჩნდა, წყვილებში ეთამაშა და სენდონ სტოლთან ერთად თავისიანებისთვის გამარჯვებაც მოეტანა

### წითელი ჯგუფი

#### შვედეთი 2:1 ესპანეთი

**ტომას ენკვისტი (შვედეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:3; ალექს კორეტხა (ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:1; იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი (შვედეთი) — ალბერტ კოსტა და ხაირო ველასკო (ესპანეთი) 6:3, 6:0**

პირველი ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა თიხნარის ოსტატი ესპანელების ფიასკო იყო, განსაკუთრებით კი ქომაგები კარლოს მოიამ გაანერვიულა, რომელიც როლან გაროსის ტიტულის დაცვამდე ერთი კვირით ადრე საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ გახლავთ. მოიამ ტომას ენკვისტთან ზედიზედ მესამე პირადი შეხვედრა წააგო, თუმცა თავად გუნება მაინცდამაინც არ წახდომია, აქ შარშანაც ორჯერ დავმარცხდი, მაგრამ პარიზში ამას ხელი არ შეუშლიაო.

#### ინგლისი 2:1 გერმანია.

**ტომი ჰაასი (გერმანია) — ტიმ ჰენმანი (ინგლისის) 6:7 (4:7), 7:6 (9:7), 6:3; გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:1, 6:4; ჰენმანი და რუზეცკი — ბორის ბეკერი და დევიდ პრინოშილი 7:5, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**


კარლოს მოია

REUTERS

## წყვილების კლასიფიკაცია

| კაცები | |
|---|---|
| 1. პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) | 3984 |
| 2. მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) | 3462 |
| 3. ლეანდერ პაესი (ინდოეთი) | 3391 |
| 4. სენდონ სტოლი (ავსტრალია) | 3226 |
| 5. დანიელ ნესტორი (კანადა) | 3147 |
| 6. მარკ ნოულსი (ბაჰამები) | 3058 |
| 7. ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 2903 |
| 8. ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) | 2853 |
| 9. მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | 2846 |
| 10. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 2802 |
| 11. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 2784 |
| 12. იაკო ელტინგი (ჰოლანდია) | 2614 |
| 13. უეინ ბლექი (ზიმბაბვე) | 2509 |
| 14. ელის ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 2422 |
| 15. სირილ სუკი (ჩეხეთი) | 2412 |
| 16. რიკ ლიჩი (აშშ) | 2340 |
| 17. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 2310 |
| 18. დანიელ ვაცერი (ჩეხეთი) | 2292 |
| 19. სებასტიან ლარო (კანადა) | 2192 |
| 20. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2038 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 4834 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 4650 |
| 3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 4586 |
| 4. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3759 |
| 5. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 3049 |
| 6. ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 2441 |
| 7. ალესანდრა ფუზე (საფრანგეთი) | 2357 |
| 8. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 2329 |
| 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2194 |
| 10. მარიან დეშვარდტი (სამხრეთ აფრიკა) | 1982 |
| 11. კაროლინ ვისი (ჰოლანდია) | 1976 |
| 12. ლარისა ნეილანდი (ლატვია) | 1930 |
| 13. აი სუგიამა (იაპონია) | 1885 |
| 14. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1850 |
| 15. ელენა ტატარკოვა (უკრაინა) | 1711 |
| 16. პატრიცია ტარაბინი (არგენტინა) | 1464 |
| 17. ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1449 |
| 18. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1303 |
| 18. სერენა უილიამსი (აშშ) | 1303 |
| 20. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1248 |




იონელა ტირლეა

# ფრე-ფრე ძალიან გააბრაზეს

რუმინელი მორბენალი ქალის, 400 მეტრზე თარჯრბენში ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონის, იონელა ტირლეასი მაებაშის ჭერქვეშა ჩემპიონატის 200 მეტრიან ბილიკზე გამარჯვების მერე არაფერი გვსმენოდა. მაგრამ, ჯერ ერთი და, როცა არაფერი გესმის, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი ხდება, მეორეცაა და, ბევრი რამის გაკეთებას ზოგი ისე აზერხებს, რომ ერთი ფაჩუნი რაა, იმასაც ვერ გაიგებ. ხოლო ჩვენ რომ მეტი აღარ გავაგრძელოთ, შესავლად იმასღა დავძენთ, რომ მშვენიერმა იონელამ ათიოდ დღის წინ ტოკიოს გრან პრის დაბრკოლებებიან 400 მ-ზე გამარჯვების შემდეგ, წინა კვირაში ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ გრან პრიზე ორივე დაგემოვნებული ბილიკი — 400 მ თარჯრბენი და 200 მ ერთმანეთს შეუწყვილა და ორივე სწორუპოვრად მოიგო. თანაც ისე, რომ ერთზეც და მეორეზეც სეზონის მეორ-მეორე უსწრაფესი შედეგები აჩვენა, შესაბამისად — 54,27 წმ და 22,35 წმ და პირველგან ოლიმპიურ ჩემპიონ იამაიკელ დეონ ჰემინგსს დასწყვიტა მკერდი, მეორეგან კი ჩვენ შრი ლანკელ სიმპატიას სუსანთიკა ჯაიასინგჰეს.

ხეირიან სეზონს განაგრძობს იამაიკელი სიგრძეზე მხტომი ჯეიმს ბეკფორდიც. წლის მისსავე საუკეთესო 8,40 მ-იან მიჯნას მან დოჰაში კიდევ ერთი სანტიმეტრი არგო და ტოკიოში მოგებულ შეჯიბრს უყოყმანოდ მოგებული მეორე ასპარეზიც მიათვალა.

წლის საუკეთესო შედეგები აჩვენეს სამხრეთ აფრიკელმა ჰეზეკიელ სეპენგმა და კენიელმა ჯოზეფ კეტერმაც. ატლანტის ვერცხლის მედალოსანმა ჰეზეკიელმა 800 მ-იანი მონაკვეთი 1:44.44-ში გადაიჯლიგინა და წინა ზღვარს ნახევარი წამით უმოკლა, მეორემ კი, საბაქიბუქოდ 3000 მ სტიპლჩეიზზე ოლიმპიური ჩემპიონობა რომ მოეძევება, თავისი სარბენი 8:17.98-ში გადალახა და გვერდზე აღევნებულ ჭაბუკ თანამემამულეს, ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონს, რუბენ კოსგეის წამის ექვსი მეათედით აჯობა. ოლიმპიადის შემდეგ ოდნავ შებერებულ კეტერი უკვე რახანია ამგვარად ველარ გარჯილა და ამიტომაც დოჰური გამარჯვებით ფრიად ნასიამოვნებიც დარჩა.

დაბოლოს, რასაკვირველია, მორიგი სკალპების გარეშე არც 400 მ თარჯრბენში წლევანდელი სეზონის გუთნისდედა, ზამბიელი სამუელ მატეტე და სპრინტერთა შორის უჯიხვესი ნამიბიელი ფრენკი ფრედერიქსი დარჩენილან. სამუელმა ისე ლაღად და ხარისხიანად ირბინა, ფინიშის ხაზთან მისულს დაღლილობა მხოლოდ კეთილ თვალებზე თუ ეტყობოდა. ფრენკიმ კი მართალია, 100 მ-ზე ამჯერად 10 წამის ქვემოთ ჩასვლა ვერ შეძლო, მაგრამ მოკრძალებული 10.14 წამით მაინც ყველას გადაურბინა. აბა, უკეთესად როგორ გავირჯებოდი, როცა ამ რეგვენებმა 4 ცრუ სტარტით ნერვები ამიწეწესო, თავისი ოდნავ წარუმატებელი გამოსვლა ფრენკის აი, ეგრე დაუსაბუთებია.

**არტემ ჩაჩანიძე**


ფრენკი ფრედერიქსი

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

# ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

82 Giro d'Italia



**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ**
კატანია — მესინა (176 კმ)

ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲛ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჰოლანდიელმა იერონ ბლიილევენსმა ორშაბათს „ჯიროს“ მესამე ეტაპი მოიგო. საწყის ორზე კი იტალიელებმა — კვარანტამ და ჩიპოლინიმ TVM-ის წევრი მეორე ადგილს დააჯერეს. ამ წარმატებით ბლიილევენსი საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა და მარიო ჩიპოლინის ვარდისფერი მაისურაც წაართვა.

კატანია — მესინას (176 კმ) ეტაპის ბედიც წინა ორის მსგავსად ჯგუფური სპრინტით გადაწყდა. ჰოლანდიელმა ბოლო მეტრებშიღა შეძლო ჩეხი იან სვორადასთვის გასწრება. უკანასკნელ კილომეტრზე მის „ბორბალში მჯდომმა“ „ჩიპომ“ კი სპრინტში მონაწილეობა არც კი მიიღო. ეს, ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ ფინიშამდე 45 კმ-ით ადრე უპირველესი იტალიელი სპრინტერი სხვა მრბოლებთან ერთად წაიქცა და ოდნავ დაშავდა. მისი უილბლობით პელოტონმა არ ისარგებლა. მთავარმა ჯგუფმა დიდსულოვნება გამოიჩინა და თანაგუნდელების მიერ მიშველებულ ტოსკანელს დაელოდა. ისიც მალე ჩაჯდა რიტმში, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებისთვის გაბრძოლება მაინც ვერ შეძლო.

სიცილიური ძლიერი ქარის გამო კიდევ რამდენჯერმე წაიქცნენ სპორტსმენები, რამაც „ჯიროს“ მთავარი ფავორიტის მარკო პანტანის (მერკატონე უნო) ზედმეტი სიფრთხილე გამოიწვია. „ილ პირატი“ ხომ ამ სეზონში უკვე არაერთხელ ჩამოვარდა თავისი „ბედაურიდან“ და ზოგიერთი შეჯიბრის ვადაზე ადრე მიტოვებამაც მოუწია. ასე რომ, ტერპერის შარშანდელი გამარჯვებული მესინას სრუტემდე, რომლის ორივე ნაპირზე უძველესი ლეგენდის მიხედვით ორი ურჩხული — ქარიბდა და სცილა ისხდნენ და გემებს ყლაპავდნენ, ძალიან წყნარად მივიდა თანაგუნდელების დახმარებით.

მერკატონელების მაისურები ფინიშამდე 2,5 კილომეტრით ადრე დაიკარგა მოწინავე პოზიციებიდან. ბლიივენსმა ჭკვიანურად მოიცადა და მხოლოდ ბოლოს შეუტია. მესინას პორტში, სადაც ფინიშის ხაზი იყო, ძლიერი პირქარი უბერავდა და ოდნავი აჩქარებაც კი წაგების ტოლფასი იქნებოდა.

ეს პირველი წარმატება იყო ჰოლანდიელისთვის „ჯიროში“. მანამდე „მხიარულ ცხოვრებას“ (სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება ჰოლანდიურიდან „ბლიილევენსი“) ოთხი „ტურ დე ფრანსის“ და ოთხიც „ვუელტას“ ეტაპი ჰქონია მოგებული.

რბოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამარჯვებულმა ყველაზე მეტი „ტურ დე ფრანსზე“ ილაპარაკა და განაცხადა, მართალია, შარშან შეჯიბრი [illegible] მაგრამ [illegible] ყვები „ტური ჩემი [illegible] არ არის“, ჟურნალისტებმა გამოიგონეს. [illegible] ულს კი იგი ნამდვილად [illegible] ნებს სეზონის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს.



მეორე ეტაპის მომგები მარიო ჩიპოლინი მესამეზე ფეხზე წამოსაყენებელი შეიქნა



იერონ ბლიილევენსი

გუშინ „ჯირომ“ სიცილიიდან კონტინენტზე გადაინაცვლა და ველომრბოლებმა ვიბი ვალენტიადან ტერმე ლუიჯიანემდე 186 კმ დაფარეს.

მეხუთე ეტაპი, რომელიც დღეს გაიმართება, სტარტს ტერმე ლუიჯიანეში აიღებს, ფინიში კი 147 კმ-ის მოშორებით, მონტე სირინოში, ზღვის დონიდან 1525 მეტრ სიმაღლეზეა. სწორედ დღეს გამოჩნდება, ვინაა „ჯიროს“ 82-ე გათამაშების მომგები.

**ᲒᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ**

**ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ**

ვიბო ვალენტია — ტერმე ლუიჯიანე (186კმ)

1 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — 4სთ 23წთ 49 წმ
2 ჯან მატეო ფანინი (იტალია, საეკო)
3 დავიდე რებელინი (იტალია, პოლტი)
4 ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე)
5 ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი, ბალანი) — ყველა იგივე დრო

**ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ**

1 იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, TVM) — 17სთ 14წთ 11 წმ
2 ლორან ჟალაბერი — ჩამორჩება 18 წამით
3 ჯან მატეო ფანინი — ჩამორჩება 20 წამით
4 მატეო ტოსატო (იტალია, ბალანი) — ჩამორჩება 24 წამით
5 ფაბრიციო გიდი (იტალია, პოლტი) — ჩამორჩება 26 წამით

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ნორვეგია

# ᲐᲘ, ᲠᲐ ᲘᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ!

## ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

დასრულდა მსოფლიოს 63-ე ჩემპიონატი. მის შესახებ საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მისი სრულყოფილი ანალიზი მომავლის საქმეა, ერთი, მთავარი დასკვნის გამოტანა კი ახლაც შეიძლება — ნჰლ-ის გარეშე ამ ტურნირს პრაქტიკულად არავითარი ინტერესი არ ექნება, არც მომავალი.

### ᲯᲔᲠ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ...

შვედეთის ნაკრებში ოთხი საუკეთესო ბომბარდირია და ყველა ნჰლ-ელი, თანაც ნაკრების მიერ გატანილი 26 შაიბიდან 17 (!) მათია. ფინეთის ნაკრების გოლების 70 პროცენტი საკუ კოივუსა და ტეემუ სელიანეს ბრწყინვალე დუეტის უშუალო მონაწილეობით გავიდა (33-დან 23). მარტო რუსმა ნჰლ-ელმა ალექსი იაშინმა 8 გოლი მიითვალა, მაშინ, როცა მისმა პარტნიორებმა (შეგახსენებთ, რომ გუნდები 20 მოთამაშით ასპარეზობდნენ) მხოლოდ ათის გატანა შეძლეს.

მაგალითების მოხმობა მრავლად შეგვიძლია, მაგრამ საქმე მარტო ციფრებში როდია.

### ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

მოგეხსენებათ, ნჰლ-ელები მსოფლიოს ჩემპიონატზე, როგორც ყოველთვის, ცხრათვიანი რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ ჩავიდნენ, ზოგიერთი მათგანი კი ტურნირის მსვლელობისას შეუერთდა თავისიანებს, პლეი ოფის პირველი რაუნდიდან გავარდნის შემდეგ. ბევრი სირთულის მიუხედავად, ისინი პირველივე თამაშიდან გაუძღვნენ პარტნიორებს და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩემპიონატი ესოდენ შინაარსიანად ჩატარდა. თითოეული მათგანი ჟინიანად ჩაერთო ბრძოლაში და თავი არ დაუზოგავს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კანადელ სტეფან ქინტალს და შვედ მარკუს ნესლუნდს ახალი კონტრაქტები უნდა გაეფორმებინათ, მაინც დიდი ენთუზიაზმით ჩავიდნენ ტურნირზე. შვედეთის ჰოკეის ფედერაციამ ნესლუნდის დაზღვევის თანხაც კი გამონახა.

ცალკე უნდა ითქვას ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერ ალექსეი იაშინზე. თავისი ბევრი თანამემამულისგან განსხვავებით, იგი გამოძახებისთანავე გამოეხმაურა მწვრთნელებს და მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის დაწყების წინა დღეს მაღალი სიცხე ჰქონდა, მაინც ითამაშა, თან როგორ. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩემპიონატამდე ულიმლამოდ მოთამაშე რუსები (ერთ-ერთ მატჩში ლატვიასთანაც კი წააგეს 4:5) უეცრად გამოცოცხლდნენ და ლამის სენსაცია მოახდინეს — ვიცე-ჩემპიონ ფინელებთან ფრედ ითამაშეს 3:3, თანაც 3:0 იგებდნენ, ხოლო მომავალი ჩემპიონი ჩეხეთი 6:1 გაანადგურეს. მაგრამ როგორც კი იაშინ დაიღალა (ავადმყოფობამ მაინც თავისი გაიტანა), რუსები კვლავ ჩვეულებრივ გუნდად იქცნენ და გადამწყვეტ მომენტში სლოვაკეთსაც კი ვერ მოუგეს. ფინელებს შარშანდელი ტურნირიდან (მაშინაც ვერცხლი მოიპოვეს) 16 მოთამაშე ჰყავდათ, მაგრამ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ კოივუსა და სელიანეს ძალისხმევით გამოიჩინეს თავი.



ჩეხთა კაპიტანი პაველ პატერა საჩემპიონო თასით

### ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ!

ჩემპიონატის შედეგებმა ცხადყო, რომ საფინალო ეტაპის სისტემა არასრულყოფილია. ორი დრამატული თამაშის შემდეგ გამარჯვებულის ოვერტაიმის და მით უმეტეს ბულიტების მეშვეობით გამოვლენა სრული უსამართლობაა. საფინალო ეტაპის ოთხივე მონაწილე დაახლოებით თანაბარი ძალის იყო. ასე რომ, ტურნირის შედეგები ერთგვარად შემთხვევითობაზეც იყო დამოკიდებული. თუმც არც იმის უთქმელობა ეგების, რომ ჩეხებმა ეს გამარჯვება სხვებზე მეტად დაიმსახურეს. ივან ჰლინკა გუნდში მეორე სეზონს ატარებს და ამ ხნის მანძილზე ძალიან მნიშვნელოვანი რამ შეძლო — ნჰლ-ში და ევროპაში მოთამაშეთა გონივრულ თანაფარდობას მიაღწია. გარდა ამისა, ძალიან გაამართლა მისმა ჩანაფიქრმა, ხუთივე ნჰლ-ელის ერთ ხუთეულში გაერთიანებამ. სხვა სამეულები და მცველთა წყვილებიც, რომლებიც ჰლინკამ მთელი სეზონის განმავლობაში ერთად ათამაშა, სწორედ იმიტომ გამოირჩნენ, რომ კარგად იყვნენ შეთამაშებულნი. ჩეხებმა დაამტკიცეს, რომ მიუხედავად ნჰლ-ში დიდი მიგრაციისა, კარგი რეზერვი ჰყავთ და მათი ნაგანოს ოლიმპიადაზე გამარჯვება მხოლოდ იაგრისა და ჰაშეკის დამსახურებად არ ჩაითვლება (შეგახსენებთ, რომ იქ ჩეხებს ნჰლ-დან მხოლოდ ნახევარი შემადგენლობა ჰყავდათ).

დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (IIHF) ბოლოს გონს მოეგო და ჩემპიონატის ვადის შეცვლას, კერძოდ, მის თებერვალში გადატანას უახლოეს წლებში აღარ აპირებს. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატების რეიტინგიც არ დაეცემა.

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: კოივუ (16 (4+12); სელიანე (ორივე ფინეთი) 11 (3+8); ნესლუნდი (შვედეთი) 10 (6+4); პალფი (სლოვაკეთი) და ჰლავაჩი 10 (5+5); რუჩინსკი (ორივე ჩეხეთი) 10 (4+6); იაშინი (რუსეთი) 9 (8+1); ალფრედსონი (შვედეთი) 9 (4+5); კარალაჰტი (ფინეთი) 8 (5+3); სტილმანი (კანადა) ვიბორნი და დვორჟაკი (ორივე ჩეხეთი) 8 (4+4)

საუკეთესო მოთამაშეები
ტომი სალო (შვედეთი) — ფრანტიშეკ კუჩერა (ჩეხეთი) — საკუ კოივუ (ფინეთი)

საუკეთესო ექვსეული
ტომი სალო; პაველ კუბინა (ჩეხეთი) — იერე კარალაჰტი; ტეემუ სელიანე (ორივე ფინეთი) — საკუ კოივუ — მარტინ რუჩინკსი (ჩეხეთი)

STANLEY CUP PLAYOFFS

ორშაბათს გამოვლინდა თასის პირველი ორი ნახევარფინალისტი. ტორონტომ უაღრესად დაძაბული მეექვსე მატჩი პიტსბურგს ოვერტაიმში მოუგო, ხოლო დალასმა ასევე დამატებით დროში სენტ ლუისს სძლია და ზედიზედ მეორედ გავიდა დასავლეთის ფინალში.

17 მაისი

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ**

სერიის ანგარიში
**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ — ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:2**

**ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 3:4**

2:0 1:3 0:0 0:1

1:0 ბრაუნი 5'04 (2); 2:0 კოვალიოვი 14'06 (5); 2:1 ბოჰონოსი 23'26 (3); 2:2 ველკი 23'52 (1); 2:3 ბერეზინი 31'43 (5); 3:3 იაგრი 34'41 (5); 3:4 ველკი 61'57 (2)

„ეს შარშანდელთან შედარებით მართლაც რომ ზღაპარია“ — მატჩის გმირი გერი ველკი ემოციებს ვერ ფარავდა. შარშანდელთან შედარებით იმიტომ, რომ მაშინ, პიტსბურგში თამაშისას, ველკი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდეს და სამი თვე უსაქმოდ იყო. ტორონტოში გადასული კი ათამაშდა და ყოფილ პარტნიორებსაც ნიშანი მოუგო. პიტსბურგთან მე-6 შეხვედრაში ფორვარდმა, რომელსაც უფრო დაცვითი ფუნქციები ეკისრება, კარიერაში უმნიშვნელოვანესი ორი გოლი გაიტანა. მეორე ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას: მეკარე ტომ ბარასომ ვერ დაიმორჩილა სერგეი ბერეზინის დარტყმული შაიბა, რომელსაც კარისგან საკმაოდ შორს მყოფი ველკი აკრობატულ ნახტომში, ყვანჯის წვერით მისწვდა. ტორონტო 1994 წლის შემდეგ პირველად გავიდა ნახევარფინალში.

## ᲒᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ**

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 4:2**

**ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ — ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 1:2**

0:0 1:0 0:1 0:1

1:0 მაკინისი 26'51 (4); 1:1 პლანტსი 53'58 (1); 1:2 მოდანო 62'21 (4)

დალასელი რიჩარდ მატვეიჩუკი გულთმისანი გამოდგა. სერიის მეოთხე მატჩის შემდეგ, როცა ანგარიში გათანაბრდა, მცველმა ქომაგები დაამშვიდა, ჩვენსას მაინც გავიტანთო და ასეც მოხდა. „ბლუზმენებს“ მათმა ყოფილმა თანაკლუბელმა ბრეტ ჰალმა მოუღო ბოლო. „ოქროს ბიჭმა“ გადამწყვეტ მომენტებში ორი ჩინებული პასი მიაწოდა პარტნიორებს, თანაც მეორედ კარს უკან გაჩაღებულ ბრძოლაში ერთბაშად ორ მეტოქეს აჯობა და უმალ მაიკ მოდანო მოძებნა. „ბრეტი შეუდარებელი იყო. მას ძალიან უნდოდა გამარჯვება და სენტლუისელი მაყურებლის წინაშე თავის გამოჩენა“ — თქვა მატჩის შემდეგ გახარებულმა მოდანომ, რომლის გუნდმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით საპლეიოფო ეტაპზე მეექვსედ მოიგო ერთშაიბიანი სხვაობით. აღსანიშნავია, რომ ეს მოდანოს პირველი საოვერტაიმო გოლია პლეი ოფში.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**



ტორონტოელი გერი ველკის საარაკო შაიბა ტომ ბარასოს კარში



# შიშველი გადარეული

ასეთი რამ ბრიტანულ სტადიონებზე ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ვირთხები მულდაზანზარულ რესტორნებში... ფოტოზე აღბეჭდილმა მორიგმა შლეგმა თავისი აპოლონისებური აღნაგობისა და ელვისპრესლისებური ვარცხნილობის დემონსტრირება ავსტრალია-შოტლანდიის საკრიკეტო ნაკრებების მატჩისას გადაწყვიტა. მატჩი ფრიად დაძაბული ყოფილა და ამ შერეკილი ჭაბუკისათვის დიდხანს ბაირამობის უფლება არავის დაურთავს...

# ქომაგებიც ასეთი უნდა!

ბიბლიოთეკა



REUTERS მონტეკარლოდან

მიხაელ შუმახერის საკვირაო მონტეკარლოური გამარჯვება ყველაზე მეტად ამ ხორცსავსე და ცხიმიან მდედრებს გაუხარდათ... მრბოლთან მათი პირადი ურთიერთმიმართების შესახებ არაფერს იუწყებიან, მაგრამ თუკი შუმის მიერ კვარცხლბეკიდან აპაჭუნებულ მზერას მოვიგონებთ, ამ მიმართებათა ხასიათის განსაზღვრა ძნელი აღარ უნდა იყოს. თქვენ კი ამბობთ, რომ ამ საქმეში მთავარი მანქანააო...



REUTERS ლილეჰამერიდან

# მოდი, ერთიც გავაბოლოთ

არა, ეგ ის სიგარები არაა, რეგვენი კომისარი ჟიუ მასხარა ფანტომასის წინააღმდეგ რომ ხმარობდა. ეგ ის სიგარებია, რომლის მოწევის უფლებაც მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონებს აქვთ. ჩეხი ჰოკეისტები ტომას ვლაშაკი (მარცხნივ) და დავიდ მორავეცი მასაჟისტ პეტრ ბილეკთან ერთად ფინელებისთვის მოგებული ფინალის შემდეგ.

# ცოცხალია, ცოცხალი!

მარცხენა ფეხზე ადგა თუ მარცხენა ბორბალზე, ინდიკარის ამერიკელი მრბოლი ბილი ბოუთი ინდიანაპოლისის სარბოლეთზე ვარჯიშისას პირველსავე მოსახვევში მოსრიალდა. მოსრიალდა და, მტერსა და ავს, რასაც თქვენ ამ ფოტოზე ხედავთ... ბიჭს რა მოუვიდა?! აი, მაგას როგორღაც ვერ გვატყობინებენ და ისე კი ცოცხალიაო, ასე ამბობენ.



REUTERS ინდიანაპოლისიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# კინო, შიდსი და მეჯიქი

სახელოვანი ამერიკელი კინორეჟისორი ჯორჯ ლუკასი ახლახანს თავისი „ვარსკვლავური ომის“ მორიგ ფოსტას გამოვიდა. ფოსტას „ფანტომის საფრთხე“ ჰქვია და მისი ოფიციალურ პრემიერამდე, ფილმის ნახვის მსურველებს კაი ძალ ტუგრიკებს აყაჭინებენ. ეს ტუგრიკები თურმე შიდსით შეჭირვებული ბავშვების დასახმარებლად გროვდება... ფოტოზე ამ ვერაგი ვირუსის მატარებელ დიად კალათბურთელს მეჯიქ ჯონსონსა და მის ცუნცულა მეუღლეს კუკის ხედავთ. ლუკასის მძვინვარე ფანტაზიის კარგად დავიწყებულ ძველ-ახალ პროდუქტს ისინი ლოს-ანჯელესის ერთ კინოდარბაზში ნახავდნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29